



Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**Issues of Georgian Speech
Culture**

Book XXII

**Tbilisi
2022**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების
ინსტიტუტი

ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

წიგნი
ოცდამეორე

თბილისი
2022

ოცდამეორე წიგნი (ისევე როგორც წინა წიგნები) მოიცავს წერილებს ქართული სალიტერატურო ენის მართლწერის, მორფოლოგია-სინტაქსისა და ლექსიკა-სტილისტიკის სხვადასხვა საკითხის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე მწერლის ენასა და სტილზე.

სარედაქციო კოლეგია: ავთანდილ არაბული, თეა ბურჭულაძე (მდივანი), გიორგი გოგოლაშვილი, ქეთევან დათუკიშვილი, თამარ ვაშაკიძე (რედაქტორი), მაკა ლაბარტყავა, ვახტანგ მაღრაძე, ნანა მაჭავარიანი, თეა ტეტელაშვილი, ლია ქაროსანიძე, მედეა ღლონტი, ვაჟა შენგელია, ნინო ჯორბენაძე

ტექნიკური რედაქტორი – ლევან ვაშაკიძე

ოპერატორი – რუსუდან რატიანი

© თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

ს ა რ ზ ე ვ ი

ნ ა ი რ ა ბ ე პ ი ე ვ ი – ენობრივი დარღვევები ქართულ პრესაში	9
Naira Bepievi – Linguistic Violations in the Georgian Press	14
თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე – ნომერ პირველი თუ ნომერი პირველი?	16
Tea Burchuladze – nomer pirveli or nomeri pirveli?	22
ც ი ც ი ნ ო გ ა ბ ე ს კ ი რ ი ა – პლეონაზმები ინგლისურ და ქართულ ენებში	23
Tsitsino Gabeskiria – Pleonasm in Georgian and English languages	31
ქ ე თ ე ვ ა ნ დ ა თ უ კ ი შ ვ ი ლ ი – დეფისიან კომპოზიტებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ქართულში	32
Ketanani Datukishvili – On Some Issues Related to Hyphenated Compounds in Georgian	37
ვ ა ჟ ა დ ა ნ ე ლ ი ა – თულუხჩი თუ მერწყულე?	38
Vazha Danelia – Tulukhchi or Merskule?	43
თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე – მსაზღვრელი ნაცვალსახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში	44
Tamar Vashakidze – The Agreement of a Number Modifier with the Head Word in Case and Number	64
მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა – რამდენიმე სახის ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა მართლწერისათვის	65
Maka Labartkava – On Spelling Some Types of Reduplicative Compounds	71

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე – ანგლიციზმები და ქართული სიტყვა- წარმოების ტენდენციები	72
N a n a L o l a d z e – Anglicisms and Tendencies of Georgian Word Formation	78
ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ა ღ რ ა ძ ე – უცხოურ სათაურ-სახელწოდე- ბათა ქართულად გადმოტანისათვის	79
V a k h t a n g M a g h r a d z e – On Translating Foreign Titles and Names into Georgian	86
მ ა რ ი ა მ ო რ კ ო დ ა შ ვ ი ლ ი – პაუზის შემავსებლები ქართულსა და ინგლისურში	87
M a r i a m O r k o d a s h v i l i – Gap fillers in Georgian and English	90
თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი – ბრჭყალების გამოყენების ერთი შემთხვევისათვის	93
T e a T e t e l o s h v i l i – On the Case of Using Quotation Marks	99
მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – ლექსემა <i>ბიუჯეტური</i> ახალ კონ- ტექსტში – ენობრივი არჩევანი „აზრობრივი აქცენ- ტი“.....	101
M a n a n a C h a c h a n i d z e – The Lexeme <i>biuJeturi</i> in a New Context – the Linguistic Choice with a „Thought Accent“	103
ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე – ემოციური შორისდებუ- ლები რ. ინანიშვილის ენაში.....	104
N i n e l i C h o k h o n e l i d z e – Emotional Interjections in R. Inanishvili’s Language	115
ნ ი ნ ო ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე – სხვათა სიტყვის ნაწილაკების გა- მოყენებასთან დაკავშირებული ზოგი ტენდენციის შესა- ხებ	116

Nino Chumburidze – Certain Tendencies Regarding the Usage of Indirect Speech Particles	123
ნინო ხახიაშვილი – ცქირ- სიტყვის ისტორიისათვის	125
Nino Khakhiashvili – On the History of the Word ckir-	133

ნაირა ბეპიევი

ენობრივი დარღვევები ქართულ პრესაში

ენობრივ დარღვევა-შეუსაბამობათა შესახებ ბოლო ხანებში მრავალი საგულისხმო და საჭირო ნაშრომი დაიწერა. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა სახის ენობრივი დარღვევა კვლავაც მრავლად გვხვდება როგორც წერით, ისე ზეპირ მეტყველებაში, რაც ყველაზე ხშირად საინფორმაციო საშუალებებით ვრცელდება (მასმედიის, პრესის, ტელე- და რადიოგადაცემების მეშვეობით).

შეუსაბამო სიტყვათხმარებანი სხვადასხვა სახისაა: სემანტიკურ-გრამატიკული, სტილისტიკური თუ სხვა. დარღვევები გვხვდება ზმნისართების, კომპოზიტების, მიმართებითი სიტყვების, კავშირების, თანდებულებისა და სხვათა ხმარებისას.

სტატიაში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გავამახვილებთ ქართულ პრესაში გამოვლენილ ზოგიერთი სახის დარღვევაზე. კერძოდ, გარკვეული ტიპის **-თან** და **-ზე** თანდებულიან კონსტრუქციაზე (თემატურად – სპორტის ლექსიკისათვის დამახასიათებელ დარღვევებზეც და სხვ.), რაც თანამედროვე ქართული ენის ორთოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.

ცნობილია, რომ **-თან** (← თანა) თანდებული აღნიშნავს ადგილს, სიახლოვეს სახელით გამოხატულ საგანთან. ის დაერთვის მიცემითის გაუვრცობელ ფორმას, თუ სახელი ბოლოთანხმოვნია (სახლთან დგას...), ბოლოხმოვნიან სახელებთან კი ბრუნვის ნიშანი შენახულია (ეზოსთან დგას...). **-ც** ნაწილაკის დართვისას დასახელებული თანდებული სრული სახით გამოიყენება: დედასთანაც, მეგობართანაც...

-ზე (← ზედ ← ზედა) თანდებულიანი სახელით გამოიხატება ზედაობის შინაარსი (წიგნი მაგიდაზე დევს...). ცნობილია, რომ **-ზ** ბგერის გავლენით ბრუნვის ნიშანი იკარგება (სახლ-ზე ← სახლ-ს-ზე, მთა-ზე ← მთა-ს-ზე...). **-ც** ნაწილაკის დართვისას **-ზე** თანდებული სრული სახითაც გვხვდება: მთაზეც // მთაზედაც...

აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ზემოდასახელებული თანდებულები (**-თან** და **-ზე**) უმართებულოდ გამოიყენება გარკვეულ კონტექსტებში. ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ **გაჩერება** სიტყვასთან გამოვლენილ უზუსტობებზე.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა **გაჩერების** ერთ-ერთი მნიშვნელობაა: სპეც. ადგილი, სადაც ტრანსპორტის რაიმე საშუალება ჩერდება მგზავრების ასასვლელ-ჩამოსასვლელად: პირველსავე **გაჩერებასთან...** ავტობუსი დაგვხვდა (რ. ინან.). აგერ **გაჩერებასთან** დავვარდი ტროლეიბუსიდან ჩამოსვლისას (ვ. ჩეკურ.). ავტობუსის **გაჩერებასთან** სკოლის ამხანაგი... შეხვდა (ა. სულაკ.) [ქეგლი – ერთტომეული: 1986].

ვფიქრობთ, სიტყვასთან „გაჩერება“ ერთმანეთისაგან უნდა განიმიჯნოს **-თან** და **-ზე** თანდებულთა გამოყენების შემთხვევები, მაგალითად, **ავტობუსი გაჩერებაზე დგას** სწორია, მაგრამ **დავითი გაჩერებაზე დგას** უმართებულოა. უნდა იყოს: **დავითი გაჩერებასთან დგას**.

ზემოაღნიშნულის თანახმად, ასევე უმართებულო იქნება შემდეგი შესიტყვებანი: **გაჩერებაზე ვიდგები; გაჩერებაზე გაფრედი; გაჩერებაზე დაგიცდი** და მისთ. უნდა იყოს: **გაჩერებასთან ვიდგები; გაჩერებასთან გაფრედი; გაჩერებასთან დაგიცდი...**

შეადარეთ ერთმანეთს ორი წინადადება: **ბავშვი ერთი საათი გაიყვანა გარეთ** და **ბავშვი ორი საათი ჰყავდა ჰაერზე**. პირველი წინადადება უმართებულოა, რადგან კითხვა **რამდენი ხნით** მოითხოვს სახელს მოქმედებით ბრუნვაში (და არა სახელობითში!), მაშასადამე, მართებულაია: **ბავშვი ერთი საათით გაიყვანა გარეთ**. რაც შეეხება მეორე წინადადებას (**ბავშვი ორი საათი ჰყავდა ჰაერზე**), აქ მართებულად არის წარმოდგენილი **ორი საათი** სახ. ბრუნვის ფორმით, რაკი, კონტექსტიდან გამომდინარე, მას დაესმის კითხვა – რამდენი ხანი ჰყავდა ჰაერზე? ამ შემთხვევაში პასუხი, რა თქმა უნდა, სახელობით ბრუნვაში უნდა იყოს.

როგორც ითქვა, მსგავსი ენობრივი დარღვევები გვხვდება სპორტულ ლექსიკაშიც:

„აგორებულ **ხმებს მეტი საფუძველი** სერია „ა“-ს ბოლო ტურში „მილანის“ თამაშმაც **დაუდო**, რომელშიც კალაძე ტერიმმა მხოლოდ **ბოლო სამი წუთი შემოიყვანა** მინდორზე **შეცვლაზე**“ (გაზ. „რეზონანსი“, 2001 წ. 20.10).

ამ წინადადებაში რამდენიმე შეცდომაა:

1. **საფუძველი დაუდო** კი არა – **საფუძველი ჩაუყარა**. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში აჯობებს: **მეტი საბაზი მისცა** ან: **საფუძველი განუმტკიცა**.

2. **სამი წუთი შემოიყვანა** კი არა – **სამი წუთით შემოიყვანა**.

3. უმართებულოა: „შემოიყვანა მინდორზე **შეცვლაზე**“. უნდა იყოს: შემოიყვანა მინდორზე (შესაცვლელი სპორტსმენის გვარის მითითებით).

ანალოგიური შეცდომა დასტურდება იმავე გაზეთში: **„შეცვლაზე შემოსულ** ფიფიას ოდნავ რომ არ დაეყოვნებინა, გოლი გარდაუვალი იყო“. ამ წინადადებაში **შეცვლაზე შემოსულის** ნაცვლად უნდა იყოს: **შემცვლელად შემოსული**.

სპორტულ თემაზე დაწერილ სტატიებში გვხვდება მრავალი სხვადასხვა სახის შეცდომა. წინადადებებში დასტურდება ჟარგონები, კალკები, უმართებულო შესიტყვებანი და სხვ., მაგ.: „კალამის განცხადებით, ის ბევრ საინტერესოს პოულობს ტერიმის მუშაობაში და „მილანის“ მთავარ მწვრთნელთან არავითარი უთანხმოება არა აქვს, პირიქით, ტერიმი მას ყოველთვის ამხნევეს, **თუ მას თამაში არ წაუვიდა**“. „თამაში არ წაუვიდა“ რუსულის კალკია, უნდა იყოს **თამაში არ გამოუვიდა**.

ანალოგიური შეცდომა იმავე გაზეთის სხვა სტატიაში: „ბოსნიელებს არანაკლები მცველები ჰყავდათ, დღეს თითქოს თავიდანვე **„თამაში არ წამივიდა**“. ესეც რუსულის კალკია. უნდა იყოს: **თამაში არ გამომივიდა**.

„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე ტომში ვკითხულობთ: „**დაისაკუთრებს** ნიშნავს ვინმეს ან რამეს თავის საკუთრებად აქცევს, მისისაკუთრებს, მიითვისებს, დაეპატრონება, დაიჩემებს“ [ქსკს 1985: 121]. მიუხედავად იმისა, რომ ამ და მსგავსი შეცდომების შესახებ აქ ნათლად არის მითითებული, რომ **დაისაკუთრა** კი არა, სწორი ფორმაა **დაიმსახურა**, გაზეთებში მაინც წერენ: „ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი ამირან ყველაშვილმა **დაისაკუთრა**“ (გაზ. „რეზონანსი“, 2001 წ. 20.10).

ხშირია ასეთი სახის შეცდომებიც: ხელი **გაიჭრა** – **გაეჭრას** ნაცვლად. **გაიჭრა** ფორმით ნებელობითი ქმედებაა გამოხატული, გაეჭრა კი **უნებურ** ქმედებაზე მიგვანიშნებს; ფეხი **იტკინა** – **იტკინას** ნაცვლად; **გაიკაწრა** – **გაეკაწრას** ნაცვლად და სხვა მრავალი: „ასევე ვერ

ითამაშებს ეშლი კლოულიც, რომელმაც **კუნთი დაიჭიმა ვარჯიშზე**“ (გაზ. „რეზონანსი“, 2001 წ. 20.10). უნდა იყოს: ვარჯიშის დროს **კუნთი დაეჭიმა** (მოქმედება ხდება უნებურად, მისი ნების საწინააღმდეგოდ). ზმნას **დაიჭიმა** (როცა ის ორპირიანია: დაიჭიმა მან იგი) ვხმარობთ, როცა კუნთს საგანგებოდ ვიჭიმავეთ, როცა ნებელობითი მოქმედებაა, რაც ამ შემთხვევაში გამორიცხულია.

ანალოგიური შეცდომა იმავე გაზეთიდან: „ასევე მეტად საექვოა სტეფან ენჩოს თამაშიც, რომელმაც კიევის „დინამოსთან“ **მუხლი დაიზიანა** (უნდა იყოს: რომელსაც კიევის „დინამოსთან“ თამაშის დროს **მუხლი დაუზიანდა**)“.

სპორტთან დაკავშირებულ სტატებში ვხვდებით აგრეთვე შემდეგი სახის შეცდომას: **დისკვალიფიკაცია მოიხადა. დისკვალიფიკაცია**, რასაკვირველია, სპორტსმენის გარკვეული სასჯელია, რომელსაც კი არ იხდიან, არამედ მას ვადა გასდის (**დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა**).

პრესაშივე გვხვდება ზოგიერთი უმართებულო გამოთქმაც: „გენერლები... **ეწევიან უკანონო მაქინაციებს**, დოკუმენტების გაყალბებას“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წ. 17/10, N209). შეცდომა: **ეწევიან უკანონო მაქინაციებს** – გასათვალისწინებელია, რომ კანონიერი მაქინაციები არ არსებობს. უმართებულოა აგრეთვე: **ეწევიან დოკუმენტების გაყალბებას**, სწორი იქნება: **დოკუმენტებს აყალბებენ**.

გვაქვს შემდეგი სახის შეცდომა: „ნარკოსაქმოსნების, არალეგალი იმიგრანტების, სხვადასხვა მაფიოზური და ტერორისტული დაჯგუფებების წევრთაგან **ქვეყნის დაცვის პირველი ხაზი 80 პროცენტით შედგება** პრაქტიკულად უწვრთნელი და გამოუცდელი სტუდენტებისაგან“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წ. 17/10, N209). მართებული იქნება: **...ქვეყნის დაცვის პირველ ხაზზე 80 პროცენტი უწვრთნელი და გამოუცდელი სტუდენტები დგანან**.

ზოგჯერ შეუსაბამო სიტყვათშეხამება გვხვდება ჟურნალ-გაზეთებში. არასწორია – **წარმატება მოვიდა**, ბუნებრივ შესიტყვებად უნდა ჩაითვალოს **წარმატებას მიაღწია, გამარჯვებას მიაღწია. წარმატება მოვიდა** რუსულის კალკია [ბეპიევი 2006: 68].

არასწორი შესიტყვებაა აგრეთვე **იწურება ღვინო**, რადგან წურავენ ყურძენს, ღვინოს კი აყენებენ.

ბუნებრივი შესიტყვებაა: **ყურძენს ვწურავ; ყურძენი დავწურე; ყურძენი დამიწურავს**: ორი დღეა, **ყურძენს ვწურავ** (არავინ იტყვის –

ღვინოს ვწურავ); წელს ბლომად **ყურძენი დავწურე**; რაც მოვკრიფე, **სულ დავწურე** (იგულისხმება ყურძენი); ამდენი **ყურძენი** არასდროს **დამიწურავს**.

როგორც ითქვა, სწორია **ყურძენის დაწურვა**, **ღვინის დაყენება**. ხშირად ეს აღრეულია: „ფაქტობრივად, თბილისობა უხვკალთიანი საშემოდგომო ნობათით იწყებოდა, ზამთრის მარაგს იძენდა, ბევრ ოჯახში **იწურებოდა ღვინო**“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996 წ. 9/10, N 203). მაშასადამე, **ღვინის დაწურვა** შეუძლებელია, **ყურძენის დაწურვა** ბუნებრივი გამოთქმაა. ასევე ბუნებრივი სიტყვათშეხამებაა **ღვინის დაყენება**.

ქეგლის მიხედვით, **წყალობა** (წყალობისა) 1. კეთილგანწყობილება, კარგი დამოკიდებულება. 2. კარგი რამ, სიკეთე. ხალხს ჰპირდებიან ყოველგვარს წყალობას ურჯულოებთან ბრძოლისთვის (ა. ყაზბ.). ...წყალობით, ჩართული გამოთქმა – იტყვიან, როდესაც რაიმე სიკეთის შესახებ ჰყვებიან. ვართ ღვთისა და თქვენი წყალობით კარგა“ (ჭ. ლომთ.) [ქეგლი – ერთტომეული: 1986].

ბოლო ხანებში შეიმჩნევა ამ სიტყვის უარყოფითი მნიშვნელობით ხმარების ტენდენცია. ზმნისართი **წყალობით** მიღებულია სახელისაგან **წყალობა**. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ მეშვიდე წიგნში მითითებულია, რომ „წყალობით“ „უმეტესად იხმარება იმ შემთხვევებში, როდესაც რაიმე საქმეში ვინმეს ან რაიმეს დადებითი როლისა და მათი მოქმედების სასურველი შედეგის შესახებ ლაპარაკობენ“ [ქსკს 1985: 398-399]. თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ ამ სიტყვამ გაიფართოვა მოხმარების არე და გამოიყენება არა მარტო დადებითი შინაარსისა თუ სასურველი შედეგის გადმოსაცემად, არამედ მიზეზის გამოსახატავადაც. ამავე დროს „ხშირად **წყალობით** ფრაზაში ირონიული მნიშვნელობითაც იხმარება და თავისი თავდაპირველი, ამოსავალი ლექსიკური მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრს იძენს... თუმცა მას ჯერ კიდევ არ დაუკარგავს თავისი თავდაპირველი ლექსიკური მნიშვნელობა“ [ქსკს 1985: 399].

ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ ამ სიტყვის დაკავშირება „ისეთ სიტყვებთან, რომელთა სემანტიკაც წინასწარ გამორიცხავს რაიმე დადებითსა თუ სასურველს ან – რომელიც საერთოდ მოქმედების უარყოფითი შედეგის გამომხატველია, არ იქნება მართებული. მსგავს შემთხვევებში სწორი იქნება ლექსიკური ერთეული **გამო** – და არა

წყალობით. სიტყვა **წყალობა** (ისევე როგორც **მწყალობელი**) ყოველთვის დადებითის აღსანიშნავად უნდა გამოიყენებოდეს. არაერთგზის გვესმის შემდეგი სახის წინადადებები: „გუნდმა მეტოქის მიერ საკუთარ კარში **გატანილი გოლის წყალობით** მიაღწია გამარჯვებას“. ასეთ შემთხვევებში უმჯობესი იქნება: „**გატანილი გოლის შედეგად**“... თანამედროვე სალიტერატურო ქართული ენის ნორმების დაცვა აუცილებელია აზრის სრულყოფილად გადმოსაცემად არა მარტო პრესის ფურცლებზე, არამედ საუბრის დროსაც.

ლიტერატურა

ქსკს 1985 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეშვიდე, თბილისი.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი.

ბეპიევი 2006 – ნაირა ბეპიევი, წერილები, თბილისი.

Naira Bepievi

Linguistic Violations in the Georgian Press

Summary

Keywords: linguistic, stylistic, grammatical, semantics, tense, press.

Recently, much important and necessary research has been published on language violations-inconsistencies. Nevertheless, various types of language violations continue to be found, which are often spread especially through the media.

The present paper focuses on some of those disorders that we come across published in the Georgian press: by- and -on prepositions attached

to the construction; Thematically – on the violations characteristic of the vocabulary of sports, etc., which is one of the important issues of the orthography and orthoepy of the modern Georgian language. *by-* indicates a location next to the object, together with it, close to it. The noun construction accompanied by the preposition *by* - can also indicate the direction: he raced to the ball, he ran to the ball. But its main purpose is to indicate the location: with whom? with what? The place is always specified through prepositions *by* and *on*. There is a different nuance *by* the house, another to the house. *On the bridge* has a dissimilar meaning to *by the bridge*. There can be no confusion here. The only exception is the use of this conjunction with the beginning and bus stop.

According to the explanatory dictionary of the Georgian language: a bus stop – is a special place where transport stops for boarding and disembarking passengers. This word (stop) will be joined by many conjunctions -towards, -to, -on (in different cases). Two forms are often used: *by* and *on*. Both location markers are related, but with different nuances. One is the conjugated form *by* indicating a place. It answers the question - with what? *by* the table; The second conjugation form -*on* denotes the location above. E.g.: *on the table*, or *on the roof*, in recent times there has been a tendency to attach the word stop the prepositions *by* and *on*: *on the stop*, a bus is standing is correct, but a person standing *on the bus stop* is wrong, it is correct to say he is standing *by the stop*. Improper usage leads to confusion.

Incorrect: I stopped on the stop. I will wait for you on the stop.

Instead, it should be: I was standing by the stop. I waited for you by the stop.

The paper also discusses the terminological issues as well as other types of recesses found in the Georgian press.

თეა ბურჭულაძე

ნომერ პირველი თუ ნომერი პირველი?

ბოლო პერიოდში თანამედროვე ზეპირ თუ წერით მეტყველებაში საგრძნობლად გააქტიურდა სიტყვათმეხამების – **ნომერ პირველი** – გამოყენების შემთხვევები. იშვიათად დასტურდება შესიტყვება **ნომერი პირველი**. თუ მათ მოხმარების სიხშირის მიხედვით შევადარებთ, აშკარად დავინახავთ, რომ უპირატესია უბრუნვისნიშნო ვარიანტები, ანუ **ნომერ პირველი**.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული სიტყვათმეხამება სპეციფიკური შესიტყვებაა, რაც იწვევს მისი განსხვავებული ვარიანტების გაჩენას. „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ სიტყვა **პირველი** შემდეგნაირადაა განმარტებული: ა) რიგით სხვაზე უწინარესი, ყველაზე წინ მყოფი, ყველაზე ადრე არსებული (პირველი გაკვეთილი, პირველი ტომი), ბ) ვისაც (რასაც) პირველი ადგილი უკავია – ყველაზე კარგი, საუკეთესო („ის თანატოლებში პირველი ბიჭი იყო“; „თავის დარგში პირველი გახლავთ“), გ) სხვაზე უწინ, სხვაზე ადრე რაიმეს ჩამდენი („მან **პირველმა** დაიხია უკან“; „ყველას სურდა, **პირველი** მისულიყო საარჩევნო ყუთთან“ – ქეგლი). მართალია, სიტყვა **პირველი** ზემოთ დასახელებულ შინაარსობრივ ნიუანსებს დამოუკიდებლადც გამოხატავს, თუმცა დღეს მასთან ერთად (როგორც ითქვას) ხშირად დასტურდება ლექსიკური ერთეული **ნომერი**, რომელიც გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. უპირველესად ხაზგასასმელია აღნიშნული შესიტყვების შინაარსობრივი სხვაობა იმისდა მიხედვით, მსაზღვრელი **ნომერია** თუ **პირველი**. კერძოდ, თუ **ნომერი** საზღვრულია, ასეთ შემთხვევაში თითქოს უფრო მეტად, პირობითად რომ ვუწოდოთ, მარტივი რიგითობა გამოიხატება (რიგით სხვაზე უწინარესი, ყველაზე წინ მყოფი, ყველაზე ადრე არსებული). მაგალითად, „მე რიგში **პირველი ნომერი** ვიყავი“; „თქვენ გუნდის **პირველი ნომერი** ხართ“... შევადაროთ სხვა ბრუნვებსა და მათ შინაარსს: „**პირველ ნომრად** ჩამწერა“; „იქ მყოფ **პირველ ნომერს** გადავეცი საბუთები“; „გუნდში **პირველი ნომრის** მასურით ვთამაშობდი“... სიტყვათმეხამებაში **ნომერი პირველი** უფრო სხვაგვარი მომენტი იგულისხმება – ვისაც (რასაც) პირველი ადგილი უკავია – ყველაზე კარგი,

საუკეთესო. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში წარმოჩენილია არა უბრალოდ რიგიობა, არამედ პროფესიაში, საქმიანობაში პირველობა. აქ უფრო **საუკეთესოს** შინაარსია წარმოჩენილი. მას ენა იყენებს მაშინ, როცა პირის განსაკუთრებული წვლილის, ცოდნის, პროფესიონალიზმის (ან ამა თუ იმ სფეროში ცნობადობის გამო) პირველობის ჩვენება სურთ: შდრ.: „ის ჩვენი ქვეყნის **ნომერ პირველი** პოლიტიკოსია“; „ის ჩვენს სფეროში **ნომერ პირველი** კომპანიაა“; „ამ საქმეზე შესაძლოა მსოფლიოს **ნომერ პირველი** ჩოგანი დაიკითხოს“; „ახლა ჩვენი **ნომერ პირველი** ინვესტორი აზერბაიჯანია“; „ვინ მოკლა მსოფლიოს **ნომერ პირველი** ტერორისტი?“

პირველის „საუკეთესოს“ მნიშვნელობით გამოყენებაზე მიუთითებს ასევე, მაგალითად, ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის სათაური „**პირველები**“, რომელიც, ცხადია, სწორედ თავიანთ დარგსა თუ საქმიანობაში პირველ პირებს გულისხმობს. როგორც ჩანს, როცა **პირველს** მსაზღვრელად **ნომერი** ემატება, ის თავის საზღვრულს გარკვეულ (გაძლიერებულ) შინაარსს მატებს და უფრო მეტად სტილიზებული სახითაც წარმოჩნდება. შდრ.: ამ საქმეში **პირველი** ხარ // ამ საქმეში **ნომერი პირველი** ხარ; ყველა დროის **პირველი**... // ყველა დროის **ნომერი პირველი**...

დაწერილობის სიჭრელემ ბუნებრივად დასვა დასახელებული სიტყვათშეხამების მართლწერის საკითხი – მსაზღვრელი ნაწილი სახ. ბრუნვაში ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი თუ ბრუნვის ნიშნით.

ზოგადად, ცნობილია, რომ მოცილე ვარიანტების არსებობის დროს (ნორმათა დადგენისას) ამოსავალია სადავო ფორმების სტრუქტურა, ბრუნების ტიპი, სემანტიკა და სინტაქსური ფუნქცია – ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობა. დასახელებულ შემთხვევებშიც სწორედ ამ პრინციპებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. კითხვაზე პასუხისას, თუ რომელი ვარიანტია მართებული აღნიშნული სიტყვათშეხამების შემთხვევაში – ბრუნვისნიშნიანი თუ ფუძის სახით წარმოდგენილი – რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ქართული ენის გრამატიკული ბუნება. ცნობილია, რომ ყველა ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მნიშვნელობა აქვს მსაზღვრელის ფუძეს – თანხმოვანფუძიანია ის თუ ხმოვანფუძიანი. ქართულისათვის პრეპოზიციისას დამახასიათებელია ხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ფუძის სახით გამოყენება ყველა ბრუნვაში (ასეა ყველა ხმოვანფუძიანი სახელი),

ხოლო თანხმობანფუძიანი მსაზღვრელი ინარჩუნებს სახელობითის ნიშანს (o). პოსტპოზიციური წყობის დროსაც შენარჩუნებულია სახელობითი ბრუნვის ნიშანი: დიდი სახლი – სახლი დიდი, შავი ფეხსაცმელი – ფეხსაცმელი შავი და სხვ. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამგვარ კონსტრუქციებში, გარდა **ნომერ პირველისა**, არ გვხვდება სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგენილი თანხმობანფუძიანი მსაზღვრელი სიტყვა (შეთანხმების თვალსაზრისით ამ მხრივ აღსანიშნავია მხარეთა აღმნიშვნელი მსაზღვრელი სახელები: დასავლეთ საქართველო // დასავლეთი საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო // აღმოსავლეთი საქართველო...).

მოყვანილ შესიტყვებაში გასათვალისწინებელია შემდეგიც: **ნომერი პირველი** წყობა პოსტპოზიციურია თუ პრეპოზიციური? ვფიქრობთ, აქ მსაზღვრელია **ნომერი**, ხოლო სიტყვათშეხამების – **პირველი ნომერი** – შემთხვევაში **პირველია** მსაზღვრელი, **ნომერი** კი – საზღვრული, მაშასადამე, აქაც პირდაპირი წყობაა. ეს გამოწვეულია აღნიშნულ სიტყვათშეხამებათა შინაარსობრივი ნიუანსებითაც – **ნომერი პირველი**: რიგით სხვაზე უწინარესი, ყველაზე წინ მყოფი, ყველაზე ადრე არსებული; **პირველი ნომერი**: ვისაც (რასაც) პირველი ადგილი უკავია – ყველაზე კარგი, საუკეთესო. უნდა ითქვას ისიც, რომ სახელობითში ბრუნვის ნიშნის დართვა-დაურთველობის თვალსაზრისით ისედაც არ აქვს მნიშვნელობა წყობას, რადგან ორივე შემთხვევაში ქართული ენისათვის დამახასიათებელია მსაზღვრელის ბრუნვის ნიშნით გაფორმება.

ზოგადად, ქართულისათვის უცხო არაა მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური რიგი, უფრო მეტიც, ძველ ქართულში ის ბუნებრივიც კი იყო. „ძველი ქართულისათვის ინვერსიულად მიჩნეული წყობა (დიდი სახლი) დღევანდელი ქართულისათვის პირდაპირია, პირდაპირ წყობად მიჩნეული კი (სახლი დიდი) ინვერსიული“ [კვაჭაძე 2010: 198]. პრეპოზიციური წყობისას თანხმობანფუძიანი მსაზღვრელი ყოველთვის ირთავს სახელობითი ბრუნვის ნიშანს.

მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეწყობის თვალსაზრისით თავისებურია ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვათა ისეთი შემთხვევები, როცა საკუთარ სახელს წინ ახლავს პროფესიის, თანამდებობის, სამეცნიერო და სამხედრო ხარისხისა თუ წოდების აღმნიშვნელი ბოლოთანხმობიანი სახელი (აგრეთვე ზოგიერთი სხვა სახელიც: მეგობარი, გაზეთი, ჟურნალი, სტუდენტი და მისთ.). ასეთი წყობისას

ის დასახელებულ ბრუნვებში ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ არა სახელობით ბრუნვაში. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ **ნომერ პირველის** გამოყენებისას ამგვარი ვითარებაა – აქ მთლიანად შესიტყვება გამოხატავს გარკვეულ სტატუსს, მაგრამ **ნომერი** ისეთივე მსაზღვრელია, როგორც **ჟურნალი, გაზეთი...** აღნიშნულ თავისებურებებთან ერთად აქ ერთი მომენტიცაა აღსანიშნავი – ქართულში გაუფორმებლად წარმოდგენილია მხოლოდ საკუთარი სახელი, რომელსაც მოსდევს გარკვეული სტატუსისა თუ პროფესია-თანამდებობის აღმნიშვნელი სახელები: თამარ მეფე, თამარ მეფემ, თამარ მეფის...; დავით რექტორი, დავით რექტორმა, დავით რექტორის... (შებრუნებული წყობისას კი ის, ჩვეულებრივ, სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: მეფე თამარმა, მეფე თამარს...; რექტორმა დავითმა, რექტორ დავითს...). ეს არ ჩაითვლება გამონაკლისად, რადგან საკუთარი სახელი ყოველთვის გაუფორმებლად გამოიყენება ყველა ტიპის მხლებელ სიტყვასთან. ამიტომ ვერც ამგვარ შესიტყვებათა (თამარ მეფემ, თამარ მეფეს...) არსებობა ვერ გაამართლებს სიტყვათშეხამების – **ნომერ პირველი** – გამოყენებას.

აქ უთუოდ გასათვალისწინებელია უცხო ენის გავლენა. ხომ არაა ის რუსულიდან პირდაპირი თარგმანის შედეგი? – შევადაროთ: **Первый номер** და **Номер Первый**. რამდენადაც ქართულ ენას სხვა შემთხვევებში არ ახასიათებს თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელის ფუძის სახით წარმოდგენა სახელობით ბრუნვაში, ვფიქრობთ, ის რუსულის გავლენა უნდა იყოს და, ცხადია, არ არის მართებული.

ნორმათა დადგენისას სათანადო ყურადღება ექცევა იმასაც, თუ რამდენად გავრცელებულია მოცილე ფორმათა ესა თუ ის ვარიანტი: „როცა ენაში რაიმე ცვლილება იჩენს თავს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, თუ რამდენადაა იგი გავრცელებული, როგორია მისი გამოყენების არე, რამდენად ეგუება იგი განვითარების ტენდენციას, რა პერსპექტივები აქვს, რომ სოციალური სანქცია მოიპოვოს“ [ნორმები 1970: 6]. დასახელებულ შემთხვევებში გავრცელებულობის თვალსაზრისით უბრუნვისნიშნო ვარიანტი (ნომერ პირველი) უფრო ხშირად დასტურდება, მაგრამ ის ქართულის გრამატიკულ წყობას ვერ ეგუება.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება – ჩვენ მიერ მოძიებული მასალის მიხედვით, მედიასივრცეში ხშირად მოთხრობით ბრუნვაშიც დასტურდება ფუძის სახით **ნომერი** (**ნომერ პირველმა**):

„მსოფლიოს **ნომერ პირველმა** ქალმა ჩოგბურთელმა ეშლი ბარტიმ კარიერა 25 წლის ასაკში დაასრულა“; „რა ცვლილებები გააცნო **ნომერ პირველმა** რეფორმატორმა ქვეყანამ მსოფლიო ბანკის წარმომადგენელს?“; „უღრმესი მადლობა შესანიშნავი თავგადასავლისთვის“, – განაცხადა მოგვიანებით საქართველოში შეერთებული შტატების **ნომერ პირველმა** დიპლომატმა“; „ერთი წლის წინ, თალიბების რეჟიმი, ავღანეთში, გარდა იმისა, რომ იქ **ნომერ პირველმა** საერთაშორისო ტერორისტმა ნახა თავშესაფარი, ყველაზე რეპრესიული იყო მთელს მსოფლიოში“. მართალია, დასახელებული შემთხვევები ისეთი სიხშირით არ გამოიყენება, როგორც **ნომერ პირველი**, მაგრამ მაინც აშკარად შესამჩნევია.

ჩვენი დაკვირვებით, ამგვარ კონსტრუქციას (ნომერი პირველი) სათქმელის გასაძლიერებლად, სტილიზაციისათვის (ნომერ / ნომერი პირველი) ენა იშვიათად იყენებს სხვა რიცხვით სახელთა შემთხვევებში. ნაკლებად გვექნება: ნომერ მეორე, ნომერ მესამე: შენ ჩვენს კომპანიაში **ნომერ მეორე** ხარ / გუნდის **ნომერ მესამე** ხარ... ძირითადად ამგვარ შინაარსს დამოუკიდებლად (**ნომრის** დამატების გარეშე) გამოხატავს რიგობითი რიცხვითი სახელი: „ამ საქმეში **მეორე** ხარ“; „წარმატებულთა ათეულში **მესამე** ხარ“ (როგორც ითქვა, იშვიათად გვექნება **ნომერი მეორე** ხარ, **ნომერი მესამე** ხარ...). როცა სხვა რიგობით რიცხვით სახელებს წინ ახლავს **ნომერი** (პირველის გარდა), აქ იგი საგნის რიგის მაჩვენებელი მნიშვნელობითაა წარმოდგენილი – და არა შესიტყვების გასაძლიერებლად თუ სტილიზირი ფაქტორით. ამგვარ შესიტყვებებშიც გვხვდება სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით გამოყენებული მსაზღვრელი **ნომერი**: „ესაა **ნომერ მეორე** ადგილობრივი საარჩევნო პუნქტი“; „სასჯელადსრულების **ნომერ მეშვიდე** დაწესებულება დაიხურა“; „**ნომერ მეორე** საჯარო სკოლა“; ამის შემდეგ **ნომერ მეორე** მოთამაშის ჯერი დგება... ძალიან იშვიათად დასტურდება სახელობითბრუნვიანი ვარიანტებიც, როცა **ნომერი** სწორედ სტილიზირი თუ სათქმელის გაძლიერების ფუნქციითაა გამოყენებული: „მე ვერ წარმომიდგენია ის, რომ ის დათანხმდეს გახედეს კლუბში **ნომერი მეორე** პერსონა“; „ის დღესაც რეიტინგის მიხედვით **ნომერი მეორე** პოლიტიკოსია საქართველოში“. აღსანიშნავია ერთი გარემოება: თუ სიტყვა **ნომერი** ახლავს არა რიგობით, არამედ რაოდენობით რიცხვით სახელს, მაშინ **ნომერი** ყოველთვის სახ.

ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი – როგორი წყობისაც არ უნდა იყოს ის: ნომერი ორი, ნომერი ხუთი...

ზემოთქმული გვაძლევს იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ სპეციფიკური წარმოება აშკარად იკვეთება მხოლოდ სიტყვა **ნომერთან**. ის არ მიჰყვება ქართული ენის მსაზღვრელ-საზღვრულის ტრადიციულ ბრუნებას (თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი სახელობით ბრუნვაში ყოველთვის ბრუნვის ნიშნითაა გამოხატული), პარადიგმა კი ისეთი იქნება, როგორც **ჟურნალი, გაზეთი, კუნძული** ტიპის მსაზღვრელ სახელთა ბრუნების შემთხვევებშია. შევადაროთ:

1. მსაზღვრელი სახელია ნომერი	2. მსაზღვრელი სახელია პირველი
სახ. ნომერ- ი პირველ- ი	პირველ- ი ნომერ- ი
მოთხრ. ნომერ- მა პირველ- მა	პირველ- მა ნომერ- მა
მიც. ნომერ პირველ- ს	პირველ ნომერს- ს
ნათ. ნომერ პირველ- ის	პირველ- ი ნომრ- ის
მოქმ. ნომერ პირველ- ით	პირველ- ი ნომრ- ით
ვით. ნომერ პირველ- ად	პირველ ნომრ- ად
წოდ. ნომერ- ო პირველ- ო	პირველ- ო ნომერ- ო

პირველი პარადიგმა გვიჩვენებს სწორედ ხელობის, პროფესიის, წოდებისა და მსგავსი ტიპის მსაზღვრელების საზღვრულთან ბრუნების სურათს, ხოლო მეორეში ჩვეულებრივი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება წარმოჩნდება.

ვფიქრობთ, სიტყვათშეხამებაში **ნომერ პირველი** ფუძის სახით წარმოდგენილი მსაზღვრელი განპირობებულია რუსული ენის გავლენით. უბრუნვისნიშნო ვარიანტი არაბუნებრივია ქართული თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელისათვის, ამიტომ მართებული იქნება შესიტყვება **ნომერი პირველი**.

ლიტერატურა

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, თბილისი.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

ქეგელი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, თბილისი.

Tea Burchuladze

nomer pirveli or nomeri pirveli?

Summary

Recently, in modern oral and written speech, the cases of using the phrase *nomer pirveli* “the number one” have significantly increased. The syntagm *nomeri pirveli* is rarely attested. If we compare these two forms based on the frequency of use, it is clear that the variant with no case marker, or *nomer pirveli* is preferred.

The specific production of an ordinal number with the word *nomeri* is evident. It does not follow the traditional syntactic relation of the head word and a modifier for the Georgian language – a consonant-based modifier is always expressed with the case marker in the nominative case. And the paradigm will be the same in the cases of the declension of a modifier denoting a certain status, position or craft.

We think that the presence of the base of a modifier without any markers in the syntagm *nomer pirveli* is due to two following factors: 1. It indicates a certain status in such an arrangement of words and 2. the influence of the Russian language. Obviously, due to these two factors, the form without a case marker is spread which is inappropriate for the Georgian grammatical structure and nature. It is formed in the same way as a the regular consonant-based head and modifier.

ციცინო გაბესკირია

პლეონაზმები ინგლისურ და ქართულ ენებში

პლეონაზმი ბერძნული სიტყვაა და სიჭარბეს, სიუხვეს, ზედმეტობას ნიშნავს. ენათმეცნიერებაში პლეონაზმს ხშირად მრავალსიტყვაობით ან უხვსიტყვაობით მოიხსენიებენ, როდესაც ფრაზის ერთი შემადგენელი სიტყვის მნიშვნელობა შედის მეორე სიტყვაში და ამდენად ეს სიტყვა ზედმეტად მიიჩნევა, მაგ., *მოულოდნელი სიურპრიზი*, *უფასო საჩუქარი*, *ახალი დასაწყისი* და სხვ. სიურპრიზი თავისთავად მოულოდნელი საჩუქარი ან მოულოდნელი სასიამოვნო ახალი ამბავია, ამიტომ აქ სიტყვა მოულოდნელი ზედმეტია. ის იგულისხმება სიურპრიზში, ასევე, *ახალ დასაწყისში* ზედმეტია სიტყვა *ახალი*, ვინაიდან ის იგულისხმება *დასაწყისში*, ხოლო *საჩუქარი* რომ *უფასოა*, ეს ისედაც კარგად არის ცნობილი, აქაც სიტყვა *უფასო* ზედმეტია.

ჩვენი დაკვირვების თანხმად, საინტერესო სურათი იხატება ორი ენის – ინგლისურისა და ქართულის შეპირისპირებისას. განსხვავებული ეთნოლინგვისტიკური პარამეტრების მიუხედავად, ბევრი საერთო რამ იკვეთება. ამიტომ შედარებისას შევეცდებით ინგლისურს ქართული შევუპირისპიროთ.

უპირველესი და საყოველთაოდ მიჩნეული პლეონაზმები ანალოგიურია ინგლისურსა და ქართულ ენებში, როგორებიცაა, მაგალითად: *I saw it with my own eyes*, „ჩემი საკუთარი თვალით დავინახე“ – *I heard it with my own ears*, „საკუთარი ყურით მოვისმინე“, *He stretched his own hand* – მან თავისი (*საკუთარი*) ხელი გამომიწოდა და ა. შ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ქართულში პლეონაზმად ისიც ჩაითვლება, თუ ვიტყვით, რომ მან *თავისი* ხელი გამომიწოდა, მაშინ, როცა ინგლისურში კუთვნილებითი ნაცვალსახელის გარეშე ეს წინადადება ვერ გაიმართება, აქ აუცილებელია ნაცვალსახელ *his*-ის ხმარება. როცა ქართულში *ვამზობთ* „ხელით შეეხო“, ინგლისურში, ბუნებრივია, კუთვნილებითი ნაცვალსახელი უნდა ვიხმაროთ „*He touched him with his hand* და ეს პლეონაზმად არ ჩაითვლება, მაგრამ თუ ვიტყვით *with his own hand* – აი, ეს იქნება პლეონაზმი, ვინაიდან აქ *own* ზედმეტია, ქართულში კი *his* (*თავისი*) საკმარისია.

არსებობს სრულიად იდენტური პლენონაზმები, რომლებიც ორივე ენაში „ერთნაირი წარმატებით“ იხმარება:

Honest truth – პატიოსანი სიმართლე

Young girl – ახალგაზრდა ქალიშვილი

Warn in advance – წინასწარი გაფრთხილება

Subject matter – საგანი, თემა

Whether or not – თუ ვინიცილობა

Serious crisis – სერიოზული კრიზისი

Deep depression – ღრმა დეპრესია

Future plans – მომავლის გეგმები

Over-exaggerating – ზეგადაჭარბება

Safe haven – უსაფრთხო თავშესაფარი

Armed gunmen – თოფიანი შეიარაღებული პირები და სხვა.

უნდა ითქვას ისიც, რომ ინგლისურში პლენონაზმი გაცილებით ფართოდ არის შესწავლილი, ვიდრე ქართულში, მეტიც, მას არა მხოლოდ ენათმეცნიერები შეისწავლიდნენ, არამედ იგი ინტერესის საგანს წარმოადგენდა ჯორჯ კარლინისთვისაც. *ჯორჯ კარლინი (George Denis Patrick Carlin; 1937-2008)* იყო ამერიკელი კომიკოსი, მსახიობი, მწერალი, სცენარისტი, პროდიუსერი, „გრემის“ ოთხი პრემიისა და მარკ ტვენის პრემიის მფლობელი, 5 წიგნისა და 20-ზე მეტი მუსიკალური ალბომის ავტორი. ის ცნობილი იყო თავისი ცინიკური გამონათქვამებით და ამ ცინიზმის ნიღბის უკან მთელი ცხოვრებისეული სიმართლე იმალება. ის ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობდა მისთვის დამახასიათებელი, მიწოდების განსაკუთრებული ხერხით. ქვემოთ მოგვყავს მისი სიტყვა და შესაბამისი ქართული თარგმანი:

George Carlin

Count the superflous redundant pleonastic tautologies

My fellow countrymen, I speak to you as coequals, knowing you are deserving of the honest truth. And let me warn you in advance, my subject matter concerns a serious crisis caused by an event in my past history: the

execution-style killing of a security guard on a delivery truck. At that particular point in time, I found myself in a deep depression, making mental errors which seemed as though they might threaten my future plans. I am not over-exaggerating. I needed a new beginning, so I decided to pay a social visit to a personal friend with whom I share the same mutual objectives and who is one of the most unique individuals I have ever personally met. The end result was an unexpected surprise. When I reiterated again to her the fact that I needed a fresh start, she said I was exactly right; and, as an added plus, she came up with a final solution that was absolutely perfect. Based on her past experience, she felt we needed to join together in a common bond for a combined total of twenty-four hours a day, in order to find some new initiatives. What a novel innovation! And, as an extra bonus, she presented me with the free gift of a tuna fish. Right away I noticed an immediate positive improvement. And although my recovery is not totally complete, the sum total is I feel much better now knowing I am not uniquely alone.

ჯორჯ კარლინი

დაითვალეთ ზედმეტი ჭარბი პლეონასტური ტავტოლოგიები

ახალი დასაწყისი მჭირდებოდა, ამიტომ გადავწყვიტე სოციალური ვიზიტით ვწვეოდი პირად მეგობარს, ვისთანაც იგივე ურთიერთდამოკიდებულება მაქვს და რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ინდივიდია, რომელსაც პირადად შევხვედრივარ. საბოლოო შედეგი მოულოდნელი სიურპრიზი იყო. როდესაც კიდევ ერთხელ გავუმეორე მას ფაქტი იმის შესახებ, რომ ახალი დაწყება მჭირდებოდა, მან მიპასუხა, რომ მე ზუსტად სწორი ვიყავი; და, დამატებით პლუს, ის გამოვიდა წინადადებით საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ, რაც აბსოლუტურად სრულყოფილი იყო. მისი წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, ის მიიჩნევდა, რომ საჭიროა საერთო კავშირში გაერთიანება დღეში, სრული ოცდაოთხი საათის განმავლობაში, რათა მოგვეპოვებინა ახალი წამოწყებები. რა ახალი სიახლეა! და დამატებითი ბონუსის სახით მან მაჩუქა ტუნის თევზის უფასო საჩუქარი. მე მაშინვე დავინახე დაუყოვნებლივი პოზიტიური გაუმჯობესება. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი გამოჯანმრთელება არ

არის სრულად დასრულებული, მთლიან ჯამში ახლა თავს ბევრად უკეთესად ვგრძნობ, რადგან ვიცი, რომ მე არა ვარ ეულად მარტო.

და აი, ის სიტყვათმეხამებანი, რომლებსაც კარლინი პლეონაზ-მებად მიიჩნევს:

New beginning – ახალი დასაწყისი
Social visit – სოციალური ვიზიტი
Personal friend – პირადი მეგობარი
Most unique individual – ყველაზე უნიკალური ინდივიდი
Personally met – პირადად შევხვდი
End result – საბოლოო შედეგი
Unexpected – surprise – მოულოდნელი სიურპრიზი
Reiterated again – კიდევ ერთხელ კვლავ გავუმეორე
Fresh start – ახალი დასაწყისი
Exactly right – ზუსტად სწორი
Added plus – დამატებით პლიუს
Final solution – საბოლოო გადაწყვეტილება
Absolutely perfect – აბსოლუტურად სრულყოფილი
Past experience – წარსული გამოცდილება
Join together in a common bond – საერთო კავშირში გაერთიანება
Total of 24 hours a day – დღეში სრული 24 საათის განმავლობაში
Extra bonus – დამატებითი ბონუსი
New initiative – ახალი წამოწყება
Novel innovation – ახალი სიახლე
Additional bonus – დამატებითი ბონუსი
Free gift – უფასო საჩუქარი
Tuna fish – თინუსის თევზი
positive improvement – პოზიტიური გაუმჯობესება
totally complete – სრულად დასრულებული
The sum total – მთლიან ჯამში
Uniquely alone – ეულად მარტო

საინტერესოა, რომ ჯორჯ კარლინის მიერ მოყვანილი პლეონაზმების უმრავლესობა გვხვდება ქართულშიც და აქაც იმავე ენობ-

რივ დარღვევასთან გვაქვს საქმე. თუმცა ინგლისურში – ისევე, როგორც ქართულში, იკვეთება ერთი ტენდენცია, კერძოდ, გვაქვს უდავო, ე. ი. *კლასიკური პლეონაზმები* და – ვიტყვოდი, სადავო პლეონაზმები, რომლებშიც ამ დარღვევებს კონტექსტუალური ახსნა შეიძლება მოეძებნოს.

კლასიკურ პლეონაზმებად მივიჩნევთ ისეთ სიტყვებს ან გამოთქმებს, როცა ერთი სიტყვის სემანტიკური შემადგენლობა შედის მეორე სიტყვაში. მაგ., ამ ნაწყვეტიდან კლასიკური პლეონაზმებია: *unexpected surprise* – *მოულოდნელი სიურპრიზი*, ვინაიდან სიურპრიზი ფრანგული სიტყვაა და ამ სიტყვაში უკვე მოცემულია „*მოულოდნელის*“ ცნება. ასევე პლეონაზმია *ყველაზე უნიკალური ინდივიდი*. უნიკალური „ერთადერთს, განუმეორებელს“ ნიშნავს და მას აღმატებითი ხარისხი „ყველაზე“ აღარ სჭირდება; *exactly right* – *ზუსტად სწორი*, ასევე არ სჭირდება დაზუსტება „სწორს.“ სწორი ან არის ან არ არის; *added plus* – *დამატებით პლუსი*, ადვილი მისახვედრია, რომ ამ ორი სიტყვიდან ერთ-ერთი ზედმეტია, უნდა იყოს ან დამატებით, ან პლუსი; *absolutely perfect* – *აბსოლუტურად სრულყოფილი*, აქაც სრულყოფილთან აბსოლუტური ზედმეტია, ვინაიდან სრულყოფილი შეიცავს აბსოლუტურს, სრულყოფილის გაუმჯობესება აღარ შეიძლება; *join together in a common bond* – *საერთო კავშირში გაერთიანება*. ამ მაგალითში ვხედავთ, რომ *საერთოსა* და *გაერთიანებაში* ფუძე ერთია და მნიშვნელობაც, თავისთავად ცხადია, რომ ერთნაირია; *total of 24 hours a day* – *დღეში სრული 24 საათის განმავლობაში*, აქაც რომელიმე ერთი სიტყვა არის ზედმეტი – ან სრული, ან 24 საათი; *novel innovation* – ახალი ინოვაცია. თუ დააკვირდებით, ესეც კლასიკური პლეონაზმია ქართულშიც და ინგლისურშიც. ინგლისურში საერთოდ ძირი *nov* ორივე სიტყვაში მეორდება; *extra bonus* – *დამატებითი ბონუსი*, ბონუსი თავისთავად დამატებითი გასამრჯელო ან პრემიაა, ასე რომ, აქ სიტყვა დამატებითი ზედმეტია; *free gift* – *უფასო საჩუქარი* – ამას კომენტარიც არ სჭირდება, საჩუქარი, რა თქმა უნდა, უფასოა; *positive improvement* – *პოზიტიური გაუმჯობესება*. გაუმჯობესება რომ პოზიტიური სიტყვაა, ამას დიდი ახსნა არ სჭირდება; *totally complete* – *სრულად დასრულებული*. აქ ქართულში მეორდება ფუძე; *the sum total* – *სრული, მთლიანი ჯამი*. ჯამი რომ ყოველთვის სრულია, ესეც არ იწვევს ეჭვს და ბოლოს, *uniquely alone* – *უღალად განმარტოებული*, მარტო, რაც, ცხადია, ტიპური პლეონაზმია.

ამ კლასიკური და უდავო პლეონაზმების შემდეგ შეიძლება განვიხილოთ ე. წ. სადავო პლეონაზმებიც იმავე ტექსტიდან, თუმცა მათ ზემოხსენებული ავტორი პლეონაზმებად მიიჩნევს. ჩვენ უნდა გავმიჯნოთ ისინი უდავო თუ აშკარა პლეონაზმებისაგან, ვინაიდან დასახელებული გამოთქმები თარგმანში არჩევანის საშუალებას იძლევიან. ასეთებია, მაგალითად, *new beginning* – ახალი დასაწყისი, არის თუ არა პლეონაზმი? რაღაც მოვლენას შესაძლოა გარკვეული ეტაპები ჰქონდეს, ამიტომ ეს შეიძლება ქართულად ითარგმნოს, როგორც ხელახალი დასაწყისი; ასევე *social visit* – სოციალური ვიზიტი ერთმნიშვნელოვნად არ არის ზედმეტობა, ვინაიდან აქ ზოგჯერ იგულისხმება სოციალური მუშაკის მისვლა რომელიმე ოჯახში სხვადასხვა სახის დახმარების გასაწევად; *personal friend* – პირადი მეგობარი – თითქოს ესეც უცნაურად ჟღერს, მაგრამ როგორც თანამედროვე ლიტერატურიდან შევიტყვეთ, ეს ნეოლოგიზმია და იხმარება ჩვენს დროში ძალიან გავრცელებული „ფრენდის“ (ქართულადაც კი ვამბობთ ამას) *facebook friend* ე. წ. „ფეისბუქის მეგობრისგან“ განსასხვავებლად; *personally met* – პირადად შევხვდი, იგივე შეიძლება ითქვას ამ გამოთქმის შესახებ, ვინაიდან არის პირადი შეხვედრები, ტეტ ა ტეტ და სხვებთან ერთად, ვთქვათ, ჯგუფური შეხვედრები; *end result* და *final solution* თითქოს პლეონაზმებად ითვლება, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ამის განსაზღვრაც კონტექსტზე და დარგის სპეციფიკაზეა დამოკიდებული. ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ, მაგალითად, მათემატიკაში გვხვდება როგორც *end result*, ასევე *final solution*, რადგან საბოლოო შედეგის მიღწევამდე არის რამდენიმე „მორიგი“ შედეგი და „მორიგი“ ამოხსნა; *past experience* – წარსული ან წარსულის გამოცდილება, გამოცდილებას თითქოს ყოველთვის წარსული იძლევა, მაგრამ აქაც თუ დავუკვირდებით, ეს ტერმინი განსხვავებულობის საშუალებას გვაძლევს, ვინაიდან მას ხშირად ემატება ისეთი განმსაზღვრელი სიტყვები, როგორებიცაა უახლესი წარსულის (*recent past*) და შორეული წარსულის (*remote past*) გამოცდილება. ამიტომ ამ სიტყვათშეხამებას კლასიკურ პლეონაზმად ვერ ჩავთვლით, ასევეა *new initiative* – ახალი ინიციატივა. ამ შემთხვევაში შეიძლება კონტექსტურად დავუშვათ, რომ როცა რომელიმე დაწესებულებაში ერთი და იგივე ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი ახალი ინიციატივით გამოდის, ე. ი. მათ ადრეც ჰქონდათ რაღაც ინიციატივა და ამჯერად მორიგი ახალი ინიციატივა შემოიტანეს; დაბოლოს, *Tuna fish* – აქ საინტერესო

მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ვამბობთ *Tuna*-ს, ვგულისხმობთ თევზის სახეობას, თინუსს, ასე ვთქვათ, ცოცხალ თევზს ზღვაში თუ ოკეანეში, ხოლო *Tuna fish* ნიშნავს ამ თევზისაგან დამზადებულ საჭმელს, რომელიც ძირითადად კონსერვის სახით იყიდება. ამ მაგალითებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ამ მხრივ შევადარებთ ინგლისურ და ქართულ ენებს, განსხვავებას ვერ ვნახავთ, ორივე ენაში თითქმის ანალოგიურია ზედმეტი სიტყვების, ანუ პლეონაზმების გამოყენება. გამონაკლისს მხოლოდ *Tuna – თინუსის* შემთხვევა წარმოადგენს, რაც ინგლისური ენის სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

მეტყველების სიჭარბე, ანუ პლეონაზმი, დამაბრკოლებელი ფაქტორია ენის სიწმინდისათვის. სამწუხაროა, რომ მას ხშირად იყენებენ მეცნიერები, მწერლები, ჟურნალისტები და სხვა განათლებული ადამიანები. განსაკუთრებით ხშირია ეს დამწყები ჟურნალისტების ნაწერებსა თუ რეპორტაჟებში. ზოგადად, პლეონაზმები მეტყველებისა და წერის კულტურის დაბალ დონეზე მიუთითებს. პლეონაზმი მრავლად გვხვდება აგრეთვე ისეთ რთულ სიტყვებსა თუ სიტყვათშეხამებებში, რომლებშიც სიტყვის ერთი ნაწილი მშობლიურ ენაზეა, მეორე კი – უცხო ენაზე. ქართულ მეტყველებაში ფრანგულ სიტყვა *დეჟავიუს* ხშირად ხმარობენ ჟურნალისტები და პოლიტიკოსები, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, სიტყვის მნიშვნელობა კარგად არ ესმით, ამიტომ გაიგონებთ ასეთ გამოთქმას: *ეს ისევ, ეს უკვე დეჟავიუს. დეჟავიუს უკვე ნანახს ნიშნავს და ამდენად ისევ და უკვე აქ ზედმეტია, ასევე გაიგონებთ ტელეეკრანებიდან: გახსოვდეს მემენტო მორი, მემენტო ნიშნავს გახსოვდეს და ამდენად ამ ერთი და იმავე სიტყვის ორჯერ გამეორება ორ სხვადასხვა ენაზე ამ წარმომთქმელის ინტელექტზე მეტყველებს. რა თქმა უნდა, გაუნათლებელია ადამიანი, რომელიც ხმარობს გამოთქმას: *საკუთარი ავტობიოგრაფია, own autobiography*, ვინაიდან არ იცის, რომ *auto* საკუთარს ნიშნავს. ასევე არ იცის უცხო ენები მან, ვინც წარმოთქვამს *უცხოურ იმპორტს (foreign import)*. სხვათა შორის, ეს პლეონაზმი ინგლისურ ენაშიც იხმარება, იმპორტი ხომ უცხო ქვეყნებიდან შემოსულ საქონელს ნიშნავს, მან არც ის იცის, რომ *დიდი გოლიათი* არ უნდა იხმაროს (*big giant*), ვინაიდან გოლიათში დიდი უკვე იგულისხმება. *ძნელი დილემა* – *difficult dilemma* არ არსებობს, ვინაიდან დილემა თავისთავად ძნელი არჩევანია; ზედსართავი *difficult – ძნელი* დილემაში შედის. ასევე ერიდებიან ინგლისელები თუ ამერიკელები *extra accessories**

ხმარებას, ვინაიდან აქსესუარი დამატებითი ნივთია, რომელიც ახლავს მთავარს. ქართულში შეგვხვდებოდა ასევე: *დებიუტი პირველად*. ვინც ამას ამბობს, ალბათ არ იცის, რომ დებიუტში პირველი გამოსვლა იგულისხმება (ვთქვათ, მსახიობის სცენაზე, ან ახალგაზრდა მწერლის პირველი გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე და სხვ.). ვინც უცხოური სიტყვის „*ინტერიერის*“ მნიშვნელობა არ იცის, მხოლოდ ის გამოიყენებს არასწორ გამოთქმას „*შიდა ინტერიერი*“, ვინაიდან არ იცის, რომ ინტერიერში თავისთავად შიდა იგულისხმება.

როგორც ვხედავთ, პლეონაზმის, ანუ ჭარბი სიტყვების, მომრავლება ენაში ერთ-ერთი იმ პრობლემათაგანია, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, ხელს არ უწყობს ენის სიწმინდისა და ნორმების დაცვას, თუმცა ეს ყოველთვის არ არის ასე. ინგლისურში ისევე, როგორც ქართულში, არსებობს ე. წ. წარმოსახვითი, ანუ განზრახ პლეონაზმები, რომლებსაც მწერლები შეგნებულად იყენებენ ტექსტის ექსპრესიულობისა თუ რომელიმე გმირისთვის დამახასიათებელი შეტყვევების შექმნისათვის. ხშირად პლეონაზმები კომიკური ეფექტის გადმოცემასაც ემსახურება. კომიკური ეფექტი ლიტერატურულ-სტილისტიკური ხერხია და მაშინაც გამოიყენება, როცა მწერალს სურს პერსონაჟის ლექსიკის სიღარიბე, განათლების სიმწირე აჩვენოს.

პლეონაზმები მოითხოვს ღრმა და საფუძვლიან შესწავლას.

ლიტერატურა

Carlin 2012 – George Carlin, Count the superfluous redundant pleonastic tautologies, <https://atributetocarlin, word-press.com>

Dictionary 2010 – A Dictionary of Modern English Usage by H.W.Fowler, Oxford University Press

Richard Nordquist, Common redundancies in the English Language, www.thoughtco.com

Pleonasms in Georgian and English languages

Summary

Pleonasm is a type of redundancy when there is a word or two that are more than necessary and these words mean exactly or nearly the same thing. For example, we cannot say *unexpected surprise*, since surprise is an unexpected fact or event in itself, or *free gift* – free means without cost or payment, and gift is a thing, given to someone without payment, it is a present. So *unexpected* and *free* are unnecessary words in these sentences.

Pleonasms in the English language have been thoroughly studied. In the paper the speech of the American comedian and social critic *George Carlin* is given where he deals with pleonasms and demonstrates the unnecessary of redundant words. The use of pleonasms is very often the manifestation of ignorance, e.g. pleonasms, like *foreign import* or *big giant*.

At the same time we should remember that pleonasms are not always considered to be “a fault of style”. They are sometimes used for deliberate effect, for emphasis, e.g. when the author endows his character with extra or redundant words to show some of his qualities.

It should be noted that in spite of ethnolinguistic differences pleonasms are in most cases almost identical in Georgian and English languages.

ქეთევან დათუკიშვილი

დეფისიან კომპოზიტებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი ქართულში

როგორც ცნობილია, კომპოზიტები ორგვარი დაწერილობით გვხვდება: დეფისით და უდეფისოდ.

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ წარმოდგენილია დეფისის გამოყენების შემდეგი წესი: „ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ- და მეტმნიშვნელობიანი – დეფისით“ [ნორმები 1986: 154-155]. ამავე წესის მიხედვით, კომპოზიტის ცნებიანობა უნდა განისაზღვროს და ან სხვა მაერთებელი კავშირის საშუალებით, კერძოდ:

- ერთცნებიანი კომპოზიტების შემთხვევაში „რთული ფუძის შემადგენელ ფუძეებსა და სიტყვებს შორის არ შეიძლება დაისვას და კავშირი, რთული ფუძე არ შეიძლება შეეცვალოთ და კავშირიანი (საერთოდ მაერთებელკავშირიანი) სიტყვათშეერთებით“ [ნორმები 1986: 148].
- ორ- და მეტცნებიანი კომპოზიტების შემთხვევაში „შემადგენელი ფუძეების და კავშირით ან სხვა მაერთებელი კავშირით გაერთიანება შესაძლებელი, რთული ფუძე და კავშირიანი სიტყვათშეერთებით შეიძლება შეიცვალოს“ [ნორმები 1986: 149].

მაშასადამე, „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების“ მიხედვით, ზოგჯერ კომპოზიტის შემადგენელ ფუძეებს შორის, და-ს გარდა, შეიძლება სხვა მაერთებელი კავშირი ჩაისვას, მაგრამ არ არის დაზუსტებული, რომელი კავშირები შეიძლება იყოს გამოყენებული ასეთ შემთხვევებში. ამ საკითხის საკვლევად გავაანალიზეთ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ დადასტურებული დეფისიანი კომპოზიტები. ამგვარ რთულ სახელთა აბსოლუტურ უმრავლესობაში და კავშირის ჩართვა შესაძლებელი, მაგრამ გვაქვს

კომპოზიტები, რომელთა შემადგენელ ნაწილებს შორის **ან** ან **თუ** კავშირი უნდა ვიგულისხმოთ: მეტ-ნაკლები, დღეს-ხვალ, ნება-უნებლიეთ... წარმოვადგენთ ამ სიტყვათა განმარტებებს ქეგლის მიხედვით:

მეტ-ნაკლები – მეტი **ან** ნაკლები, ამდენი **ან** იმდენი.

დღეს-ხვალ – დღეს **ან** ხვალ; ამ დღეებში; ამ მოკლე ხანში, მალე.

ხვალ-ზეგ – ხვალ **თუ** ზეგ, რამდენიმე დღის შემდეგ, ახლო მომავალში.

თითო-ორილა – თითო-თითო **თუ** ორ-ორი.

ნება-უნებლიეთ – დამოუკიდებლად იმისგან, უნდათ თუ არ უნდათ, – ნებით (ნებსით) **თუ** უნებლიეთ, ნება-უნებურად (ხაზი ყველგან ჩვენია – ქ. დ.).

თუ ამგვარ შემთხვევებს გავითვალისწინებთ, დეფისის გამოყენების წესი შესაძლოა ასე დაზუსტდეს:

კომპოზიტი დაიწერება დეფისით, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის შესაძლოა ვიგულისხმოთ **და** (ზოგჯერ – **ან** ან **თუ**) კავშირი, ხოლო თუ ამგვარი დაშვება შეუძლებელია, მაშინ კომპოზიტი დაიწერება დეფისის გარეშე.

წარმოდგენილ წესს უკავშირდება კომპოზიტ **ერთ-ერთის** დაწერილობის საკითხი. „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ იგი დეფისით არის მოცემული და ტრადიციულად ასე იწერება. „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ ნათქვამია:

„**ერთ-ერთ**-ი (= **ერთი** და **ერთი**, ასევე იხმარება დიალექტებში), **სამ-სამ**-ი (= **სამი** და **სამი**), **ხუთ-ხუთ**-ი (= **ხუთი** და **ხუთი**) და ა. შ.“ [ნორმები 1986: 152].

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული თვალსაზრისი კომპოზიტ **ერთ-ერთის** დაწერილობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი მკვლევრის [იმნაიშვილი 2016, ვახანია 2022...] აზრით, ის უნდა დაიწეროს დეფისის გარეშე. ამგვარი მოსაზრების ერთ-ერთი არგუმენტია ის, რომ ამ სიტყვის კომპონენტებს შორის **და** კავშირი არ იგულისხმება. ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას. მიგვაჩნია, რომ **ერთ-ერთი** არ არის **ერთი და ერთი**, ფუძეებს შორის არ ჩაისმის **და**, მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ იგულისხმება სხვა მართებელი კავშირი, კერძოდ – **ან**. ეს კომპოზიტი ქეგლში ამგვარად განიმარტება:

ერთ-ერთი – ორიდან ერთი, ბევრთაგან ერთი რომელიმე, ერთი მრავალთაგანი.

ვფიქრობთ, აქ შეგვიძლია ვივარაუდოთ **ან** კავშირი: **ერთ-ერთი** – ორიდან (ბევრთაგან) ერთი რომელიმე; ერთი ეს **ან** ერთი ის. ამიტომ, თუ კომპოზიტებში დეფისის ხმარების წესის ჩვენეულ ვარიანტს (იხ. ზემოთ) გავითვალისწინებთ, სიტყვა **ერთ-ერთი** უნდა დაიწეროს დეფისით.

და-ს გარდა სხვა მაერთებელი კავშირები შეიძლება ივარაუდებოდეს კიდევ ერთი ჯგუფის კომპოზიტურ რიცხვით სახელებში, რომლებიც გამოხატავენ საგანთა მიახლოებით რაოდენობას: ორი-სამი, ხუთი-ექვსი, ორას-სამასი და ა. შ. ამგვარ სახელთა ფუძეებს შორისაც **ან** ან **თუ** კავშირი უნდა ვიგულისხმოთ: **ერთი-ორი** – ერთი ან ორი // ერთი თუ ორი; **ორი-სამი** – ორი ან სამი // ორი თუ სამი; **ჩვიდმეტ-თვრამეტი** – ჩვიდმეტი ან თვრამეტი // ჩვიდმეტი თუ თვრამეტი და მისთ. ეს რიცხვითი სახელები ქველში განმარტებულია შემდეგნაირად:

ერთი-ორი – ერთი **თუ** ორი, თითო-ოროლა, ორიოდე, რამდენიმე.

ორი-სამი – დაახლოებით ორი **ან** სამი.

ხუთი-ექვსი – დაახლოებით ხუთი **ან** ექვსი, ხუთი **თუ** ექვსი.

ექვსი-შვიდი – დაახლოებით ექვსი **ან** შვიდი.

თხუთმეტ-თექვსმეტი – თხუთმეტი **თუ** თექვსმეტი.

თექვსმეტ-ჩვიდმეტი – თექვსმეტი **ან** ჩვიდმეტი.

ჩვიდმეტ-თვრამეტი – ჩვიდმეტი **თუ** თვრამეტი, – დაახლოებით ჩვიდმეტი **ან** თვრამეტი (ხაზი ყველგან ჩვენია – ქ. დ.).

მიახლოებითი რაოდენობის გამომხატველი რთულფუძიანი რიცხვითი სახელების პირველი კომპონენტი ზოგჯერ ფუძის სახით არის წარმოდგენილი, ზოგჯერ – სახელობითი ბრუნვის ფორმით. შესაბამისად, გვაქვს ორი სტრუქტურული მოდელი:

- **სახ. ბრ. ფორმა + ფუძე**: ერთი-ორ-ი, სამი-ოთხ-ი...
- **ფუძე + ფუძე**: თერთმეტ-თორმეტ-ი, ცამეტ-თოთხმეტ-ი...

„ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ ორივე მოდელის სახელები დასტურდება:

სახ. ბრ. ფორმა + ფუძე

ერთი-ორი
ორი-სამი
სამი-ოთხი
ხუთი-ექვსი
ექვსი-შვიდი
შვიდი-რვა
ათი-თერთმეტი
ათი-თორმეტი
ათი-თხუთმეტი
ცხრამეტი-ოცი
ოცი-ოცდახუთი
ორმოცი-სამოცი
ასი-ორასი

ფუძე + ფუძე

თერთმეტ-თორმეტი
თორმეტ-ცამეტი
ცამეტ-თოთხმეტი
ცამეტ-თხუთმეტი
თოთხმეტ-თხუთმეტი
თხუთმეტ-თექვსმეტი
თექვსმეტ-ჩვიდმეტი
ჩვიდმეტ-თვრამეტი
თვრამეტ-ცხრამეტი
ორას-სამასი
ხუთას-ექვსასი
ექვსას-შვიდასი

აღნიშნული ტიპის რთული სიტყვები მოვიძიეთ აგრეთვე ქართული ენის ეროვნულ კორპუსში (ქეეკი). აღმოჩნდა, რომ რიგ შემთხვევებში ერთი და იმავე რიცხვითი სახელებისგან პარალელურად იწარმოება ორივე მოდელის კომპოზიტები, მაგალითად: თერთმეტ-თორმეტი და თერთმეტი-თორმეტი; თორმეტ-ცამეტი და თორმეტი-ცამეტი და ა. შ.

„საჩქაროდ შემოიყვანა **ცამეტ-თოთხმეტი** აფიცერ-ყაზახი“.

„მოსაზრება **ცამეტი-თოთხმეტი** მილიონის შესახებ საზოგადოების შეცდომაში შეყვანა გახლავთ“.

„სახლიდან გამოვარდა **თხუთმეტ-თექვსმეტი** წლის ქალიშვილი“.

„დარჩები იმ **თხუთმეტი-თექვსმეტი** ფეხბურთელის ამარა“.

„**ჩვიდმეტ-თვრამეტი** წლის ტანმალალმა ახალგაზრდამ ხალხის წრე გაარღვია“.

„ასეთ დღეში ვიყავი და ვარ უკვე, დაახლოებით, **ჩვიდმეტი-თვრამეტი** წელია“.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამგვარ რთულ სიტყვებში მოდელის არჩევა დამოკიდებულია კომპონენტთა მარცვლოვანებაზე, კერძოდ:

- თუ კომპოზიტის ორივე ნაწილი ორ- ან მეტმარცვლიანი ფუძეა, მაშინ დასაშვებია პარალელური ფორმები: პირველი კომპონენტი შეიძლება ფუძის სახით იყოს წარმოდგენილი, ანდა სახელობითი ბრუნვის ფორმით: თერთმეტ-თორმეტი // თერთმეტი-თორმეტი, ცამეტ-თოთხმეტი // ცამეტი-თოთხმეტი, ორას-სამასი // ორასი-სამასი...
- თუ კომპოზიტის ერთ-ერთი ნაწილი ერთმარცვლიანი ფუძეა, მაშინ რთული ფუძის პირველი კომპონენტი სახელობითი ბრუნვის ფორმით იქნება წარმოდგენილი: სამი-ოთხი, ექვსი-შვიდი, ასი-ორასი, ცხრამეტი-ოცი, ოთხმოცი-ასი.... ამ შემთხვევაში არ გვაქვს პარალელური ვარიანტები, რომლებშიც პირველი კომპონენტი ფუძის სახით იქნებოდა მოცემული: *სამ-ოთხი, *ექვს-შვიდი, *ას-ორასი, *ცხრამეტ-ოცი, *ოთხმოც-ასი....

განხილული რთულფუძიანი რიცხვითი სახელების დაწერილობას ეხება კიდევ ერთი საკითხი, რომლის შესახებაც წარმოვადგენთ შემდეგ წესს:

თუ რთული რიცხვითი სახელის შემადგენელი ნაწილები იწერება ცალ-ცალკე (მაგალითად: ას ორი, სამას ექვსი და მისთ.), კომპოზიციის შემთხვევაში (მიახლოებითი რაოდენობის გამომხატველი კომპოზიტის წარმოებისას) ისინი დაიწერება ერთად:

ასი + ას ოცი → ასი-ასოცი

ას ოცი + ას ოცდაათი → ასოცი-ასოცდაათი

ათას ხუთასი + ათას ექვსასი → ათასხუთასი-ათასექვსასი

ლიტერატურა

ვახანია 2022 – ზ. ვახანია, მნიშვნელობა, რაობა და მართლწერა სიტყვისა „ერთერთი“, სალიტერატურო ენის საკითხები – III, კონფერენციის მასალები, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ნორმები 1986 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეეპი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი – <http://gnc.gov.ge/gnc/page>.

Ketevan Datukishvili

On Some Issues Related to Hyphenated Compounds in Georgian

Summary

The rule of using a hyphen in compounds has been clarified as follows: a compound is written with a hyphen if it is possible to mean the connector *da* “and” (sometimes – *an* “or” or *tu* “if”) between its constituents, and if such an assumption is impossible, the compound is written without a hyphen. The issue of writing the compound *ert-erti* “one of them” is related to the presented rule. It is written with a hyphen because the connector *an* “or” is meant between the components: *ert-erti* – one of the two (of many): one this or one that.

The connectors *an* “or” or *tu* “if” are also implied in numerals with a compound base expressing an approximate number: *erti-ori* – *erti an ori* // *erti tu ori* “one or two”; *ori-sami* – *ori an sami* // *ori tu sami* “two or three”; *čvidmeṭ-tvrameṭi* – *čvidmeṭi an tvrameṭi* // *čvidmeṭi tu tvrameṭi* “seventeen or eighteen”, etc.

ვაჟა დანელია

თულუხი თუ მერწყული?

თერმული წყლებით მდიდარი თბილისის სასმელი წყლით ოდითგანვე ახლომდებარე ადგილებიდან მარაგდებოდა, მაგრამ დედაქალაქის მრავალგზის აოხრებამ და მტრების მრავალწლიანმა ბატონობამ საირიგაციო სისტემა დააზიანა და მერე დავიწყებასაც მიეცა. მე-19 საუკუნეში თბილისის მოსახლეობის ზრდასთან ერთად სასმელად თუ საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის წყალზე მოთხოვნილებამაც იმატა. დედაქალაქის მცხოვრებნი სასმელად მდინარის წყალს იყენებდნენ [<https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>].

მტკვრის წყლით თბილისის მომარაგებამ XIX საუკუნის მეორე ნახევარში მასობრივი ხასიათი მიიღო. პრობლემას მეტწილად **თულუხები** წყვეტდნენ. ისინი მტკვრიდან ამოღებულ წყალს ტყავის დიდ ტიკებში – **თულუხებში** ასხამდნენ და ჯორებით, ცხენებით ან საკუთარი ზურგით მოსახლეობამდე მიჰქონდათ. **თულუხს** ერთი ფართო პირი ჰქონდა წყლით ასავსებად, ხოლო ე. წ. სახელოს, ანუ ვიწრო ყელს კი წყლის ჩამოსასხმელად იყენებდნენ [ეთნ. ლექს.].

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის (ერთტომეული) მიხედვით, **თულუხი** თურქული სიტყვაა: 1. წყლის საზიდავი (ცხენით ან მისთ.) რუმბი ან კასრი, 2. დიდი თუნგი (იციან მთაში) [ქეგლი 1986: 242].

მისგან არის ნაწარმოები ასევე თურქული სიტყვა **თულუხი** – ივივა, რაც **მეთულუხე** [ქეგლი 1986: 242]. ქეგლის განმარტებით, **მეთულუხე** (ძვ.) **თულუხით** (მნიშვნ. 1) წყლის მზიდავია [ქეგლი 1986: 288]. თურქულსა და აზერბაიჯანულში **-ჩ** სუფიქსი მოქმედ საგანს (პროფესიას) აღნიშნავს, მაგალითად, „ჩორაქ“ არის პური, „ჩორაქჩი“ – მეპურე, თოფჩი – მეთოფე, ნეფთჩი – მენავთობე, თულუხჩი – მეთულუხე.

იოსებ გრიშაშვილის „ქალაქური ლექსიკონის“ მიხედვითაც **თულუხი** არის საყა (დასაყული – ადგილი დაცული), ანუ ტყავით წყლის მომტანი, მერწყული, 2. „კოვის მსგავსი სპილენძის ჭურჭელია. მთიულეებშიაც ხმარობენ“ (შ. არაგვ. „რჩ. ნაწ.“, 1927 წ., 1927 წ., გვ.42).

„**თულუხით** (ე. ი. ტყავით) წყლის ზიდვა. ტფ. ქალაქის გამგეობის სხდომაზე 1878 წ. 13 იანვარს იყო საკითხი იმის შესახებ, რომ **თულუხი** ბოჩკებზე შეცვლილიყო, ვინაიდან ბოჭკაში წყალი უფრო სუფთად ინახებოდა და გადამდები სენისაგან დაზღვეულია“ (Запись К.О.И.Р. техн. Общества, ტ. X, 1878 წ., გვ. 231).

„**თულუხი** – 1. თულუხი საზოგადოდ წყლის დამტარებელს ნიშნავს. ეს სიტყვა წარმოსდგება თულუხიდან: **თულუხი** – ტყავის ტომარაა. ძველად ტფილისში წყალსადენი არ იყო, წყალს პირდაპირ მტკვრიდან იღებდნენ და კამერის ტყავიდან გაკეთებული რუმბებით ეზიდებოდნენ ოჯახებში. 1893 წ. ქალაქის თვითმმართველობამ **თულუხი** „ბოჩკებით“ შეცვალა, 2. **მეწყლე**“ [გრიშაშვილი 1997: 114-115].

იმის მიხედვით, თუ მტკვრის რომელი ნაპირიდან და რა მანძილიდან მოჰქონდათ წყალი, თულუხები სწორედ ამის შესაბამისად აწესებდნენ ერთი საწყაოს (სათლის) საფასურს, რომელიც 1-იდან 3 კაპიკამდე მერყეობდა. მუშტრებისგან ასაღებ თანხას წყლის ყოველი მიტანისას ჯობზე, ანუ ლარტყაზე გაკეთებული ნაჭდევების მიხედვით კვირის ბოლოს ანგარიშობდნენ [ეთნ. ლექს.].

მეთულუხეთა თავნებობაზე 1885-1886 წლებში (სხვა დროსაც) გაზეთები „დროება“ და „ივერიაც“ წერდნენ:

„კარგი იქმნებოდა, რომ ჩვენს წყლის მზიდავეებზე – **მეთულუხჩეებზე** მიექციათ ყურადღება და წყლის მოტანაზე რამე გარკვეული ნიხრი დაენიშნათ, თორემ ამ ბატონების წრეს-გასულ ქვევას და ბოროტ-მოქმედებას სამზღვარი არა აქვს.

მოგხსენებათ, რომ ყველა ეზოს თავისი **მეთულუხჩე** ჰყავს და სხვას არავის შეუძლიან იმ სახლებში წყლის მიტანა, თუ არ იმ ეზოს **მეთულუხჩესა**. ისე აქვთ პირობა შეკრული ერთმანერთში, რომ თუ თავისი ეზო არ არის, **თულუხ** წყალში რომ მანათი აძლიო, წყალს არ მოგიტანენ.

ამიტომაც თქვენი ეზოს **მეთულუხჩე** თქვენი ბატონია, თუ რაცა გთხოვთ იმდენი არ მიეცათ, უწყლოობით ამოგარჩობთ. კიბის ორ საფეხურზე რომ ატანა მოუნდეს, **თულუხზე** სამ შაურსა და აბაზს გახდევინებს, და შენც, მეტი რა ღონე გაქვს, უნდა გადაიხადო“ [https://www.madatovi.com.ge/2020/08/tfilisel-meTuluxCeTa-wre-gada-suli-qmedebani.html]...

„ბევრჯელ მიგვიქცევია ქალაქის გამგეობის ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ჩვენის წყლის მზიდავების – **მეთულუხჩეების** საქციელი წრეს გადასულიაო. მცხოვრებელთ წყალში ერთი-ორად ართმევენ ფასს და ამას გარდა, უვარგის წყალს ჰზიდავენო“ [https://www.madatovi.com.ge/2020/08/tfilisel-meTuluxCeTa-wre-gada-suli-qmedebani.html].

„ქალაქის მცხოვრებელნი მეტად უჩივიან **მეთულუხჩეებს**, რომელნიც თურმე წყალს იქვე მტკვრის პირას ავსებენ, სადაც ნაგავს, ნარეცხს და ათას სიბინძურესა ჰყრიანო. მათგან მოტანილს წყალს ისეთი საძაგელი სუნნი აქვსო, რომ არ დაილევიაო“ [„ივერია“ № 78].

„ქალაქის გამგეობას დაუწესებია ნიხრი წყალზე, რომელიც ტფილისის **მეთულუხჩეებს** დააქვთ კარდაკარს... ვედრა ყველა **მეთულუხჩეს** ერთის ზომისა უნდა ჰქონდეს და გამგეობისაგან განხილული და ბეჭედ-დასმული უნდა იყოს“... [„ივერია“ № 168].

გაზეთ „ივერიის“ ამონარიდებში მაშინდელი რეალობის აღწერასთან ერთად რამდენჯერმე არასწორი ფორმითაა გამოყენებული ტერმინი **მეთულუხჩე (მეთულუხჩეები)**. როგორც ზემოთ აღინიშნა, **თულუხისგან -ჩ** სუფიქსით არის ნაწარმოები პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა **თულუხჩი**, ანუ **მეთულუხე** (წყლის მზიდავი), ამიტომ **მეთულუხჩე** შეცდომაა ისევე, როგორც მსგავსი ტერმინი ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიულ ლექსიკონში: „**თულუხით** წყლის მზიდავი, **მეთულუხჩეს** ზოგან **მეწყლესაც** ეძახდნენ“ [ეთნ. ლექს.].

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაში მრავლად არის დაცული ცნობილი ფოტოგრაფის, დიმიტრი ერმაკოვის გადაღებული ფოტოები, რომლებშიც ყურადღებას იქცევს რამდენიმე სურათი. მათზე ცხენით წყლის მზიდავები არიან აღბეჭდილი რუსული წარწერით – „**თულუხჩი**“, ქართული წარწერა „**მეთულუხჩე**“ კი ამჟამად შეცდომაა.

აღსანიშნავია, რომ სწორი ფორმაა გამოყენებული 1885 წლის გაზეთ „დროების“ პუბლიკაციაში: „**მეთულუხჩეების** თავ-წასულობა წრეს გარედ გადის. თითქმის ყველასთვის არის ტაქსა დადგენილი და **მეთულუხჩეებისათვის** კი – არა... ყველა **მეთულუხჩეებს** ერთი-ერთმანეთთან აქვთ კუდი გადაბმული და თუ ახლა ვინმემ მოინდომა **მეთულუხობა**, ყოველს ღონისძიებას ხმარობენ, ხელი შეუშალონ,

რადგანაც ემინიანთ, ახალმა **მეთულუხემ** წყალის ზიდვა არ გააიაფოსო. ერთს კაცს გაემართა **თულუხი** და **მეთულუხეებს** მისთვის ერთი სამად მეტი ფასი მიეცათ და ცხენი თავის **თულუხით** შეესყიდნათ. კარგი იქნება ამ გარემოებას ქალაქის სამმართველომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს“ [„დროება“ № 119].

„მეთულუხჩე-მეთულუხეებზე“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში არაერთხელ დაუწერიათ ქართულ გაზეთებში. ძველ თბილისთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან... „ტფილისში არაერთი წყალსადენი თუ წყალსაქაჩი გაკეთდა, რამაც **მეთულუხჩეების** პროფესიის თანდათან გაქრობა გამოიწვია“ [<https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>].

„ტფილისური თულუხჩი“ ქართულ მეტყველებაში ბოლო დროს ისევ იკიდებს ფეხს. ჩვენებური რაგბის მემატაიანე ზაალ გიგინეიშვილი ერთ-ერთ ნაშრომში წერს: „თამაშის წესებში ჩაწერეს მორაგბეთა დასარწყულებლად მოედანზე შემავალი კაციც. ინგლისურად მას „**ვოთერ ქერიერ**“ (WATER CARRIER – წყლის შემომტანი) ჰქვია, ჩვენ კი ტფილისური **თულუხჩი** შევუსაბამეთ“ [გიგინეიშვილი 2014: 74-79].

ქართულში იმ ადამიანის აღსანიშნავად, რომელიც არწყულებდა, გვქონდა ტერმინი **მერწყული** – (ძვ.) წყლის მზიდავი [ქეგლი 1988: 289]. მას დღეს მხოლოდ ასტროლოგიაში ვხვდებით. თუმცა იმავე მნიშვნელობით გვხვდება მეორე ტერმინი **მერწყულე** (ხელობის მე-ე თავსართ-ბოლოსართით ნაწარმოები). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით [ორბელიანი 1991: 465], **მერწყული** წყალთ მზიდავია (წყლის მზიდავი) ან ზოდიაქო (ესენი არიან სახელნი და ნიშანნი მათ(თა)ნი და რომელთა თთვესა მითვალავს მზე მათ: მერწყული – იანვარსა 20). ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონის [აბულაძე 1973: 233] მიხედვით, **მერწყული**, **მერწყულე** წყლის მომტანს ნიშნავს („იყვნენ იგინი **მრეშუველი** (მრეშველი – მემშე) და **მერწყულე**; „არა მოგაკლდეს თქუენგან მონა, მრეშუველი და **მერწყული**“; M. ისუ ნ. 9.21 და 23). **თულუხს**, **თულუხჩსა** და **მეთულუხეს** საბას და აბულაძის ლექსიკონები არ იცნობს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო მიზანშეწონილი ხომ არ იქნებოდა, **თულუხჩის** (ან არასწორი ფორმა **მეთულუხჩის**) ნაცვლად, **მერწყულე** (**მერწყული** უფრო ზოდიაქოსთან ასოცირდება) დაგვემკვიდრებინა.

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი.

„დროება“ N119 – გაზეთი „დროება“, 1885 წლის 7 ივნისი.

„ივერია“ N78 – გაზეთი „ივერია“, 1886 წლის 8 აპრილი.

„ივერია“ N168 – გაზეთი „ივერია“, 1886 წლის 3 აგვისტო.

გიგინეიშვილი 2014 – ზ. გიგინეიშვილი, რაგბის ქართული ტერმინოლოგია, ტერმინოლოგიის საკითხები, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი.

გრიშაშვილი 1997 – ი. გრიშაშვილი, ქალაქური ლექსიკონი (საარქივო მასალა), ლექსიკონი გამოსაცემად მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა, თბილისი.

ეთნ. ლექს. 2011 – ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი / საქ. ეროვნ. მუზეუმი; პროექტის ავტ. და სამეცნ. ხელმძღვ. ელდარ ნადირაძე. თბილისი, 2011.

მცხეთის ბიბლია – M. ისუ ნ. 9.21 და 23, ხელნაწერთა ინსტიტუტი, A-51 ხელნაწერი, წიგნი ისუ ნავესი, 9.21 და 23.

ორბელიანი 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი.

ქეგლი 1986 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ერთტომეული), ენათმეცნიერების ინსტიტუტი, თბილისი, 1986.

<https://ok.ru/megobrob/topic/67762453405897>

<https://www.madatovi.com.ge/2020/08/tfilisel-meTuluxCeTa-wre-gadasuli-qmedebani.html>

Vazha Danelia

Tulukhchi or Merskule?

Summary

In the 19th century, along with the growth of Tbilisi's population, the city's water demand also increased. Tulukhchis solved the problem of Tbilisi's water supply. They poured the water extracted from the starch into large leather tiks – tulukhs to bring to the population.

Tulukh is a Turkish word, it is a barrel for carrying water. The Turkish word tulukhchi is also derived from it, which means water carrier. In Turkish and Azerbaijani, the suffix -ch produces an active subject (profession). For example, "Chorak" means bread, "Chorakchi" means baker, Topchi means gunner, Neftchi means oilman, Tulukhchi means Metulukh.

"Tbilisi Tulukhchi" has been re-emerging in Georgian speech recently. For example, the man who enters the field to water the rugby is called WATER CARRIER in English, but in Georgian it is Tulukhchi. In Georgian, we had the term mertskule - a water carrier, to denote a person who did not water, so instead of tulukhchi it is better to use mertskule.

თამარ ვაშაკიძე

მსაზღვრელი ნაცვალსახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვასა და რიცხვში

ახალ ქართულში ატრიბუტულ (პრეპოზიციურ თუ პოსტპო-ზიციურ) მსაზღვრელად დასტურდება სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალ-სახელი: „მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ **ჩემი მერანი**“ (ნ. ბარა-თაშვილი); „**შენი ამბავი**, ახლა მართალი / ზღაპრად მიუვა **ჩვენს შვი-ლიშვილებს**“ (ილია); „**რომელ მხატვრობას** შეუძლია გადასცეს ბავშვს ის, რასაც სოფელში მყოფი **თავისი თვალით** ხედავს“ (აკაკი); „**ამგვარი ფიქრები** სევდასავით მომაწვნენ გულზე“ (აკაკი); „ემშაკი რამეა, შვილო, **ეგ ჩხიკვი**“ (ვაჟა); „უფრო სიხარულობს / **ჩემი სიხარუ-ლი**, – / შენ რომ იზიარებ, / ის რომ იზიარებს“ (მუხრანი); „ნულა ვიხი-ლავ **ჩემთა მშობელთა** და **ჩემსა სატრფოს** ტკბილმოუბარსა“ (ნ. ბარა-თაშვილი); „ამას იქმოდა **ყოველი კაცი**, / თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი“ (ილია); „მე შენში მიყვარს **ოცნება ჩემი**“ (გალაკტიონი); „ატირდებიან ბავშვებივით **ლექსები ჩემი**, / ოდეს / ერთხელ და სამუ-დამოდ / დავუჭავ თვალებს“ (მუხრანი); „ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, / ვერ უშველიდა **ტკივილებს ჩემსას!**“ (ლ. ასათიანი); „შენისა ცრემლით **თვალნი ჩემნი** მიტირებია“ (ილია)...

ნაცვალსახელით გადმოცემული მსაზღვრელის საზღვრულ-თან შეთანხმებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე გარემოება:

საზღვრული წევრი მხოლოდობითში დაისმის, თუ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები: **ამდენი**, **მაგდენი**, **იმდე-ნი** (ჩვენებითი); **რამდენი** (კითხვითი); **ყველა**, **ყოველი**, **თითოეული**, **თითო** (განსაზღვრებითი); **ზოგი**, **ზოგიერთი**, **რომელიმე**, **რამდენიმე** (განუსაზღვრელობითი); **არცერთი**, **ვერცერთი**, **ნურცერთი** (უარყო-ფითი). ისინი ისე შეეწყობიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესა-ბამისი ფუძის მქონე ზედსართავები.

საზ.	ამდენ-ი ბავშვ-ი	მაგდენ-ი წიგნ-ი	იმდენ-ი ყვავილ-ი
მოთხრ.	ამდენ-მა ბავშვ-მა	მაგდენ-მა წიგნ-მა	იმდენ-მა ყვავილ-მა
მიც.	ამდენ ბავშვ-ს	მაგდენ წიგნ-ს	იმდენ ყვავილ-ს

ნათ.	ამდენ-ი ბავშვ-ის	მაგდენ-ი წიგნ-ის	იმდენ-ი ყვავილ-ის
მოქმ.	ამდენ-ი ბავშვ-ით	მაგდენ-ი წიგნ-ით	იმდენ-ი ყვავილ-ით
ვით.	ამდენ ბავშვ-ად	მაგდენ წიგნ-ად	იმდენ ყვავილ-ად
წოდ.	_____	_____	_____

სახ.	ყველა ბავშვ-ი	ყოველ-ი კაც-ი	თითოეულ-ი მოსწავლე
მოთხრ.	ყველა ბავშვ-მა	ყოველ-მა კაც-მა	თითოეულ-მა მოსწავლე-მ
მიც.	ყველა ბავშვ-ს	ყოველ კაც-ს	თითოეულ მოსწავლე-ს
ნათ.	ყველა ბავშვ-ის	ყოველ-ი კაც-ის	თითოეულ-ი მოსწავლ-ის
მოქმ.	ყველა ბავშვ-ით	ყოველ-ი კაც-ით	თითოეულ-ი მოსწავლ-ით
ვით.	ყველა ბავშვ-ად	ყოველ კაც-ად	თითოეულ მოსწავლე-დ
წოდ.	_____	_____	_____

სახ.	თითო ღერ-ი	ზოგ-ი ბავშვ-ი	რომელიმე მოსწავლე
მოთხრ.	თითო ღერ-მა	ზოგ-მა ბავშვ-მა	რომელიმე მოსწავლე-მ
მიც.	თითო ღერ-ს	ზოგ ბავშვ-ს	რომელიმე მოსწავლე-ს
ნათ.	თითო ღერ-ის	ზოგ-ი ბავშვ-ის	რომელიმე მოსწავლ-ის
მოქმ.	თითო ღერ-ით	ზოგ-ი ბავშვ-ით	რომელიმე მოსწავლ-ით
ვით.	თითო ღერ-ად	ზოგ ბავშვ-ად	რომელიმე მოსწავლე-დ
წოდ.	_____	_____	_____

სახ.	რამდენიმე სტუდენტ-ი	რამდენ-ი სტუდენტ-ი
მოთხრ.	რამდენიმე სტუდენტ-მა	რამდენ-მა სტუდენტ-მა
მიც.	რამდენიმე სტუდენტ-ს	რამდენ სტუდენტ-ს
ნათ.	რამდენიმე სტუდენტ-ის	რამდენ-ი სტუდენტ-ის
მოქმ.	რამდენიმე სტუდენტ-ით	რამდენ-ი სტუდენტ-ით
ვით.	რამდენიმე სტუდენტ-ად	რამდენ სტუდენტ-ად
წოდ.	_____	_____

სახ.	არცერთ-ი ბავშვ-ი
მოთხრ.	არცერთ-მა ბავშვ-მა
მიც.	არცერთ ბავშვ-ს
ნათ.	არცერთ-ი ბავშვ-ის
მოქმ.	არცერთ-ი ბავშვ-ით
ვით.	არცერთ ბავშვ-ად
წოდ.	_____

მსაზღვრელად გამოყენებულ კითხვით ნაცვალსახელთან **მერამდენე** საზღვრული შესაძლებელია მრავლობითი რიცხვის ფორმითაც დადასტურდეს (გარკვეულ კონტექსტში), მაგ.: **მერამდენე დღეები** მიიჩნევა კრიტიკულად?...

შენიშვნა 1. 2011 წელს გამოცემულ „ქურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკურ ლექსიკონში“ (ნაწილი II) ერთმანეთისაგან გაიმიჯნა **არცერთი, ვერცერთი, ნურცერთი** ლექსიკურ ერთეულთა ერთად თუ ცალ-ცალკე დაწერილობის შემთხვევები. მაგ., **არცერთი** არგუმენტი არ არის მისაღები, შდრ. ღმერთმა ხომ იცოდა, რომ **არც ერთი** იყო არაბი და არც მეორე – ვენეციელი (უიარ.), ან კიდევ: **ვერცერთი** თქვენგანი, მაგრამ: **ვერც ერთი** და ვერც მეორე და ა. შ. შესაბამისად, შერწყმულდაწერილობიანი ვარიანტები უარყოფით ნაცვალსახელთა ჯგუფს დაემატა.

ჩვენებითი და კითხვითი ნაცვალსახელები – **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, იმნაირი..., ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა...; როგორი, რანაირი, სადაური, როდინდელი...** ისე ეთანხმებიან საზღვრულს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავები. მათთან (აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელებთან) საზღვრული, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვშიც დაისმის.

სახ.	ასეთ-ი ბავშვ-ი	ასეთ-ი ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	ასეთ-მა ბავშვ-მა	ასეთ-მა ბავშვ-ებ-მა
მიც.	ასეთ ბავშვ-ს	ასეთ ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ასეთ-ი ბავშვ-ის	ასეთ-ი ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	ასეთ-ი ბავშვ-ით	ასეთ-ი ბავშვ-ებ-ით
ვით.	ასეთ ბავშვ-ად	ასეთ ბავშვ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

სახ.	ამისთანა წიგნ-ი	ამისთანა წიგნ-ებ-ი
მოთხრ.	ამისთანა წიგნ-მა	ამისთანა წიგნ-ებ-მა
მიც.	ამისთანა წიგნ-ს	ამისთანა წიგნ-ებ-ს
ნათ.	ამისთანა წიგნ-ის	ამისთანა წიგნ-ებ-ის
მოქმ.	ამისთანა წიგნ-ით	ამისთანა წიგნ-ებ-ით
ვით.	ამისთანა წიგნ-ად	ამისთანა წიგნ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

პრეპოზიციურ მსაზღვრელად გამოყენებული **ვიღაც(ა), რაღაც(ა), რომელიღაც(ა)** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ფორმალურად შეეწყობიან საზღვრულს ყველა ბრუნვაში.

სახ.	ვიღაც(ა) კაც-ი	რაღაც(ა) ამბავ-ი
მოთხრ.	ვიღაც(ა) კაც-მა	რაღაც(ა) ამბავ-მა
მიც.	ვიღაც(ა) კაც-ს	რაღაც(ა) ამბავ-ს
ნათ.	ვიღაც(ა) კაც-ის	რაღაც(ა) ამბ-ის
მოქმ.	ვიღაც(ა) კაცი-ით	რაღაც(ა) ამბ-ით
ვით.	ვიღაც(ა) კაც-ად	რაღაც(ა) ამბ-ად
წოდ.		

ვიღაც(ა) და რაღაც(ა) განუსაზღვრელობით ნაცვალსახელებთან დასაშვებია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებაც.

სახ.	ვიღაც(ა) კაც-ებ-ი	რაღაც(ა) ამბ-ებ-ი
მოთხრ.	ვიღაც(ა) კაც-ებ-მა	რაღაც(ა) ამბ-ებ-მა
მიც.	ვიღაც(ა) კაც-ებ-ს	რაღაც(ა) ამბ-ებ-ს
ნათ.	ვიღაც(ა) კაც-ებ-ის	რაღაც(ა) ამბ-ებ-ის
მოქმ.	ვიღაც(ა) კაც-ებ-ით	რაღაც(ა) ამბ-ებ-ით
ვით.	ვიღაც(ა) კაც-ებ-ად	რაღაც(ა) ამბ-ებ-ად
წოდ.		

ნაცვალსახელთან **რომელიღაც(ა)** (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს) საზღვრული ნაკლებად დასტურდება მრავლობითი რიცხვში (**რომელიღაც(ა) წიგნში, რომელიღაც(ა) ლექსში...**).

განსაზღვრებით ნაცვალსახელთან **სხვა** (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება) საზღვრული მრავლობითი რიცხვის ფორმითაც წარმოდგება („**სხვა საკითხებზე** გადავიდეთ“; „გიორგი **სხვა თემებითაც** დაინტერესდა“; „**სხვა მოსაზრებებიც** გამოითქვა“...).

სახ.	სხვა საკითხ-ი	სხვა საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	სხვა საკითხ-მა	სხვა საკითხ-ებ-მა
მიც.	სხვა საკითხ-ს	სხვა საკითხ-ებ-ს
ნათ.	სხვა საკითხ-ის	სხვა საკითხ-ებ-ის
მოქმ.	სხვა საკითხ-ით	სხვა საკითხ-ებ-ით
ვით.	სხვა საკითხ-ად	სხვა საკითხ-ებ-ად
წოდ.		

სხვადასხვა ნაცვალსახელთან (რომელიც მსაზღვრელის ფუნქციით გამოიყენება) საზღვრული მხოლოდობით რიცხვში დაისმის.

საბ.	სხვადასხვა ქვეყანა
მოთხრ.	სხვადასხვა ქვეყანა-მ
მიც.	სხვადასხვა ქვეყანა-ს
ნათ.	სხვადასხვა ქვეყნ-ის
მოქმ.	სხვადასხვა ქვეყნ-ით
ვით.	სხვადასხვა ქვეყნ-ად
წოდ.	_____

ეს, ეგ და ის ნაცვალსახელები, რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, წინ უსწრებენ საზღვრულს (თანამედროვე ქართულის მონაცემთა მიხედვით) და მხოლოდობითი რიცხვის ფორმით შეეწყობიან მას მაშინაც, როცა ეს უკანასკნელი (საზღვრული) მრავლობითშია დასმული.

საბ.	ეს ბავშვ-ი	ეს ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	ამ ბავშვ-მა	ამ ბავშვ-ებ-მა
მიც.	ამ ბავშვ-ს	ამ ბავშვ-ებ-ს
ნათ.	ამ ბავშვ-ის	ამ ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	ამ ბავშვ-ით	ამ ბავშვ-ებ-ით
ვით.	ამ ბავშვ-ად	ამ ბავშვ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

საბ.	ეგ ბავშვ-ი	ეგ ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	მაგ ბავშვ-მა	მაგ ბავშვ-ებ-მა
მიც.	მაგ ბავშვ-ს	მაგ ბავშვ-ებ-ს
ნათ.	მაგ ბავშვ-ის	მაგ ბავშვ-ებ-ის
მოქმ.	მაგ ბავშვ-ით	მაგ ბავშვ-ებ-ით
ვით.	მაგ ბავშვ-ად	მაგ ბავშვ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

საბ.	ის ბავშვ-ი	ის ბავშვ-ებ-ი
მოთხრ.	იმ ბავშვ-მ	იმ ბავშვ-ებ-მა
მიც.	იმ ბავშვ-ს	იმ ბავშვ-ებ-ს
ნათ.	იმ ბავშვ-ის	იმ ბავშვ-ებ-ის

მოქმ.	იმ ბავშვ-ით	იმ ბავშვ-ებ-ით
ვით.	იმ ბავშვ-ად	იმ ბავშვ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

თუ სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ საზღვრულს, რომლის მსაზღვრელიც **ეს, ეგ ან ის** ნაცვალსახელია, **-ვით** თანდებული დაერთვის, მსაზღვრელად გამოიყენება დასახელებულ ნაცვალსახელთა მონაცვლე ფუძე (და არა სახელობითისა): **ამ ბავშვი-ვით, მაგ ბავშვივით, იმ ბავშვივით.**

ეს მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე ნაცვალსახელებთან **ყველაფერი** და **ყოველივე** (მაშასადამე, მსაზღვრელიცა და საზღვრულიც ნაცვალსახელია). ამ შემთხვევაშიც **ეს** თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც არსებითი სახელით გამოხატულს: **ეს ყველაფერი, შდრ.: ეს სოფელი; ეს ყოველივე, შდრ.: ეს წყარო (ყოველივე უკვეცილია).**

სახ.	ეს ყველაფერ-ი	ეს ყოველივე
მოთხრ.	ამ ყველაფერ-მა	ამ ყოველივე-მ
მიც.	ამ ყველაფერ-ს	ამ ყოველივე-ს
ნათ.	ამ ყველაფერ-ის	ამ ყოველივე-ს(ი)
მოქმ.	ამ ყველაფერ-ით	ამ ყოველივე-თი
ვით.	ამ ყველაფერ-ად	ამ ყოველივე-დ
წოდ.	_____	_____

მსაზღვრელად წარმოდგენილი ნაცვალსახელი **იგივე** ამ ფორმით (**იგივე**) მხოლოდ სახელობითში გვექნება. ყველა სხვა ბრუნვაში მას ჩაენაცვლება **იმავე**. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში სავსებით ბუნებრივი ჩანს მასთან (ნაცვალსახელთან **იგივე**) საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება.

სახ.	იგივე საკითხ-ი	იგივე საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	იმავე საკითხ-მა	იმავე საკითხ-ებ-მა
მიც.	იმავე საკითხ-ს	იმავე საკითხ-ებ-ს
ნათ.	იმავე საკითხ-ის	იმავე საკითხ-ებ-ის
მოქმ.	იმავე საკითხ-ით	იმავე საკითხ-ებ-ით
ვით.	იმავე საკითხ-ად	იმავე საკითხ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

ნაცვალსახელი **იგივე** დასტურდება აგრეთვე გამოთქმაში **ერთი და იგივე**. მსაზღვრელად გამოყენებისას (მაგ., **ერთი და იგივე** საკითხი) ნაცვალსახელური შეისტყვების პირველი კომპონენტი **ერთი** საზღვრულს სრულად ეთანხმება მხოლოდ სახ. და მოთხრ. ბრუნვებში (**ერთი და იგივე საკითხი, ერთმა და იმავე საკითხმა**), მიცემითსა და ვითარებითში ორ-ორი ვარიანტი გვექნება – ვრცელი და მოკლე, ე. ი. საზღვრულთან შეთანხმებული, ბრუნვისნიშნისანი (ემფატიკურ ა-სთან ერთად) და გაუფორმებელი – ფუძის სახით წარმოდგენილი (**ერთსა და იმავე საკითხს // ერთ და იმავე საკითხს; ერთსა და იმავე საკითხად // ერთ და იმავე საკითხად**), ნათესაობითსა და მოქმედებითში კი (თანამედროვე ქართულის მონაცემთა გათვალისწინებით) **ერთი** ისე შეეწყობა თავის საზღვრულს (მაგ., არსებით სახელს – **საკითხი**), როგორც შესაბამისი ფუძის მქონე (ე. ი. ფუძეთანხმოვნისანი) მსაზღვრელი (ზედსართავი სახელი). მაშასადამე, ნათესაობითსა და მოქმედებითში მას ჩამოეკვეცება ბრუნვისნიშნისეული თანხმოვნითი ელემენტი (**ერთი და იმავე საკითხის, ერთი და იმავე საკითხით**). რაც შეეხება მეორე კომპონენტს – **იგივე** (მოთხრ., მიც., ნათ., მოქმ., ვით. **იმავე**), ის თავის საზღვრულს ეთანხმება ისე, როგორც ფუძეხმოვნისანი ზედსართავი. ანალოგიური ვითარება გვექნება საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენების შემთხვევაშიც.

სახ.	ერთ-ი და იგივე საკითხ-ი	ერთ-ი და იგივე საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	ერთ-მა და იმავე საკითხ-მა	ერთ-მა და იმავე საკითხ-ებ-მა
მიც.	ერთ(ს-ა) და იმავე საკითხ-ს	ერთ(ს-ა) და იმავე საკითხ-ებ-ს
ნათ.	ერთ-ი და იმავე საკითხ-ის	ერთ-ი და იმავე საკითხ-ებ-ის
მოქმ.	ერთ-ი და იმავე საკითხ-ით	ერთ-ი და იმავე საკითხ-ებ-ით
ვით.	ერთ(ს-ა) და იმავე საკითხ-ად	ერთ(ს-ა) და იმავე საკითხ-ებ-ად
წოდ.		

როცა მსაზღვრელად წარმოდგენილია პირველი ან მეორე პირის (მხ. და მრ. რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელი (**ჩემი, ჩვენი, შენი, თქვენი**), ან კიდევ – მესამე პირისა (**მათი** – მრ. რ.), ერთადერთ მართებულ ფორმად სრული სახეობა მიიჩნევა მიცემითსა და ვითარებითში (**ჩემს** მეგობარს, **შენს** მეგობარს, **ჩვენს** მეგობარს, **თქვენს** მეგობარს, **მათს** მეგობარს; **ჩემს** მეგობრად, **შენს** მეგობრად, **ჩვენს** მეგობრად, **თქვენს** მეგობრად, **მათს** მეგობრად).

თანამედროვე ქართულში ეს წესი ფაქტობრივად მოშლილია მესამე პირის მრ. რიცხვის შემთხვევაში: „**მათ მეგობრად** ვთვლი თავს“ (ქვევი); „ფრაქცია ცოტა ხნის წინ დატოვა, მაგრამ ის გუშინ-დღამდე **მათ მეგობრად** რჩებოდა“ („ახალი თაობა“); „**მათ სამშობლოს** ეს არ ემუქრება“ (იქვე); „**მათ მეგობარს** ჩვენ დაველაპარაკებით“ (იქვე); „**მათ საქმეს** ჩვენ ვერ შევხებით“ („სარბიელი“); „**მათ არსებობას** აზრი ხომ უნდა ჰქონდეს?“ (იქვე); „**მათ ლექტორებს** არაფერი უთქვამთ ამის შესახებ“ („24 საათი“)...

პირველი და მეორე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა მსაზღვრელად გამოყენებისას ძირითადად შენარჩუნებულია მიცემითბრუნვიანი ფორმები, თუმცა უბრუნვისნიშნო ვარიანტები ამ შემთხვევაშიც დასტურდება (განსაკუთრებით – ვით. ბრუნვაში): „ახლა **ჩემს შვილს** გაბარებ და შენი იმედით ვიქნები“ (მ. ჯავახიშვილი); „იგი მე და **ჩემს დას** ქართული ენის სიყვარულს გვინერგავდა“ („ახალი 7 დღე“); „დარწმუნებული ვარ, კეთილ სამსახურს ვუწევ **ჩემს სამშობლოს**“ (ჭ. ამირეჯიბი); „არადა, ძალიან მომიწინა, **ჩემს სამშობლოს** მოესმინა“ (ქვევი), შდრ.: „ეს ის ქალაქი არაა, **ჩემ სამშობლოს** რუკაზე შავ ლაქად რომ აჩნია?“ („მწერალი“); „ჭირს წაუღია ყველა და ყველაფერი გარდა იმისა, რაც **ჩემ სამშობლოს** სჭირდება“ („ახალი თაობა“); ან კიდევ: „აშშ-ს პრეზიდენტმა არაერთხელ მიწოდა მეგობარი, მას მეც **ჩემს მეგობრად** მივიჩნევ“ („24 საათი“); „რაც არ უნდა თქვას, მე მას მაინც **ჩემს მეგობრად** ვთვლი“ („სარბიელი“); „საქართველო **ჩემს სამშობლოდ** მიმაჩნია“ („ახალი თაობა“); „ნელ-ნელა შეაჩვია დრუნჩი ლაპარაკს, – თავიდან ის არ იყო **ჩემს დედად** გამიზნული“ („საგურამო“); „რომ იცოდე, მეც ძალიან მენატრები, გრიპი თუ არ დაამარცხეს, **შენს მეგობრად** ვერ დავრჩები“ („შირაქი“); „ასე რომ, თუ **შენს მეგობრად** მთვლი, დამიჯერე“ (ზ. კანდელაკი); „მეც ბედნიერი ვარ, რომ აგერ უკვე ორმოცი წელიწადია **თქვენს მეგობრად** მივიჩნევ თავს“ („საქართველოს რესპუბლიკა“); „მაგრამ მე ხომ ვარსებობ, მართალია, თქვენ არ მთვლით **თქვენს შვილად**“ (თ. მეტრეველი), შდრ.: „განსაკუთრებით მადლობელი ვარ შესანიშნავი ადამიანისა, რომელიც კვლავ რჩება **ჩემ მეგობრად**“ („საქართველოს რესპუბლიკა“); „ბიჭუნა ვიპოვე გადაგდებული, ვიშვილე და **ჩემ მეგობრად** იქცა“ (ზ. უძილაური); „კატალონიას კი ყოველთვის **ჩემ სამშობლოდ** მოიხსენიებს“ („სარბიელი“)...

მსაზღვრელად გამოყენებული პირველი და მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელები ფუძეგაუფორმებელი სახითაც უნდა იქნეს დაშვებული მართებულ ვარიანტად ვითარებით ბრუნვაში (**ჩემს** მეგობრად // **ჩემ** მეგობრად, **ჩვენს** მეგობრად // **ჩვენ** მეგობრად, **შენს** მეგობრად // **შენ** მეგობრად, **თქვენს** მეგობრად // **თქვენ** მეგობრად), ხოლო მესამე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოხატული – მიცემითშიც და ვითარებითშიც (**მათს** მეგობარს // **მათ** მეგობარს, **მათს** მეგობრად // **მათ** მეგობრად...).

სახ.	ჩემ-ი მეგობარ-ი	მათ-ი მეგობარ-ი
მოთხრ.	ჩემ-მა მეგობარ-მა	მათ-მა მეგობარ-მა
მიც.	ჩემ-ს მეგობარ-ს	მათ-ს/მათ მეგობარ-ს
ნათ.	ჩემ-ი მეგობარ-ის	მათ-ი მეგობარ-ის
მოქმ.	ჩემ-ი მეგობარ-ით	მათ-ი მეგობარ-ით
ვით.	ჩემ-ს/ჩემ მეგობარ-ად	მათ-ს/მათ მეგობარ-ად
წოდ.	ჩემ-ო მეგობარ-ო	

დასახელებული ტიპის ნაცვალსახელებთან საზღვრული წევრი, ჩვეულებრივ, მრავლობითშიც დაისმის.

სახ.	ჩემ-ი მეგობარ-ებ-ი	მათ-ი მეგობარ-ებ-ი
მოთხრ.	ჩემ-მა მეგობარ-ებ-მა	მათ-მა მეგობარ-ებ-მა
მიც.	ჩემ-ს მეგობარ-ებ-ს	მათ-ს/მათ მეგობარ-ებ-ს
ნათ.	ჩემ-ი მეგობარ-ებ-ის	მათ-ი მეგობარ-ებ-ის
მოქმ.	ჩემ-ი მეგობარ-ებ-ით	მათ-ი მეგობარ-ებ-ით
ვით.	ჩემ-ს/ჩემ მეგობარ-ებ-ად	მათ-ს/მათ მეგობარ-ებ-ად
წოდ.	ჩემ-ო მეგობარ-ებ-ო	

კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (**თავისი**, **მაგისი**, **მისი**, **იმისი**, **ამისი**, **სხვისი**; **ვისი**, **რისი**), რომლებიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მიც. და ვით. ბრუნვაში ფუძის სახით წარმოდგებიან, მაშასადამე, არ დაირთავენ **ს** სუფიქსს (აღსანიშნავია, რომ ყველა დასახელებული ნაცვალსახელის ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება): **თავის** მეგობარს, **მაგის** კურსელს, **მის** გადაწყვეტილებას, **იმის** მეზობელს, **ამის** თანაკლასელს, **სხვის** შვილს; **ვის** თანამშრომელს, **რის** გასაღებს...; **თავის** მეზობლად, **სხვის** შვილად, **ვის** მეგობრად...

სახ.	თავის-ი მეგობარ-ი	თავის-ი მეგობრ-ებ-ი
მოთხრ.	თავის-მა მეგობარ-მა	თავის-მა მეგობრ-ებ-მა
მიც.	თავის მეგობარ-ს	თავის მეგობრ-ებ-ს
ნათ.	თავის-ი მეგობრ-ის	თავის-ი მეგობრ-ებ-ის
მოქმ.	თავის-ი მეგობრ-ით	თავის-ი მეგობრ-ებ-ით
ვით.	თავის მეგობრ-ად	თავის მეგობრ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

სახ.	ვის-ი შვილ-ი	ვის-ი შვილ-ებ-ი
მოთხრ.	ვის-მა შვილ-მა	ვის-მა შვილ-ებ-მა
მიც.	ვის შვილ-ს	ვის შვილ-ებ-ს
ნათ.	ვის-ი შვილ-ის	ვის-ი შვილ-ებ-ის
მოქმ.	ვის-ი შვილ-ით	ვის-ი შვილ-ებ-ით
ვით.	ვის შვილ-ად	ვის შვილ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

მსაზღვრელად გამოყენებული **რა, რა და რა** კითხვითი ნაცვალ-სახელები ისე ეთანხმებიან თავიანთ საზღვრულებს ბრუნვაში, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავები.

სახ.	რა გზა	რა და რა საკითხ-ი
მოთხრ.	რა გზა-მ	რა და რა საკითხ-მა
მიც.	რა გზა-ს	რა და რა საკითხ-ს
ნათ.	რა გზ-ის	რა და რა საკითხ-ის
მოქმ.	რა გზ-ით	რა და რა საკითხ-ით
ვით.	რა გზა-დ	რა და რა საკითხ-ად
წოდ.	_____	_____

რა ნაცვალსახელთან, რომელიც მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, სავსებით ბუნებრივია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენება, მაგ.: საკითხები განიხილეს. – **რა საკითხები?**

სახ.	რა საკითხ-ებ-ი
მოთხრ.	რა საკითხ-ებ-მა
მიც.	რა საკითხ-ებ-ს
ნათ.	რა საკითხ-ებ-ის
მოქმ.	რა საკითხ-ებ-ით

ვით. რა საკითხ-ებ-ად
წოდ. _____

მსაზღვრელ **რა და რა** რთულ ნაცვალსახელთან (რომელიც, ბუნებრივია, ერთზე მეტს გულისხმობს) საზღვრული მხოლოდითი რიცხვის ფორმით წარმოდგება (**რა და რა** საკითხი...).

პრეპოზიციურ მსაზღვრელად დასტურდება აგრეთვე **ვინ** ნაცვალსახელი: „კაცი მოკლეს... – **ვინ** კაცი?“ (ყაზბეგი).

თანამედროვე ქართულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **ვინმე** მსაზღვრელადაც გამოიყენება („**ვინმე** მეგობარი არ გყავს?“ ან კიდევ: „**ვინმე** მეზობელს დაუძახე!“...). ის (**ვინმე**) თავის საზღვრულს შეეწყობა ისე, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავი სახელი.

სახ. ვინმე მეზობელ-ი
მოთხრ. ვინმე მეზობელ-მა
მიც. ვინმე მეზობელ-ს
ნათ. ვინმე მეზობლ-ის
მოქმ. ვინმე მეზობლ-ით
ვით. ვინმე მეზობლ-ად
წოდ. _____

მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგება აგრეთვე **რამე** და **რაიმე** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (**რამე საკითხი, რაიმე მოვლენა...**), რომლებიც თავიანთ საზღვრულებს ისე შეეწყობიან, როგორც ფუძემოვნიანი ზედსართავები. დასახელებულ ნაცვალსახელებთან შესაძლებელია საზღვრულის მრავლობითი რიცხვის ფორმით გამოყენებაც („**რამე** პრობლემები გაქვთ?“ ან კიდევ: „**რაიმე** მოვლენებს ხომ არ ამჩნევთ?“...).

სახ. რამე/რაიმე საკითხ-ი რამე/რაიმე საკითხ-ებ-ი
მოთხრ. რამე/რაიმე საკითხ-მა რამე/რაიმე საკითხ-ებ-მა
მიც. რამე/რაიმე საკითხ-ს რამე/რაიმე საკითხ-ებ-ს
ნათ. რამე/რაიმე საკითხ-ის რამე/რაიმე საკითხ-ებ-ის
მოქმ. რამე/რაიმე საკითხ-ით რამე/რაიმე საკითხ-ებ-ით
ვით. რამე/რაიმე საკითხ-ად რამე/რაიმე საკითხ-ებ-ად
წოდ. _____

ქართულში მსაზღვრელის ფუნქციით დასტურდება აგრეთვე **თვით, თვითონ** და **თავად** განსაზღვრებითი ნაცვალსახელები: „**თვით უკვდავება** მშვენიერსა სულში მდგომარებს“ (ნ. ბარათაშვილი); „**თვით უკვდავებაც** არ არსებობს უსიყვარულოდ“ (გალაკტიონი); „ – რა უნდა უყო! / **თვითონ იესო!** – / ხალხი იძახის: / ჭკუით იცნესო!“ (მუხრანი); „**თვითონ მეფენიც** უძლეველნი, რომელთ უმაღლეს, / არც ვინდა არის და წინაშე არც ვინ აღუდგეს“... (ნ. ბარათაშვილი). ისინი (დასახელებული ნაცვალსახელები) ყველა ბრუნვაში ფორმაუცვლელად შეეწყობიან მხოლობითსა და მრავლობითში დასმულ საზღვრულებს.

სახ.	თვითონ მეფე	თვითონ მეფე-ებ-ი	თვითონ მეფე-ნი
მოთხრ.	თვითონ მეფე-მ	თვითონ მეფე-ებ-მა	თვითონ მეფე-თ-ა
მიც.	თვითონ მეფე-ს	თვითონ მეფე-ებ-ს	თვითონ მეფე-თ-ა
ნათ.	თვითონ მეფ-ის	თვითონ მეფე-ებ-ის	თვითონ მეფე-თ-ა
მოქმ.	თვითონ მეფ-ით	თვითონ მეფე-ებ-ით	_____
ვით.	თვითონ მეფე-დ	თვითონ მეფე-ებ-ად	_____
წოდ.	_____	_____	_____

ნართანიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან (პოეზიის ენაში): „**უნდა ვიხილავ ჩემთა მშობელთა** და ჩემსა სატრფოს ტკბილმოუბარსა“ (ნ. ბარათაშვილი)...

პოეზიის ენაში პრეპოზიციური მსაზღვრელი თანდებულიანი ფორმითაც წარმოდგება: „**მომჩერებია ქვეყანა, – / ბნელა მისაში თვალეშე, – / მსურდა რომელსაც ეხარა, – / ჩემი ჩარევის გარემე!**“ (მუხრანი)...

ნაცვალსახელით გამოხატული **პოსტპოზიციური** მსაზღვრელი (ფუძეთანხმოვნისანი თუ ფუძეხმოვნისანი) თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში.

სახ.	მეგობარ-ი ასეთ-ი	კაც-ი ვილაც(ა)
მოთხრ.	მეგობარ-მა ასეთ-მა	კაც-მა ვილაცა-მ
მიც.	მეგობარ-ს ასეთ-ს	კაც-ს ვილაცა-ს
ნათ.	მეგობრ-ის ასეთ-ის	კაც-ის ვილაც-ის
მოქმ.	მეგობრ-ით ასეთ-ით	კაც-ით ვილაც-ით
ვით.	მეგობრ-ად ასეთ-ად	კაც-ად ვილაცა-დ
წოდ.	_____	_____

საზღვრული წევრი მხოლოდობითში დაისმის, თუ პოსტპოზიციურ მსაზღვრელად წარმოდგენილია შემდეგი ნაცვალსახელები: ჩვენებითი – **ამდენი** (ბავშვი *ამდენი*), **მაგდენი** (წიგნი *მაგდენი*), **იმდენი** (ყვავილი *იმდენი*); კითხვითი – **რამდენი** (სტუდენტი *რამდენი*); განსაზღვრებითი – **ყველა** (ბავშვი *ყველა*), **ყოველი** (კაცი *ყოველი*), **თითოეული** (მოსწავლე *თითოეული*), **თითო** (დერი *თითო*); განუსაზღვრელობითი – **ზოგი** (ბავშვი *ზოგი*), **ზოგიერთი** (კაცი *ზოგიერთი*), **რომელიმე** (მოსწავლე *რომელიმე*), **რამდენიმე** (სტუდენტი *რამდენიმე*); უარყოფითი – **არცერთი** (ბავშვი *არცერთი*), **ვერცერთი** (მოსწავლე *ვერცერთი*), **ნურცერთი** (სტუდენტი *ნურცერთი*).

სახ.	ბავშვ-ი ამდენ-ი	სტუდენტ-ი რამდენიმე
მოთხრ.	ბავშვ-მა ამდენ-მა	სტუდენტ-მა რამდენიმე-მ
მიც.	ბავშვ-ს ამდენ-ს	სტუდენტ-ს რამდენიმე-ს
ნათ.	ბავშვ-ის ამდენ-ის	სტუდენტ-ის რამდენიმე-ს(ი)
მოქმ.	ბავშვ-ით ამდენ-ით	სტუდენტ-ით რამდენიმე-თი
ვით.	ბავშვ-ად ამდენ-ად	სტუდენტ-ად რამდენიმე-დ
წოდ.		

შეიკუმშება ან შეიკვეცება ნაცვალსახელით გამოხატული პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუძე, თუ ის (ფუძე) ზოგადად კუმშვადი ან კვეცადია.

ფუძეკუმშვადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	მოსწავლე რომელ-ი
მოთხრ.	მოსწავლე-მ რომელ-მა
მიც.	მოსწავლე-ს რომელ-ს
ნათ.	მოსწავლ-ის რომელ-ის
მოქმ.	მოსწავლ-ით რომელ-ით
ვით.	მოსწავლე-დ რომელ-ად
წოდ.	

ფუძეუკუმშველი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ. ყვავილ-ი იმდენ-ი
მოთხრ. ყვავილ-მა იმდენ-მა
მიც. ყვავილ-ს იმდენ-ს
ნათ. ყვავილ-ის იმდენ-ის
მოქმ. ყვავილ-ით იმდენ-ით
ვით. ყვავილ-ად იმდენ-ად
წოდ. _____

ფუძეკვეცადი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ. წიგნ-ი რომელიღაცა
მოთხრ. წიგნ-მა რომელიღაცა-მ
მიც. წიგნ-ს რომელიღაცა-ს
ნათ. წიგნ-ის რომელიღაც-ის
მოქმ. წიგნ-ით რომელიღაც-ით
ვით. წიგნ-ად რომელიღაცა-დ
წოდ. _____

სახ.	კაც-ი ვიღაცა	საქმე რაღაცა	საკითხ-ი რამე
მოთხრ.	კაც-მა ვიღაცა-მ	საქმე-მ რაღაცა-მ	საკითხ-მა რამე-მ
მიც.	კაც-ს ვიღაცა-ს	საქმე-ს რაღაცა-ს	საკითხ-ს რამე-ს
ნათ.	კაც-ის ვიღაც-ის	საქმ-ის რაღაც-ის	საკითხ-ის რამ-ის
მოქმ.	კაც-ით ვიღაც-ით	საქმ-ით რაღაც-ით	საკითხ-ით რამ-ით
ვით.	კაც-ად ვიღაცა-დ	საქმე-დ რაღაცა-დ	საკითხ-ად რამე-დ
წოდ.	_____	_____	_____

ფუძეუკვეციელი პოსტპოზიციური მსაზღვრელი

სახ.	მოსწავლე იმისთანა	რიგ-ი მერამდენე
მოთხრ.	მოსწავლე-მ იმისთანა-მ	რიგ-მა მერამდენე-მ
მიც.	მოსწავლე-ს იმისთანა-ს	რიგ-ს მერამდენე-ს
ნათ.	მოსწავლე-ის იმისთანა-ს(ი)	რიგ-ის მერამდენე-ს(ი)
მოქმ.	მოსწავლე-ით იმისთანა-თი	რიგ-ით მერამდენე-თი
ვით.	მოსწავლე-დ იმისთანა-დ	რიგ-ად მერამდენე-დ
წოდ.	_____	_____

სახ.	ბავშვ-ი ყველა	საკითხ-ი რომელიმე
მოთხრ.	ბავშვ-მა ყველა-მ	საკითხ-მა რომელიმე-მ

მიც.	ბავშვ-ს ყველა-ს	საკითხ-ს რომელიმე-ს
ნათ.	ბავშვ-ის ყველა-ს(ი)	საკითხ-ის რომელიმე-ს(ი)
მოქმ.	ბავშვ-ით ყველა-თი	საკითხ-ით რომელიმე-თი
ვით.	_____	საკითხ-ად რომელიმე-დ
წოდ.	_____	_____

სახ.	წიგნ-ი რამდენიმე	თემა რაიმე
მოთხრ.	წიგნ-მა რამდენიმე-მ	თემა-მ რაიმე-მ
მიც.	წიგნ-ს რამდენიმე-ს	თემა-ს რაიმე-ს
ნათ.	წიგნ-ის რამდენიმე-ს(ი)	თემ-ის რაიმე-ს(ი)
მოქმ.	წიგნ-ით რამდენიმე-თი	თემ-ით რაიმე-თი
ვით.	წიგნ-ად რამდენიმე-დ	თემა-დ რაიმე-დ
წოდ.	_____	_____

სახ.	მეზობელ-ი ვინმე
მოთხრ.	მეზობელ-მა ვინმე-მ
მიც.	მეზობელ-ს ვინმე-ს
ნათ.	მეზობლ-ის ვინმე-ს(ი)
მოქმ.	მეზობლ-ით ვინმე-თი
ვით.	მეზობლ-ად ვინმე-დ
წოდ.	_____

შენიშვნა 2. თანამედროვე ქართულში განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები – **ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა, რამე** ფაქტობრივად მხოლოდ შეკვეცილი სახით გამოიყენება (**ვიღაცის, რაღაცის, რომელიღაცის, რამის; ვიღაცით, რაღაცით, რომელიღაცით, რამით**), თუმცა მართებულია უკვეცელი ვარიანტებიც (**ვიღაცას(ი), რაღაცას(ი), რომელიღაცას(ი), რამეს(ი); ვიღაცათი, რაღაცათი, რომელიღაცათი, რამეთი**).

ინვერსიულ მსაზღვრელად წარმოდგენილი განსაზღვრებითი ნაცვალსახელი **ყოველი** არ შეიკუმშება ნათ. და მოქმ. ბრუნვებში. რაც შეეხება ვითარებითს, ეს უკანასკნელი მას ნაკლებად უდასტურდება პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით. შეკუმშული ვარიანტი (**ყოველად**) ზმნისართია (ვითარების გარემოება).

- სახ. კაც-ი ყოველ-ი (კაცი **ყოველი** უნდა აცნობიერებდეს თავის მოვალეობას)
- მოთხრ. კაც-მა ყოველ-მა (კაცმა **ყოველმა** უნდა იცოდეს, რა ფუნქცია აქვს მას)
- მიც. კაც-ს ყოველ-ს (კაცს **ყოველს** გააზრებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედება)
- ნათ. კაც-ის ყოველ-ის (კაცის **ყოველის** [და არა ყოვლის] ვალია, დაიცვას სამშობლო)
- მოქმ. კაც-ით ყოველ-ით (კაცით **ყოველით** [და არა ყოვლით] უნდა ამაყოფდეს ერი)
- ვით. _____
- წოდ. _____

შენიშვნა 3. ფუძე **ყოველ-** იკუმშება გარკვეული ტიპის კომპოზიტებსა (**ყოვლისმომცველი, ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე; ყოვლადმოწყალე, ყოვლადსამღვდელო** და სხვ.) და ვით. ბრუნვაში, როცა ზმნისართის სტატუსს იძენს (**ყოვლად** მიუღებელია/წარმოუდგენელია...). აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ენაში სწორედ კუმშვა-უკუმშველობის მიხედვით განირჩევა ხოლმე ერთმანეთისაგან სახელი და ზმნისართი, შდრ.: „ქალი **მშვენიერად** ცეკვავდა“, მაგრამ: „გედი ქალად იქცა – **მშვენიერად**“ ... ანალოგიური ვითარება გვაქვს **ყოველი** ნაცვალსახელის შემთხვევაშიც: „**კაცის ყოველის** ვალია, დაიცვას სამშობლო“, შდრ.: „შენ ჩემო დამნელებელო, წყეულიმცა ხარ **ყოვლად!**“ (ვაჟა).

პოსტპოზიციური ატრიბუტული მსაზღვრელი, რომელიც I ან II პირის (მხ. და მრ. რ.) კუთვნილებითი ნაცვალსახელით არის გადმოცემული, მიცემითში დასმულ საზღვრულს ორმაგი მიცემითის ფორმით შეეწყობა (**მეგობარს ჩემსას, სამშობლოს ჩვენსას, მეზობელს შენსას, სტუდენტებს თქვენსას**...): „ნუთუ სხვა რამე, სიმღერის გარდა, ვერ უშველიდა **ტკივილებს ჩემსას**“ (ლ. ასათიანი); „მე მისთვის დავრჩი, რომ **ხსოვნას შენსას** სიკვდილის ხელი არ მივაკარო“ (ნ. ნადირაძე); „**სიგლახეს ჩვენსას** დავაბრალებთ უცხოს ნურავის! – / თვითდაკვირვების მოვიმარჯვოთ დროა უნარი!“ (მუხრანი)...

საზ.	მეგობარ-ი ჩემ-ი	სამშობლო ჩვენ-ი
მოთხრ.	მეგობარ-მა ჩემ-მა	სამშობლო-მ ჩვენ-მა
მიც.	მეგობარ-ს ჩემ-ს-ა-ს	სამშობლო-ს ჩვენ-ს-ა-ს
ნათ.	მეგობრ-ის ჩემ-ის	სამშობლო-ს(ი) ჩვენ-ის
მოქმ.	მეგობრ-ით ჩემ-ით	სამშობლო-თი ჩვენ-ით
ვით.	მეგობრ-ად ჩემ-ად	სამშობლო-დ ჩვენ-ად
წოდ.	მეგობარ-ო ჩემ-ო	სამშობლო-ვ ჩვენ-ო

ს-ზე დაბოლოებული კუთვნილებითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები (თავისი, მაგისი, მისი, იმისი, ამისი, სხვისი; ვისი, რისი), რომლებიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებენ, მოთხრობითსა და მიცემითში ორ-ორი ვარიანტით წარმოდგებიან, კერძოდ, ფუძეგაუვრცობელი და ფუძეგავრცობილი ფორმებით. ეს უკანასკნელი (ფუძეგავრცობილი ვარიანტები) ყველაზე ხშირად მიცემითში დაჩნდება – როცა მოსალოდნელია ორი ს-ს შეხვედრა (გაუვრცობელი ფუძის შემთხვევაში): მეგობარს მისას, ზავშეს სხვისას...

საზ.	მეგობარ-ი მის-ი	ზავშე-ი ვის-ი
მოთხრ.	მეგობარ-მა მის-მა/მის-ა-მ	ზავშე-მა ვის-მა/ვის-ა-მ
მიც.	მეგობარ-ს მის-ს/მის-ა-ს	ზავშე-ს ვის-ს/ვის-ა-ს
ნათ.	მეგობრ-ის მის-ის(ა)	ზავშე-ის ვის-ის(ა)
მოქმ.	მეგობრ-ით მის-ით	ზავშე-ით ვის-ით
ვით.	მეგობრ-ად მის-ად	ზავშე-ად ვის-ად
წოდ.	_____	_____

ნაცვალსახელით წარმოდგენილ ინვერსიულ მსაზღვრელთა ერთი ნაწილი (ჩვენებითი: **ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა...**, კითხვითი: **როგორი, სადაური...**, განსაზღვრებითი – **სხვა...**) მრავლობით რიცხვშიც ეთანხმება თავის საზღვრულს, თუ ეს უკანასკნელი სულიერი სახელით (ვინ თუ რა ჯგუფისა) არის გამოხატული (**ზავშეები ასეთები, ქალები სადაურები, კაცები სხვები; ცხენები იმისთანები...**), ხოლო უსულო სახელით გადმოცემული საზღვრულის შემთხვევაში პოსტპოზიციური მსაზღვრელი შეიძლება იყოს შეთანხმებულიც (**მთები ამისთანები...**) და შეუთანხმებელიც (**მთები ამისთანა...**).

სახ.	ბავშვ-ებ-ი ასეთ-ებ-ი	კაც-ებ-ი სხვ-ებ-ი
მოთხრ.	ბავშვ-ებ-მა ასეთ-ებ-მა	კაც-ებ-მა სხვ-ებ-მა
მიც.	ბავშვ-ებ-ს ასეთ-ებ-ს	კაც-ებ-ს სხვ-ებ-ს
ნათ.	ბავშვ-ებ-ის ასეთ-ებ-ის	კაც-ებ-ის სხვ-ებ-ის
მოქმ.	ბავშვ-ებ-ით ასეთ-ებ-ით	კაც-ებ-ით სხვ-ებ-ით
ვით.	ბავშვ-ებ-ად ასეთ-ებ-ად	კაც-ებ-ად სხვ-ებ-ად
წოდ.	_____	_____

სახ.	ცხენ-ებ-ი იმისთან-ებ-ი
მოთხრ.	ცხენ-ებ-მა იმისთან-ებ-მა
მიც.	ცხენ-ებ-ს იმისთან-ებ-ს
ნათ.	ცხენ-ებ-ის იმისთან-ებ-ის
მოქმ.	ცხენ-ებ-ით იმისთან-ებ-ით
ვით.	ცხენ-ებ-ად იმისთან-ებ-ად
წოდ.	_____

სახ.	მთ-ებ-ი ამისთან-ებ-ი	მთ-ებ-ი ამისთანა
მოთხრ.	მთ-ებ-მა ამისთან-ებ-მა	მთ-ებ-მა ამისთანა-მ
მიც.	მთ-ებ-ს ამისთან-ებ-ს	მთ-ებ-ს ამისთანა-ს
ნათ.	მთ-ებ-ის ამისთან-ებ-ის	მთ-ებ-ის ამისთანა-ს(ი)
მოქმ.	მთ-ებ-ით ამისთან-ებ-ით	მთ-ებ-ით ამისთანა-თი
ვით.	მთ-ებ-ად ამისთან-ებ-ად	მთ-ებ-ად ამისთანა-დ
წოდ.	_____	_____

ნაცვალსახელი **ვილაცა** (პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით გამოყენებული), რომელიც მხოლოდ ვინ ჯგუფის სახელებს განსაზღვრავს, მრავლობით რიცხვშიც შეეწყობა თავის საზღვრულს.

სახ.	კაც-ებ-ი ვილაც-ებ-ი
მოთხრ.	კაც-ებ-მა ვილაც-ებ-მა
მიც.	კაც-ებ-ს ვილაც-ებ-ს
ნათ.	კაც-ებ-ის ვილაც-ებ-ის
მოქმ.	კაც-ებ-ით ვილაც-ებ-ით
ვით.	კაც-ებ-ად ვილაც-ებ-ად
წოდ.	_____

კუთვნილებითი ნაცვალსახელები რიცხვშიც ეთანხმებიან მრავლობითში დასმულ საზღვრულს (პოეზიის ენაში): „**მამანი**

თქვენნი, / თავის დროს ძენი, / თავის დროს იყვენ სახელოვანნი“ (გრ. ორბელიანი); „ჰოი მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, **ადგილნი შენნი**...“ (ნ. ბარათაშვილი); „შენისა ცრემლით **თვალნი ჩემნი** მიტირებია“ (ილია)...

პოსტპოზიციური მსაზღვრელი **სხვადასხვა** ყველა ბრუნვაში ეთანხმება მხოლობითში დასმულ საზღვრულს.

სახ.	ქვეყანა სხვადასხვა
მოთხრ.	ქვეყანა-მ სხვადასხვა-მ
მიც.	ქვეყანა-ს სხვადასხვა-ს
ნათ.	ქვეყნ-ის სხვადასხვ-ის(ა)
მოქმ.	ქვეყნ-ით სხვადასხვ-ით
ვით.	ქვეყნ-ად სხვადასხვა-დ
წოდ.	_____

ყველაფერი (შესიტყვებაში **ყველაფერი ეს**) და **ყოველივე** (შესიტყვებაში **ყოველივე ეს**) ისე შეეწყობიან **ეს** ნაცვალსახელს ბრუნვაში, როგორც შესაბამისი ფუძის მქონე ზედსართავი სახელები (პრეპოზიციური წყობისა).

სახ.	ყველაფერ-ი ეს	ყოველივე ეს
მოთხრ.	ყველაფერ-მა ამა-ნ	ყოველივე ამა-ნ
მიც.	ყველაფერ ამა-ს	ყოველივე ამა-ს
ნათ.	ყველაფერ-ი ამ-ის	ყოველივე ამ-ის
მოქმ.	ყველაფერ-ი ამ-ით	ყოველივე ამ-ით
ვით.	ყველაფერ ამა-დ	ყოველივე ამა-დ
წოდ.	_____	_____

შენიშვნა 4. თანამედროვე ქართულში შეინიშნება **ყველაფერი** ნაცვალსახელის (შესიტყვებაში **ყველაფერი ეს**) ფუძის სახით გამოყენების ტენდენცია ნათ. და მოქმ. ბრუნვებშიც (სახ. **ყველაფერი ეს**, მოთხრ. **ყველაფერმა ამან**, მიც. **ყველაფერ ამას**, ნათ. **ყველაფერ ამის**, მოქმ. **ყველაფერ ამით**, ვით. **ყველაფერ ამადა**).

ნაცვალსახელი **იგივე**, რომელიც ინვერსიული მსაზღვრელის ფუნქციას ასრულებს, თავის საზღვრულს ეთანხმება ყველა ბრუნვაში.

სახ.	საკითხ-ი იგივე
მოთხრ.	საკითხ-მა იმავე-მ
მიც.	საკითხ-ს იმავე-ს
ნათ.	საკითხ-ის იმავეს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით იმავე-თი
ვით.	საკითხ-ად იმავე-დ
წოდ.	_____

პოსტპოზიციური მსაზღვრელის ფუნქციით წარმოდგენილი გამოთქმის – **ერთი და იგივე** – ორივე კომპონენტი ყველა ბრუნვაში სრულად დაირთავს შესაბამის ნიშნებს, თუმცა ვითარებითში დასაშვებია პირველი ნაწილის (**ერთი**) ფუძეგაუფორმებელი ვარიანტით გამოყენებაც (**ერთ**).

სახ.	საკითხ-ი ერთ-ი და იგივე
მოთხრ.	საკითხ-მა ერთ-მა და იმავე-მ
მიც.	საკითხ-ს ერთ-ს-ა და იმავე-ს
ნათ.	საკითხ-ის ერთ-ის-ა და იმავე-ს(ი)
მოქმ.	საკითხ-ით ერთ-ით-ა და იმავე-თი
ვით.	საკითხ-ად ერთ-(ს-ა) და იმავე-დ
წოდ.	_____

თუ საზღვრული წევრი თანდებულებიანი ფორმით არის წარმოდგენილი, მსაზღვრელი ნაცვალსახელიც დაირთავს თანდებულს: „ეს ორი დღეა, რატომღაც, / ვარ **ხასიათზე ისეთზე...** / ისე... / რომ მკითხობ მიზეზი, – / ვერაფერს მოვიმიზეზებ“ (მუხრანი)...

ლიტერატურა

არაბული 2004 – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.

აფრიდონიძე 2009 – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.

დავითიანი 1973 – ა. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

თანამედროვე ქართული ენა, მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით, თბილისი, 2011.

კვაჭაძე 2010 – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.

კვაჭაძე 2018 – ლ. კვაჭაძე, ქართული ენა, თბილისი.

ლეჟავა 1970 – ლ. ლეჟავა, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან მრავლობით რიცხვში, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, თბილისი.

ჩიქოზავა 1983 – არნ. ჩიქოზავა, ზოგადი ენათმეცნიერება, თბილისი.

ჩიქოზავა 1998 – არნ. ჩიქოზავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბილისი.

ჯანაშია 1970 – ს. ჯანაშია, მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში (წითელი დროშის თუ წითელ დროშის?), თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1970.

Tamar Vashakidze

The Agreement of a Number Modifier with the Head Word in Case and Number

Summary

The paper discusses the rules for the agreement of the attributive modifier conveyed by a numeral with the head word. There is a detailed discussion on the agreement of prepositional or postpositional modifier and the head word in case and number. The issues of pairing consonant-based and vowel-based number modifiers with the head word are presented separately. Issues of the syntactic connection of cardinal and ordinal numbers with the head word, the peculiarities of case and number agreement of multicomponent numerals are also discussed.

მაკა ლაბარტყავა

რამდენიმე სახის ფუძეგაორკეცებულ კომპოზიტთა მართლწერისათვის

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ორთოგრაფიულ პრობლემათა შორის ერთ-ერთი აქტუალური საკითხია რთული შედგენილობის სახელთა მართლწერა.

როგორც ცნობილია, „ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოსაქმნელად ფართოდ გამოიყენება კომპოზიცია ანუ თხზვა, რაც გულისხმობს ორი ან მეტი ფუძის (ან სიტყვის) შეერთებას. თუ დერივაციის დროს ახალი ლექსიკური ერთეულები წარმოიქმნება დერივაციული, მნიშვნელობის მცვლელი, აფიქსების დართვით, კომპოზიციის დროს ახალი ფუძეები იქმნება დამოუკიდებელი ლექსიკური ერთეულების შეერთებით. მათი შერწყმის შედეგად ვიღებთ რთულ სიტყვას ანუ კომპოზიტს. კომპოზიციას მიაკუთვნებენ აგრეთვე სახელის ფუძის განმეორებას ანუ რედუპლიკაციას...“ [თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 247].

„ფუძის გაორკეცება სიტყვაწარმოების ერთ-ერთი საშუალებაა, იგი მრავალ ენაშია გავრცელებული. მნიშვნელოვანია მისი წილი ქართული ენის სიტყვაწარმოებაშიც. ა. შანიძის, გ. დეეტერსის, ვ. თოფურიას, ფ. ნაისერის, ლ. კვაჭაძის, ივ. იმნაიშვილის, ვ. იმნაიშვილის, ფ. ერთელიშვილის, ლ. სანიკიძისა და სხვათა შრომებში შესწავლილია რედუპლიკაციის საკითხები ქართველურ ენებში, გამოვლენილია რედუპლიკაციის ტიპები. რედუპლიკაციის ამოსავალი მნიშვნელობა სიმრავლე-ინტენსივობა-განმეორებადობის გამოხატვაა: სხვა მნიშვნელობები აქედან უნდა მომდინარეობდეს“ [ლომთათიძე 1940: 134].

ფუძის გამეორება, ანუ გაორკეცება საკმაოდ გავრცელებულია როგორც სახელებში, ისე ზმნებში. თანამედროვე ქართულში (დაწერილობის თვალსაზრისით) ყურადღებას იქცევს რიცხვითი სახელის ფუძის გაორკეცებით მიღებული კომპოზიტი **ერთ-ერთი**.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების თანახმად, „ყველა ერთმნიშვნელობიანი კომპოზიტი უნდა დაიწეროს

ერთად, ერთ სიტყვად, ხოლო ორ- და მეტმნიშვნელობიანი – დეფინიციით“ [ნორმები 1970: 155]. სპეციალურ ლიტერატურაში კვითხულობით: „ორცნიეიანი კომპოზიტების შემადგენელ კომპონენტებს შენარჩუნებული აქვთ თავ-თავისი მნიშვნელობა, მათ შორის შეიძლება დაისვას **და** კავშირი. ასეთი კომპოზიტები დეფინიციით იწერება“ [თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია 2011: 247]. შესაბამისად, ნორმის გათვალისწინებით, დეფინიციით დაიწერება იმ სახის ორმნიშვნელობიანი კომპოზიტები, რომლებიც რიცხვითი სახელების ფუძის გაორკვევებით მიიღება, მაგ.: **ერთ-ერთი**: „საქართველოზე **ერთ-ერთი** ლაშქრობის დროს თურქთა ლაშქარს ისკანდერიც ახლდა“ (ლ. გოთუა); **ორ-ორი**: „თითოეული ამბულატორიისათვის **ორ-ორი** ათასი ლარი გამოყო“ („ახალი თაობა“: 2008); **სამ-სამი**: „დაჰკარით!... **სამ-სამი** დაჰკარით თითომ, თხუთმეტი რომ გამოვიდეს სულ!“ (ჭ. ამერიჯიბი); **ხუთ-ხუთი**: „რიკარდოს ქუჩა! იმდროინდელ ვატერპოლოში **ხუთ-ხუთი** სხეული ერკინებოდა ერთურთს“ (გ. დოჩანაშვილი); **ათ-ათი**: „ნაჩალნიკი დაფიქრდა და უთხრა: **ათ-ათი** თუმანი კაცის თავი იკმარე და წმინდის გიორგის ჯვარი“ (ალ. ყაზბეგი).

ლექსიკური ერთეული **ერთ-ერთი** დეფინიციითაა წარმოდგენილი ვ. თოფურიასა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1998 წ.), ასევე – მომდევნო წლებში გამოცემულ ორთოგრაფიულ ლექსიკონებში: „მოსწავლის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“, „მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის“, „საჯარო მოხელის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი“ და ა. შ.

თანამედროვე ქართულში – რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში (ასევე მწერლობაში) – კომპოზიტი **ერთ-ერთი** არცთუ იშვიათად გვხვდება ერთად დაწერილობით. დასახელებულ კომპოზიტთან დაკავშირებით ხშირად დაისმის კითხვა, როგორ დაიწეროს ის (**ერთ-ერთი**) – ერთად თუ დეფინიციით.

რადიო-ტელევიზიისა და პრესის ენაში:

„თბილისის საკრებულოს ცნობით, **ერთერთ** გეოგრაფიულ ობიექტს კომპოზიტორ გია ყანჩელის სახელი მიენიჭება“ (<https://tabula.ge>); „მიმაჩნია, რაც გამეგება საერთოდ ფეხბურთში, ბუფონი **ერთერთი** საუკეთესო მეკარეა ჩემთვის“ (tavisufleba.ge); „ჩვენი ქვეყნის მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების **ერთერთი**

თვალსაჩინო გამოვლენა საგარეო სავაჭრო ბრუნვის ორნიშნა ზრდა-
აა“ (<http://kvira.ge>); „გასულ წელს თბილისში იყო ჩინეთის
ერთერთი კომპანიის დირექტორი და აქ გასინჯა ქართული ღვინო“
(tavisupleba.org)...

შდრ.:

„საქართველო **ერთ-ერთი** სამაგალითო ქვეყანაა ღია მმართვე-
ლობაში“ (<https://parliament.ge>); „ველინგტონის ვიქტორიას უნივერ-
სიტეტის მკვლევრებმა მსხვილი ნაწლავის **ერთ-ერთი** საშიში კიბოს
საწინააღმდეგო საშუალებას მიაგნეს“ (<https://mkurnali.ge>); „ის გახ-
ლავთ „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის **ერთ-ერთი** მთავარი ავტო-
რი“ (<https://imedinews.ge>); „იტალია მზად არის უკრაინის უსაფრთხოე-
ბის **ერთ-ერთი** გარანტორი გახდეს“ ([https://www.interpress-
news.ge](https://www.interpress-news.ge))...

მწერლობაში:

„ერთ დღეს ჩვენი **ერთერთი** მეზობელი შემოვიდა ეზოში და
გაიგონა ტუჩის გარმონის ხმა“ (გ. დოჩანაშვილი); „ხოლო მისი
ერთერთი თარგმანი „ჯანიეტა“ წიგნადაც გამოსულა“ (გ. ალხაზიშვი-
ლი); „ნაღვერდალივით შიშხინებდა მელქისედეკის მიერ წარმო-
თქმული ლოცვის **ერთერთი** ლექსი“ (ვ. გამსახურდია); „პეტერბურგ-
ში ჩემი **ერთერთი** ჩასვლისას შევიტყვე და დავრწმუნდი რომ სახნოვი
ასე მოქმედებდა“ (ჭ. ამერიჯიბი)...

შდრ.:

„და განა ლიტერატურა კულტურული დასვენების **ერთ-ერთი**
საუკეთესო საშუალება არ არის?“ (გ. დოჩანაშვილი); „...რამო შრამია-
ნი, იგივე თათარი, იყო **ერთ-ერთი** მეთაურთაგანი აჯანყებისა“
(ა. მორჩილაძე); „ჩვენი პაწია საქართველო მსოფლიოს პოეზიურ რუ-
კაზე **ერთ-ერთი** დიდი ძლევამოსილი სახელმწიფოა“ (გ. დოჩანაშვი-
ლი); „თუ აქ მზე ან მთვარე საერთოდ არსებობს, **ერთ-ერთი** თავისით
ისედაც გამოჩნდება“ (ბ. ჯანიკაშვილი)...

ვფიქრობთ, **ერთ-ერთის** უდევისოდ დაწერა არ არის გამართ-
ლებული რამდენიმე ფაქტორის გამო: 1. სტატისტიკურ მონაცემთა
ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ დეფისიანი ლექსიკური ერთე-
ულები (**ერთ-ერთი**) ჭარბობენ უდევისო ვარიანტებს (**ერთერთი**);
2. თუ კომპოზიტ **ერთ-ერთს** დეფისის გარეშე დავწერთ, გაჩნდება
პრეცედენტი სხვა რიცხვითი სახელის შემცველი ფუძეგაორკვებუ-
ლი ლექსიკური ერთეულების (**სამ-სამი, ოთხ-ოთხი...**) ერთად დაწე-
რისა (**სამსამი, ოთხოთხი**)...

როგორც ცნობილია, „ქართულ სალიტერატურო ენას დიდი ხნის ისტორია აქვს და მეტად მდიდარი ტრადიციები მოეპოვება, მასში ერთმანეთის გვერდით მტკიცედაა დაცული სხვადასხვა ეპოქაში ჩამოყალიბებული ფორმები. ასეთი სალიტერატურო ენის ნორმათა უნიფიკაცია სიმწიფეებთანაა დაკავშირებული. კერძოდ, ტრადიცია მძლავრად მოქმედი ფაქტორია ჩვენი სალიტერატურო ენისა...“ [ნორმები 1970: 11].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ტრადიციის გათვალისწინებით, ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი **ერთ-ერთი** ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში, ვფიქრობთ, უნდა წარმოდგენილ იქნეს დეფისით – **ერთ-ერთი** (სხვა რიცხვითი სახელების შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების მსგავსად: **ორ-ორი, სამ-სამი**...).

თანამედროვე ქართულში ასევე ყურადღებას იქცევს **-ობა** მწარმოებელდართული, მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტების დაწერილობა. მაგ.: **ას-ასი** (100-100) – **ას-ასობით**, **სამ-სამი** (3-3) – **სამ-სამობით**, **ათ-ათი** (10-10) – **ათ-ათობით**...

თანამედროვე ქართულში, რადიო-ტელევიზიისა თუ პრესის ენაში (აგრეთვე მწერლობაში) ზემოთ დასახელებული კომპოზიტები გვხვდება როგორც დეფისით, ისე ერთად დაწერილობით. მაგ.: „ახლა კი რეგიონულ ვეზირებს **ას-ასობით** ლარი დააწვიმეს“ („საქ. რესპუბლიკა“: 2009), შდრ.: „ეს არის საზოგადო კრება, რომელზედაც ქართველობა **ასასობით** მაინც უნდა ესწრებოდეს“ (<https://csogeorgia.org>); „თუ **სამ-სამობით** ითვლი და პირველს ასახელებ 6-ს, მერამდენე იქნება რიცხვი 27?“ (<https://quizizz.com>), შდრ.: „გოგონას რჩევა გაითვალისწინა, აბები **სამსამობით** დალია“ (<https://ru-ru.facebook.com>) და ა. შ.

ლექსიკური ერთეული **ას-ასობით** დეფისითაა წარმოდგენილი ვ. თოფურისა და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით გამოცემულ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“: **ას-ასობით** [ქეოლი 1998: 60].

ზემოთ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულისაგან (**ას-ასობით**) განსხვავებით, ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში **წვეთწვეთობით** ტიპი გათვალისწინებულია ერთად დაწერილობით [ქეოლი 1998: 605]: „ყოველი დღე სიცოცხლეს **წვეთწვეთობით** მჩუქნიდა“ (<https://metronome.ge>); **დამდამობით** [ქეოლი 1998: 505]: „ანონიმი კორექტორი **დამდამობით** სარეკლამო აბრებზე შეცდომებს ასწორებს“

(imedinews.ge). ქეოლში ასევე ერთად დაწერილობით დასტურდება ლექსიკური ერთეული **ჯერჯერობით** [ქეოლი 1998: 624]: „არ შეიძლება ასე უსახელოდ დავშორდეთ ერთმანეთს, – **ჯერჯერობით** ჩვენი საუბარი იუმორისტულ ჟურნალში დაბეჭდილ მასალას ჰგავდა“ (გ. დოჩანაშვილი).

აღსანიშნავია ისიც, რომ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ –**იან** მაწარმოებლით გაფორმებული რიცხვითი სახელის შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი **ასასიანები** ერთად დაწერილობითაა წარმოდგენილი: „**ას-ასი** (100-100), მაგრამ **ასასიანები**“ [ქეოლი 1998: 60], მაგ.: „ქათამაძეს არ ჩოყურია **ასასიანები**“ (დ. კლდიაშვილი). პრესის ენაში ასევე ერთად დაწერილობით დასტურდება სხვა ამ ტიპის ლექსიკური ერთეულები – **ოთხოთხიანი, ხუთხუთიანი**, მაგ.: „ბოლო-ბოლო ბიჭებმა იშოვეს **ოთხოთხიანი** შენობა, შიდა ეზოთი, სხვენითა და ონკანით“ (<https://intermedia>); „...სამვალენტისანი დარიშხანი ბევრჯერ უფრო ტოქსიკურია, ვიდრე **ხუთხუთიანი**“ (<https://texas.ru>)...

მ. ჭაბაშვილი აღნიშნავს, რომ ერთად უნდა დაიწეროს მქონებლობის **-ა, -ოვან, -ოსან...** მაწარმოებლებით გაფორმებული კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი არის ზედსართავი სახელის ან მიმღეობის, არსებითი ან რიცხვითი სახელის ფუძე: **მოკლესახელოებიანი, მაღალქუსლიანი... თვალეზანთეული, ხელეზაკაპიწებული... ორადგილიანი, რვასათიანი, მეოთხეკურსელი, მეცხრეკლასელი...** ამ ტიპის კომპოზიტებს უწოდებენ კუთვნილებითს (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია), ქონებისას (ა. შანიძე) ან მსაზღვრელიანს (ა. კიზირია) [ქსკს 2008: 93]. მათ შესახებ ა. კიზირია შენიშნავს: „არსებითი სახელის პოსტპოზიციურობისას, როდესაც მას ახლავს ქონების გამომხატველი სუფიქსები (**-ა, -ოვან, -ოსან...**), მსაზღვრელი ზედსართავი სახელის ფუძის სახით გვევლინება. ეს და დართული აფიქსი თითქოს მსაზღვრელ-საზღვრულს კრავს ერთ მთლიან სიტყვად. მაგალითად, შდრ.: **ცალი თვალი** და **ცალთვალა** (**//ცალთვალისანი**), **წითელი პერანგი** და **წითელპერანგა**, **შავი ჩოხა** და **შავჩოხოსანი** (**//შავჩოხისანი**) [ქსკს 2008: 93].

ვახტანგ იმნაიშვილი შენიშნავს, რომ: „სიტყვათმაწარმოებელი აფიქსების დართვა ერთ მთლიანობად, ერთ სიტყვად კრავს არა მარ-

ტო დეფისით დაწერილ, არამედ უდეფისოდ, ორ სიტყვად გაფორმებულ შესიტყვებასაც. მაგალითად: თეთრი კაბა – თეთრკაბიანი, კაცური კაცი – კაცურკაცობა“ [იმნაიშვილი 2016: 7-8].

დაისმის კითხვა: ერთად ხომ არ უნდა დაიწეროს **-ობა** მაწარმოებლით გაფორმებული რიცხვითი სახელის შემცველი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები (**ას-ასობით, სამ-სამობით...**)?

ვფიქრობთ, რომ ფუძეგაორკეცებული რიცხვითსახელიანი კომპოზიტი **ერთ-ერთი** ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში უნდა წარმოვადგინოთ დეფისით, ისევე როგორც ივ. გიგინეიშვილისა და ვ. თოფურიას რედაქციით გამოცემულ „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონშია:

ერთ-ერთი (და არა: **ერთერთი**).

-ობა მაწარმოებლიანი მოქმედებითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი ფუძეგაორკეცებული რიცხვითი სახელის შემცველი კომპოზიტები კი, ვფიქრობთ, ახალ ორთოგრაფიულ ლექსიკონში უდეფისოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული:

ასასობით (და არა: **ას-ასობით**)

სამსამობით (და არა: **სამ-სამობით**).

ლიტერატურა

გოგოლაშვილი 2011 – გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი.

იმნაიშვილი 2016 – ვ. იმნაიშვილი, ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბილისი.

ლომთათიძე 1940 – ქ. ლომთათიძე, რედუპლიკაციის ფუნქციებისათვის აფხაზურში, ენიმკის მოამბე, IV-V, თბილისი.

ნორმები 1970 – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი.

ქეეკი – ქართული ენის ეროვნული კორპუსი.

ქეელი 1998 – ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბილისი.

ქსკს 2008 – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, თბილისი.

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.

Maka Labartkava

On Spelling Some Types of Reduplicative Compounds

Summary

The paper discusses one of the topical issues among the orthographic issues that need to be solved in the modern Georgian literary language - the spelling of reduplicative compounds (exact reduplication) containing a number, and two important problems are also analysed:

1. How to present the reduplicative compound *ert-erti* – as a closed compound (*erterti*) or a hyphenated compound (*ert-erti*) in the new orthographic dictionary?

2. How to present the reduplicative compounds affixed with *-oba* in the instrumental case *as-asobit*, *sam-samobit*, *at-atobit* in the new orthographic dictionary – as a closed compound (*asasobit*, *samsamobit*, ათათობით) or a hyphenated compound (*as-asobit*, *sam-samobit*, *at-atobit*)?

ანგლიციზმები და ქართული სიტყვაწარმოების ტენდენციები

უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულმა პროცესებმა, ინფორმაციის მუდმივმა და სწრაფმა გაცვლამ ქვეყნებს შორის, ბუნებრივია, გააძლიერა ენობრივი კონტაქტები, რამაც შედეგად მოიტანა უცხოენოვანი ლექსიკის დიდი რაოდენობით შემოსვლა. გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან სულ უფრო ინტენსიური ხდება ინგლისური ენიდან სესხებისა და ადრე ნასესხები სიტყვების გააქტიურების პროცესი.

ანგლიციზმების მოჭარბების გზა გაიარა გერმანულმა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჩვენთვის საყურადღებოა ეს გამოცდილება, რადგან გერმანული გამოიჩინა სიტყვათქმნადობის მრავალფეროვანი შესაძლებლობებითა და ძლიერი ტენდენციებით, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სესხების პროცესზე. მიიჩნევენ, რომ ანგლიციზმები გამოიყენება პრესტიჟულობის მინიჭების, ყურადღების მიქცევის მიზნით; ექსპრესიულობის ფუნქციით, სტილისტიკური ელფერისათვის; გარდა ამისა, ცნების ერთი სიტყვით გამოსახატავად, ასევე, ახალი ცნებების, საგნების, მოვლენების აღსანიშნავად.

ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ნასესხობების ასიმილაციის ხარისხით. კერძოდ, ენაში ხდება უცხო სიტყვების პასიური მიღება ან ეს სიტყვები რაიმე სახის ცვლილებას განიცდის და მიმღები ენა თავის ყალიბში აქცევს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რამდენად მონაწილეობს ნასესხები ლექსიკა, ამ შემთხვევაში ინგლისური ან ინგლისურის გზით შემოსული სიტყვები, სიტყვაწარმოების პროცესში.

ქართულში ინგლისურკომპონენტისანი რთული სიტყვები შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:

1. რთული სიტყვები, რომელთა ყველა კომპონენტი ნასესხებია.

ეს არის ნასესხობები, რომლებიც ინგლისურში შესიტყვებებია და ქართულში ქმნიან რთულ სიტყვებს. ამ ტიპისაა: **ბიზნესკლასი**

(business class), **კოლცენტრი** (call centre), **ბიზნესადმინისტრაცია** (business administration).

სიტყვები, რომლებიც ინგლისურში კომპოზიტებია, მაგ., **ბიზნესმენი**, ბუნებრივია, ქართულის დონეზე რთულ სიტყვად არ უნდა ჩაითვალოს.

2. ე. წ. „ჰიბრიდული კომპოზიტები“ [ოსაძე 2016: 86], რომელთა ერთი-ერთი კომპონენტი ინგლისურიდანაა ნასესხები, მეორე კი ქართულია: **ბიზნესსაათი** (business hours), **ბიზნესგარემო** (Business Environment), **მედიასწავლება** (media studies).

ფუნქციურად ეს სიტყვები მართულმსაზღვრელიან კომპოზიტებს უთანაბრდება, თუმცა, განსხვავებული სტრუქტურისაა. კომპოზიტების ამგვარი წარმოება ქართულისათვის ბუნებრივი არ არის.

3. პირველი ორი ჯგუფისაგან ფუნქციურად განსხვავებულია, თუმცა მსგავსი ყალიბი აქვს რთულ სიტყვებს, რომლებიც უცხოური წარმომავლობის, ჩვეულებრივ, ბერძნულ-ლათინური ელემენტების **აგტო-**, **ექსტრა-**, **ინფრა-**, **სუპერ-**, **ულტრა-**, **ჰელიო-** და მისთ. დართვით მიიღება, მაგ.: *ავტომოყვარული*, *ინფრაწითელი*, *ულტრამოდური*, *სუპერთასი*, *ჰიპერახალგაზრდული* და სხვ. ამ ტიპის სიტყვების მოჭარბება ენაში სწორედ ინგლისურის გავლენაა და ინგლისურიდან ნასესხობებად უნდა განვიხილოთ. როგორც ნ. დათეშიძე აღნიშნავს: „სუპერ- და მისმა მსგავსმა ელემენტებმა დეტერმინოლოგიზაციის გზით ტერმინოლოგიური სიბრტყიდან სამომხმარებლო სიბრტყეზე გადასაცვლებით თანამედროვე ენაში შეუზღუდავი შესაძლებლობები შეიძინეს და დღეს უკვე ძალიან ხშირად გვხვდება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურასა თუ მასმედიის ენაში“ [დათეშიძე 2013: 153]. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ინგლისურში ზოგიერთმა ამ ელემენტმა დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა და ენაში გაჩნდა ომონიმები, **super¹** არის სახელი და ნიშნავს განსაკუთრებით კარგს (სასაუბრო), ხოლო **super²** არის პრეფიქსი (ლონგმანის სასწავლო ლექსიკონი) ან რთული სიტყვის კომპონენტი (ოქსფორდის ლექსიკონი). ასეთივე ვითარებაა **hyper**, **extra** და ზოგი სხვა ბერძნულ-ლათინური წარმოშობის ელემენტთა შემთხვევაში. რთული სიტყვების ინგლისურიდან სესხების პროცესის კვლევისას საჭიროა ამ სპეციფიკის გათვალისწინებაც.

აქვე უნდა განვიხილოთ რთული სიტყვები, რომლებიც ზედ-მიწევნით თარგმნითი ეკვივალენტებია. ამგვარი სიტყვების შემადგენელი კომპონენტები ქართული ფუძეებია, თუმცა უცხოური რთული სიტყვების თარგმანს წარმოადგენს, მათი კალკია. მართალია, ბერძნული ძირების ქართული ეკვივალენტებით ჩანაცვლების ყალიბი საკმაოდ ძველია, მაგრამ მათი გააქტიურება სწორედ ინგლისურიდან სესხებას უკავშირდება. მაგალითისათვის განვიხილოთ **სუპერ**- ელემენტისა და მისი სინონიმების შემცველი ინგლისური რთული სიტყვების სესხების შემთხვევები. ამ ტიპის სიტყვების სესხებისას უპირატესობა ენიჭებოდა მათ თარგმანს, ხშირ შემთხვევაში, კალკირებას. ქართულში გამოიყენება უმეტესად **ზე**- თანდებულიანი ყალიბი, მაგ.: *ზეკაცი*, *ზესახელმწიფო*, *ზემდგომი* და მისთ., რუსულში მისი შესატყვისია **Сверх**¹:

ინგლ. – **Supernatural**

რუს. – **Сверхъестественн/ый, ая, ое**

ქართ. – **ზებუნებრივი**

ინგლ. – **Supersonic**

რუს. – **Сверхзвуков/ой, ая, ое**

ქართ. – **ზებგერითი**

ინგლ. – **Superprofit**

რუს. – **Сверхприбыль**

ქართ. – **ზემოგება**

თანამედროვე ქართულში სურათი შეცვლილია. ენა უპირატესობას ანიჭებს ჰიბრიდულ რთულ სიტყვებს და ახალი სიტყვების სესხებისას წარმოშობით ბერძნული ძირების ქართული ეკვივალენტით ჩანაცვლების ყალიბს ნაკლებად მიმართავს. შესაძლოა ეს გარკვეულწილად დაკავშირებული იყოს ინგლისურის სპეციფიკასთან, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. კერძოდ, **ზებუნებრივი** შეესაბამება ინგლისურ სიტყვას **Supernatural**, რომელშიც **Super** რთული სიტყვის კომპონენტია, ხოლო **სუპერთასი** ინგლისურ შესიტყვებას **Super cup**. ამ შემთხვევაში **Super** სრულმნიშვნელოვანი სიტყვაა.

¹ საგულისხმოა, რომ მ. ყუფარაძე რუსულ რთულ სიტყვებში კომპონენტს ანტი- (анти) მორფემის კვალიფიკაციას აძლევს, ხოლო ქართულში – აფიქსიდის [ყუფარაძე 1988: 336].

სასაუბრო მეტყველებასა და მედიის ენაში ძირითადად **სუპერ-**ის გააქტიურება შეინიშნება, მისი სინონიმები კი უფრო სამეცნიერო სფეროს, წიგნურ მეტყველებას მიეკუთვნება. საინტერესოა ერთსა და იმავე ფუძესთან **სუპერ-** და **ზე-** ელემენტების დართვის შემთხვევები. ზოგჯერ ეს სიტყვები მნიშვნელობით არ განსხვავდებიან, როგორცაა მაგ.: *ზესახელმწიფო* და *სუპერსახელმწიფო*. ეს უკანასკნელი სასკოლო სახელმძღვანელოებშიც კი გაჩნდა, მაგ.: „მას ერთპოლუსიან მსოფლიოდ მოიხსენიებენ და ამ ერთადერთ პოლუსს სუპერსახელმწიფო – აშშ წარმოადგენს“ (გეოგრაფია, 11, ავტორები: მათა ბლიაძე; გია ჭანტურია; დავით კერესელიძე; ზურაბ სეფერთელაძე).

ზოგჯერ **ზე-** და **სუპერ-** კომპონენტების ერთსა და იმავე სიტყვასთან გამოყენების შემთხვევაში შეინიშნება სემანტიკური სხვაობა: *ზეადამიანი* – რაც ადამიანის ძალას, შესაძლებლობას აღემატება, ადამიანურზე მეტი (ქეგლი) და *სუპერადამიანი* – ძალიან მაგარი, ძალიან ძლიერი ადამიანი („შეხვდით კანის გრანპრის მფლობელ სუპერადამიანებს“).

ამკარაა, რომ უცხოური ლექსიკის მოჭარბებამ ბიძგი მისცა ენის სიტყვაწარმოებითი პოტენციალის გააქტიურებას, რაზეც მეტყველებს ჰიბრიდული რთული სიტყვების შექმნის ძლიერი ტენდენცია.

დგება საკითხი, რა კვალიფიკაცია უნდა მიეცეს ამ რთულ სიტყვებს. უნდა აღინიშნოს, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ არის არათუ სულ ახლახან დამკვიდრებული რთული სიტყვების კომპონენტების, არამედ დიდი ხნის ისტორიის მქონე ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის ელემენტების კვალიფიკაციის საკითხის მიმართ, კერძოდ, არსებობს მოსაზრება, რომ ეს დერივაციული აფიქსებია (მორფემათა ლექსიკონი)¹, ან აფიქსოიდები (მ. ოსაძე, ნ. დათეშიძე, მ. ყუფარაძე). ეს წინააღმდეგობა ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც:

არქი- – *რთული ფუძის პირველი* ნაწილი. აღნიშნავს: 1. წიგნ. იმის უმაღლეს ხარისხს, რაც მოცემულია რთული ფუძის მეორე ნაწილში: არქიპატრიოტი – უაღრესად პატრიოტი.

¹ ლექსიკონში უცხოური წარმოშობის კომპონენტებს აფიქსის კვალიფიკაცია აქვს მინიჭებული, ხოლო მის შესატყვის ქართულ კომპონენტს (მაგ., ზე-) – პრეფიქს-მორფემოიდის.

თავსართი – სიტყვა, რომელიც აღნიშნავს იმის უმაღლეს ხარისხს, რაც მოცემულია სიტყვის ძირითად ნაწილში: არქიპატრიოტი – უაღრესად პატრიოტი [ქეგლი, ახალი რედაქცია].

ექსტრა- – **თავსართი** უცხო სიტყვისა, ნიშნავს: გარეშე, ზევით. **თავსართი** უცხო სიტყვისა, ნიშნავს: გარეშე, ზევით [ქეგლი, ახალი რედაქცია].

ჰიპერ- – **წინსართი**, რომელიც იხმარება სახელებთან და აღნიშნავს გადამეტებულს.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი:

რთული სიტყვის პირველი შემადგენელი ნაწილი; აღნიშნავს ზევით ყოფნას, აგრეთვე ნორმის გადამეტებას.

საგულისხმოა, რომ **თავსართის** კვალიფიკაცია განმარტებითში აქვს სიტყვამაწარმოებელ აფიქსებს: სა-; მე-; უ- (სუფიქსებთან ერთად).

ამ ელემენტების სტატუსი განსაზღვრავს თავად ამ რთული სიტყვების სტატუსსაც, კერძოდ, კომპოზიტებად უნდა მივიჩნიოთ ისინი თუ ნაწარმოებ სიტყვებად. ეს წინააღმდეგობა შემთხვევითი არ არის, ამგვარი აზრთა სხვადასხვაობაა ენათმეცნიერთა შორის სხვა ენების შემთხვევაშიც, მით უფრო არაერთგვაროვანია დამოკიდებულება **ბიზნესკლასის**, **რესურსცენტრის** და მსგავსი ტიპის რთული სიტყვების შემადგენელი ელემენტების მიმართ. ზოგი განიხილავს როგორც სრულმნიშვნელოვან ფუძეებს და, ამდენად, ამ სიტყვებს კომპოზიტებად მიიჩნევს (მ. ჭაბაშვილი, ს. ომიადე, ვ. მალრაძე), ხოლო სპეციალისტთა ნაწილისათვის ეს კომპონენტები აფიქსოიდებია (მ. ოსაძე, ნ. დათეშიძე, მ. ყუფარაძე).

ზემოთ აღნიშნული პრობლემების წარმოჩენა მნიშვნელოვანია, რათა შევძლოთ ახალი ენობრივი რეალობის ადეკვატური ანალიზი და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

ლიტერატურა

დათეშიძე 2013 – ნ. დათეშიძე, აფიქსოიდთა ფუნქციები ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 13, თბილისი.

კობახიძე 2004 – ა. კობახიძე, ზოგი რამ კომპოზიტების დაწერილობისთვის (ლექსიკონებში სოკოს აღმნიშვნელი სახელების მართლწერასთან დაკავშირებით), ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 12, თბილისი.

ლონგმანის სასწავლო ლექსიკონი 2010 – Longman Active Study Dictionary.

მალრაძე 2016 – ვ. მალრაძე, ნასესხები შესიტყვება-კომპოზიტები მ. ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 16, თბილისი.

მორფემათა ლექსიკონი 1988 – ქართული ენის მორფემათა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

ომიაძე 2016 – ს. ომიაძე, თხზულ სახელთა ნაირგვარი დაწერილობისათვის მედიატექსტებსა და ლექსიკონებში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 16, თბილისი.

ოსაძე 2016 – მ. ოსაძე, ტერმინთა სესხება-ადაპტაციის საკითხები ქართულ ენაში, თბილისი.

ოქსფორდის ლექსიკონი – Oxford Learner’s online Dictionaries, <https://www.oxfordlearnersdictionaries.com>

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი I-VIII, ახალი რედაქცია I-IV, თბილისი.

ყუფარაძე 1988 – მ. ყუფარაძე, анти- და против- მორფემებით ნაწარმოებ რუსულ ტერმინთა შესატყვისები ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 8, თბილისი.

ჭაბაშვილი 1981 – მ. ჭაბაშვილი, შორის ელემენტის შემცველი რთული ფუძეების შესახებ, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 4, თბილისი.

ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Nana Loladze

Anglicisms and Tendencies of Georgian Word Formation

Summary

From the last decades of the last century, the process of borrowing words from the English language and the activation of previously borrowed words have become more and more intensive. Languages differ from each other in the degree of assimilation of loanwords. In particular, foreign words are passively accepted in the language or these words undergo some kind of change and the receiving language puts them into its own form. In this regard, it is particularly interesting how borrowed vocabulary, in this case English words or the words introduced through English, participates in the process of word formation. In the linguistic literature, there is no uniform attitude towards the question of qualification of this type of elements, in particular, there is an opinion that these are derivational affixes ("Dictionary of Morphemes and Modal Elements of the Georgian Language"), some consider them as notional words (M. Chabashvili, S. Omiadze, V. Maghradze) or as transitional words between them – morphemoids (M. Osadze, N. Dateshidze, M. Kuparadze).

The status of these elements determines the status of these compound words, namely, whether they should be considered as formatives or compounds. This contradiction is not accidental. There are such differences of opinion among linguists in the case of other languages as well. Especially when it comes to such type of compounds like *biznesklasi* "business class", *resurscentri* "resource center".

The excessive amount of foreign words gave an impetus to the activation of the word-formation potential of the language, and a strong tendency to create hybrid compound words is clearly observed.

ვახტანგ მალრაძე

უცხოურ სათაურ-სახელწოდებათა ქართულად გადმოტანისათვის

თანამედროვე ქართულში (ბოლო ათწლეულების ენობრივ მონაცემთა გათვალისწინებით) პრიორიტეტული გახდა უცხოურ სათაურ-სახელწოდებათა ლათინური ასო-ბგერებით გადმოტანა.

დასახელებული პრობლემა არაერთგზის ყოფილა განხილვის ობიექტი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში (მ. ტაბიძე, ნ. ჭუმბურიძე, თ. ტეტელოშვილი, ვ. მალრაძე...), თუმცა საკითხი დღეს კვლავაც გადაუჭრელია.

აღსანიშნავია, რომ პრესის ფურცლებსა თუ სხვადასხვა სახის სარეკლამო ტექსტებში უცხოურად გადმოტანილი სათაურ-სახელწოდებანი წარმოდგებიან თითქმის ყველა ბრუნვის ფორმით, აგრეთვე – ფუძის სახითაც.

უცხოურ სათაურ-სახელწოდებათა ქართულად გადმოტანის პრობლემასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაისვას რამდენიმე საკითხი:

1. მიზანშეწონილია თუ არა ქართულ ტექსტში სათაურ-სახელწოდებათა ლათინური ასოებით გაფორმება;
2. უნდა ითარგმნოს თუ არა აღნიშნული ტიპის სათაურ-სახელწოდებანი ქართულად;
3. უცხოური (აგრეთვე ქართული) ასო-ბგერებით გადმოტანილი სათაურ-სახელწოდებანი უნდა ჩაისვას თუ არა ბრჭყალებში.

ფუძის (ანუ გაუფორმებელი) სახით წარმოდგენილი უცხოური სახელწოდებები ხშირად შესიტყვებითაც დასტურდება. მათი ბოლო წევრი ხან ფუძეთანხმოვნია, ხან – ფუძეხმოვნია.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ფუძეთანხმოვნია სათაურ-სახელწოდებებია წარმოდგენილი (ორივე სახის):

„...აქვს კომპანიების ჯგუფი **Crocous Group**“; „ეს... არ მომხდარა... მხოლოდ იმ ინტონაციის გამო, რითაც **Happy birthday, President** შეასრულა“; „**Patcohol** გასაყიდად შემოდგომაზე გამოვა“; „...ვიმდერე „**Fallen**“, რომელსაც ალიშეთი ასრულებს“; „პირველ შესარჩევ ტურზე ქრისტიან აგილერას სიმღერა **Hunt** შევასრულე“; „...შეისყიდა ასევე კომპანია **Deepmind**...“ და მისთ.

მრავლად დასტურდება აგრეთვე ფუძემოვნიანი უცხოური სათაურ-სახელწოდებანი (ასევე ერთსიტყვიანი თუ შესიტყვების სახით წარმოდგენილი), რომლებიც ამ შემთხვევაშიც ზუსტადაა გადმოტანილი უცხო ენებიდან, თუმცა აქ (რაკი ქართულში ფუძემოვნიანი სახელები ამავდროულად სახ. ბრუნვის ფორმებიცაა) ისინი, კონტექსტის გათვალისწინებით, ქართულისათვის ბუნებრივი ფორმებით (სახ. ბრ.) წარმოდგებიან. ლათინური ასოებით გადმოცემის პრობლემა კი ამ შემთხვევაშიც გვაქვს:

„...მსოფლიოს უამბო თვისი რთული გრძნობების შესახებ სიმღერით „**Layla**“; „ბრედმა საქორწინო ბეჭედი პირველად ფილმის **Fury** ფოტოსესიისას გამოაჩინა“; „...უიტნი ჰიუსტონის სიმღერა **Run To You** შევასრულე“; „...ის მონაწილეობდა სურათში „**Estrela por um Dia**“; „...კარმენ ელექტრას კალმის „ნაღვაწის“ სახელწოდებაა „**How To Sexy**“...“

როგორც ითქვა, გვხვდება ბრუნვის ნიშნებით გაფორმებული უცხოური სახელწოდებებიც (ფუძეთანხმოვნიანი თუ ფუძემოვნიანი):

სახელობითი ბრუნვის ფორმით:

„რეჟისორია სურათისა, რომლის გავრცელებაზეც იზრუნებს სტუდია „**Paramount Pictures**“-ო“; „განათლება: თეატრალური სკოლა „**Grossroads**-ო სანტა-მონიკაში“; „იუწყება სააგენტო „**Fact News**“-ო“...“

მოთხრობითი ბრუნვის ფორმით:

„გერმანულმა სპორტულმა **transfermarkde-მ** კლუბების სია გამოაქვეყნა“; „ჟურნალმა **Time-მა** XX საუკუნის ყველაზე სენსაციური სამკუთხედების რეიტინგი გამოავლინა“; „კომპანია **GWS-მა** თელავის ღვინის საწარმოს ... იუბილე ... აღნიშნა“; „**Google-მა** შეისყიდა ასევე კომპანია Deepmind...“ (აქ წინადადების ბოლო კომპონენტი ფუძის სა-

ხით დადასტურებული უცხო სახელწოდება); „ამერიკულმა ინტერ-ნეტ-პორტალმა **Askmen.Com-მა** მსოფლიოს ყველაზე სასურველი ქალების სია შეადგინა“; „ჯილდო ... დააწესა ადამიანთა დაცვის საერთოორისო ორგანიზაციამ „**Amnesty internationas“-მა**“ ... „ჟურნალმა „**New Scientist“-მა** ფუტუროლოგებს მოუწოდა...“; „...ჟურნალმა „**Enguiren“-მა** უკანონოდმოხილ ვაჭზე გაწეული ხარჯების სრული სია მაინც გამოაქვეყნა“...

მიცემითი ბრუნვის ფორმით:

„ინგლისელმა ვარსკვლავმა საგამომცემლო ჯგუფ **Associated Newspapers-ს** კომპენსაციის სახით მსხვილი თანხა „ააფცქვნა“; „...უამბო ქალიშვილმა ჟურნალ „**National Enquirer“-ს**“; „...**Anniverssary Edition“-ს** კინოს მოყვარულები უკვე ზაფხულის დასაწყისში მიიღებენ“...

ნათესაობითი ბრუნვის ფორმით:

„კომპანია **Lipsmark-ის** მიერ გამოშვებული არაყი... პაკეტებში იქნა დაფასოებული“; „**The Ibserver-ის** კორესპონდენტი ირწმუნება...“; „ჯოი და ჯონი რამონები – ცნობილი პანკ-ჯგუფის **Ramones-ის** წევრები არიან“; „...ლეგენდარული ჯგუფის „**Cuns,n Roses**“-ის ეს შესანიშნავი სიმღერა რეპერტუარში ისედაც გვქონდა...“; „**Best Child of the World-ის** 2 ნომინაციაში... მონაწილეობს“; „**Foods and Drinks-ის** საკვები... დაჯილდოვდა ოქროს მედლით“; „...საფულე რეკომენდაციებსაც იძლევა... **Amazon-ის** ინტერნეტმაღაზიის ყველაზე პოპულარული პროდუქციის შესახებ“; „...ტექნოლოგიას იყენებს **BitForent-ის** პროტოკოლთან ერთად“; „...მოეჩვენა, რომ ბერდებოდა და **Donna Karon-ის** მოდების სახლი სამუშაოზე უარს ეტყობდა“; „82 წლის ლორენ ბეკოლმა ეს განცხადება პოლ შრედერის ფილმის „**The Walker**“-ის პრემიერაზე გააკეთა“; „აღნიშნავს ამერიკული ჟურნალის „**Staris**“-ის წყარო“...

-**იდან** თანდებულაინი ფორმით (მოქმ. ბრ.):

„...ამბობს კევინ ფეიჯი „**Marvel**“-**იდან**“...

-**ში** თანდებულიანი ფორმით (მიც. ბრ.):

„დემიმ და კატჩერმა რესტორან **Piccadilly-ში**... ისადილეს...“;
„**Audi A6 Avant-ში** ყველაფერი ჩაეტევა“; „[ჯილდოს]...გადაცემის ცერემონია შედგა 11 ივლისს, მანჰეტენზე, სასტუმრო „**Waldorf Astoria**“-ში“...

-**ზე** თანდებულიანი ფორმით (მიც. ბრ.):

„მინდა გადავიღო მხატვრული ფილმი ჩემი დროის „**Комсомолка-ზე**“.

-**თან** თანდებულიანი ფორმით (მიც. ბრ.):

„სპორტსმენი კომპანია „**Homestead**“-**თან** დანაშაულებრივ გარიგებაშია ეჭვმიტანილი...“

-**თვოს** თანდებულიანი ფორმით (ნათ. ბრ.):

„...სერიოზული აღიარება პალომას მისმა სამკაულების „ბერძნულმა კოლექციამ“ მოუტანა, რომელიც ათონის **ZOLOTAS-ისთვოს** შეიქმნა...“; „...პალომა ხალისით შეუდგა საიუველირო დიზაინზე მუშაობას **Tiffany and Co-ისთვოს**...“; „...ბრიტანელმა ლენოქს ლუისმა ინგლისურ გამოცემა „**The Daily Mail**“-**ისთვოს** მიცემულ ინტერვიუში განაცხადა...“

დასახელებულ შემთხვევებში უცხო ასო-ბგერებით გამოხატულ სათაურ-სახელწოდებებთან (-**თვოს** თანდებულის გამოყენებისას) ბრუნვის ნიშნებიცაა შენარჩუნებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა სახის სახელწოდებასთან ბრუნვის ნიშნები ხშირად უმართებულოდაც გამოიყენება – გამიჯნული არ არის ერთმანეთისაგან ის შემთხვევები, როცა უცხოური სახელწოდების ბოლო ხმოვანი არ გამოითქმის. ამიტომ ისინი ზოგჯერ ფორმდებიან ისე, როგორც ფუძემოვნიანი სახელები, ზოგჯერ კი – როგორც ფუძეთანხმოვნიანი. იშვიათად სწორი ვარიანტებიც გვხვდება:

„გერმანულმა სპორტულმა **transfermarkde-მ**... კლუბების სია გამოაქვეყნა“; „ჟურნალმა **Time-მა** XX საუკუნის ყველაზე სენსაციური სამკუთხედების რეიტინგი გამოავლინა“; „...აგილერამ თავყვანისმცემლები ჟურნალ **V magazine-ს** ახალი ფოტოსესიით გააოცა“; „ახლად

გააცნობიერა, რომ **Yesterday-ის** [პოლ მაკარტნის სიმღერა] შთაგონების წყარო დედამისი იყო“; „[სკანდალი]... ჟურნალ „**People**“-ის მთავარ თემად იქცა“...

შეუთანხმებლობა სათაურების გაფორმებისას არათუ ერთსა და იმავე ორგანოსა თუ სტატიაში, არამედ ზოგჯერ ერთ წინადადებაშიც კი, რაც ვლინდება დეფისის გამოყენების, ბრჭყალებში ჩასმის, უცხოური თუ ქართული ასო-ბგერებით გაფორმების, ბრუნვის ნიშნის დართვისა თუ ფუძის სახით წარმოდგენის თვალსაზრისით:

„...**უფა-მ** მას 10000 ევრო ჯარიმა დაუმატა „**იუთუბზე**“ „**Vitaly Uncensored**“-ის რეკლამისათვის“; „განდგომილები“ გახლავთ ადაპტაცია ჰონკონგური სურათისა „**Intemal Affairs**“ – „სწორედ აქ შენიშნა ის გაზეთი „**Hollywood Reporter**“-ის გამომცემელმა...“; „**Google-მ** შეიწყიდა ასევე კომპანია **Deepmind**, რომელიც ხელოვნური ინტელექტის შექმნაზე მუშაობს“ – „გახდნენ **Intel-ის** სპეციალური პრიზის მფლობელებიც... კონკურსზე მიიწვიეს **INTEL ISEF** ახალგაზრდა მეცნიერთა პროექტების საერთაშორისო კონკურსია“...

როგორც ვხედავთ, უცხოური სათაურ-სახელწოდებები ხან ბრუნვის ნიშნებით დასტურდება, ხან – ფუძის სახით. აღსანიშნავია ისიც, რომ ერთსა და იმავე წინადადებაში სათაური უცხოურადაცაა წარმოდგენილი და ქართულადაც.

ზოგჯერ უცხოური სახელწოდება ქართული თარგმანითა თუ ქართული ასო-ბგერებით არის წარმოდგენილი. თარგმანი ხან მოსდევს უცხო სახელწოდებას, ხან – უსწრებს მას:

„ვიდეორგოლში ის თავის ცნობილ ფრაზას ამბობს **You Are Fired!** (თქვენ გათავისუფლებული ხართ!); „სიმღერა „**სამი წუთი დედამიწამდე**“ (**Three Minutes To Earth**)... სპეციალურად დაწერა...“; „...ძალიან უყვართ სელფის გადაღებისას ე. წ. **დაქფეისის (duck face...)** გაკეთება“; „– რამდენიმე დღის წინ ახალი სიმღერა **To All My Girls** („ჩემს გოგონებს“) გავრცელეთ...“; „...ფრენკის როლმა საშინელებათა ფილმში „**ორმო**“ („**The Hole**“) ...შთაგონება ჩაუნერგა ნორჩ მსახიობს...“; „...მელ გიბსონმა უარი თქვა გადაღებაზე ...ბოვეიკში „**თავისიანი უცხოებში**“ („**A Under and Alone**“)“...“; „...შედგა პრემიერა ფილმისა „**საზღვრისპირა ქალაქი**“ („**Border town**“)“...

არის შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაში ერთი და იგივე სახელწოდება დასტურდება უცხოურადაც და ქართულადაც:

„Audi Avant-ში ყველაფერი ჩატევა. ყველა სხვა თვალსაზრისით, **„აგანტის“** იგივე ტექნიკური აღჭურვილობა აქვს...”

გვხვდება მხოლოდ ქართულად წარმოდგენილი სახელწოდებებიც. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მათი დიდი უმრავლესობა ქართული ასო-ბგერებით გადმოტანილი სათაურებია. ძალზე იშვიათად გვაქვს ნათარგმნი შესიტყვებანიც, მაგ.: „[მელ გიბსონი] ...ჯერაც არ დაფიქრებულა **„შეშლილი მაქსის“** მეოთხე ფილმზე“.

სხვა შემთხვევებში, როგორც ითქვა, სათაურები წარმოდგენილია ქართული ასო-ბგერებით, უთარგმნელად:

„...პოპულარულ კოსმოსაგაში **„ენტერპრაიზი“** ამ ვარსკვლავ-მფრენის მთავარი ინჟინერი განასახიერა“; „კინოკომპანია **„იუნივერსალ ფიქჩერზი“** ადასტურებს“; **„აუთსაიდერი“** ანსამბლის სახელწოდებაა“; „როგორც **„ასოშეიტედ პრესი“** იუწყება... შერიფმა... გადასცა მსახიობს...“; „კომპანია **„ნიუ სთარი“** წარმოგვიდგენს“; „...ნინო ცვიტიშვილის სამოდელო სააგენტოში **„ლუკს მოდელო“** ვმუშაობ“; **„ივ სენ ლორანი“** – დიზაინერული სახლი აწყობს ჩვენებს“; „ჯგუფი **„დაიარ სთრეითი“** როკ მიმდინარეობის წარმომადგენელია“; „ჟურნალმა **„თაიმმა“** რობერტი 100 ყველაზე გავლენიან ადამიანს შორის დაასახელა“; „კარიერა კიანუმ როკჯგუფ **„დოჯ სთარით“** დაიწყო“; „...გაზეთმა **„ნიუ-იორკ პოსტმა“** საკუთარი გამოძიება ჩაატარა...“; „...მას 30 000 დოლარი დააკლეს და კინოკომპანია **„ქოლომბო ფიქჩერსს“** **„ასო-შეითედ პრესმა“** სასამართლოში უჩივლა...“; „...ახლა კი კომპანია **„ჰუგო ბოსის“** მენეჯერად მუშაობს“; „ჟურნალმა **„ფიფლმა“** 2007 წლის ყველაზე პოპულარული ადამიანები დაასახელა...“; **„დეილი სტარმა“** 16 წლამდე მოზარდებში გამოკითხვა ჩაატარა“; „წიგნი **„ჰარვარდ უნივერსითი პრესმა“** გამოსცა“; „მის სამშობლოში ასევე მნიშვნელობა მიანიჭეს ტერონის ჟურნალ **„თაიმის“** გარეკანზე გამოჩენას...“; „კინოკომპანია **„კოლუმბია ფიქჩერსის“** ლოგოტიპზე გამოსახულია ქალი...“; „...იკითხა [ყოფილმა პრეზიდენტმა] გაზეთ **„ფაინენშალ თაიმსის“** ჟურნალისტებთან ლონდონში შეხვედრაზე...“; „კინოკომპანია **„სონი ფიქჩერს კლასიკმა“** შეიძინა... გაქირავების უფლება“; „2013 წელი ფარმაცევტული კომპანია **„ეგისი“**-**სთვის** საიუბილეო წელია“...

დაისმის კითხვა: რა აუცილებელია ზოგიერთი ქართული კომპანიის უცხო ენაზე სახელდება აბრევიატურის სახით? საუბარია შემდეგ კომპანიებზე: „**GWS**“ – **Geogian Wines and Spirits** (საქართველოს ღვინისა და სპირტის კომპანია); „**GWP**“ – **Geogian Water and Pauer** (საქართველოს წყალმომსახურების სერვისი). აღნიშნულ სახელწოდებათა უცხოურად წარმოდგენას ალბათ ის გამართლება აქვს, რომ მისი შინაარსი უცხოელმაც გაიგოს, თუმცა ეს პრინციპი, ჩვეულებრივ, ირღვევა მაშინ, როცა პირიქით გვაქვს – უცხოური სახელწოდებები ყოველგვარი ცვლილების გარეშე გადმოგვაქვს ქართულად.

ვფიქრობთ, ქართულ პრესაში ყველა უცხოური სიტყვა თუ შესიტყვება გადმოტანილ უნდა იქნეს მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა გათვალისწინებით (ამ სახის ნორმა-პროექტი მოსამზადებელია).

დავძინებ იმასაც, რომ ზემოთ წარმოდგენილ უცხოურ სათაურ-სახელწოდებათა ქართულად გადმოტანის წესები ერთგვაროვანი ვერ იქნება.

უნდა დაჯგუფდეს:

1. სახელწოდებები, რომლებიც დარეგისტრირებულია:

ა) სტუდიებად, კინოკომპანიებად, ფირმებად, ე. წ. ბრენდებად...;

ბ) საიტებად, ლინკებად, ვებგვერდებად...

2. სახელწოდებები, რომლებიც შემოკლებული სიტყვები ან აბრევიატურებია;

3. სახელწოდებები სიმღერებისა, ფილმებისა...

ქართულ პრესაში ყველა სახის უცხო სიტყვა თუ შესიტყვება (იქნება ეს სათაურ-სახელწოდება თუ სხვა) უნდა დაიწეროს მხოლოდ ქართული ასო-ბგერებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი ფრჩხილებში უნდა მიეწეროს უცხოური დასახელება (რაც ზოგიერთი პრესის ორგანოში უკვე ხორციელდება კიდევ).

ზემოთ წარმოდგენილი მოკლე მიმოხილვა საკითხის დასმას ემსახურებოდა. მიგვაჩნია, რომ დეტალურად არის შესასწავლი უცხოურ სახელწოდებათა ყველა ტიპი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მართლწერის წესების შეამუშავება.

ლიტერატურა

მალრაძე 1988 – ვ. მალრაძე, მრავლობითის ფორმის მქონე არა-ქართული გეოგრაფიული სახელების გადმოღებისათვის; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი.

მალრაძე 2019 – ვ. მალრაძე, ორმაგთანხმოვნიანი უცხოური სახელები ქართულად; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეცხრამეტე, თბილისი.

ტაბიძე 1988 – მ. ტაბიძე, ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში; ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მერვე, თბილისი.

ტეტელოშვილი 2014 – თ. ტეტელოშვილი, ერთი ტიპის უმარტებულო ტენდენციის გამო პრესის ენაში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მეთოთხმეტე, თბილისი.

ჭუმბურიძე 1995 – ნ. ჭუმბურიძე, „პიერ რიშარ თბილისშია?“ – გაზ. „ბურჯი ეროვნებისა“, N4, თბილისი.

Vakhtang Maghradze

On Translating Foreign Titles and Names into Georgian

Summary

The paper analyzes foreign titles and names that are often presented incorrectly when translated into Georgian. We mean the variety in terms of writing. Some names are given in the form of a stem, while some are presented in the nominative case.

The most important thing is that some titles and names are presented in Latin in the Georgian text, which we consider unacceptable.

The paper analyzes abundant material and draws good conclusions.

მარიამ ორკოდაშვილი

პაუზის შემავსებლები ქართულსა და ინგლისურში

პაუზის შემავსებლები (Gap fillers) ფსიქოლინგვისტიკის, პრაგმატიკის, ნეიროლინგვისტიკისა და მომიჯნავე კოგნიტურ მეცნიერებათა შესწავლის საგანს წარმოადგენს. სხვადასხვა მეცნიერება სხვადასხვანაირად უდგება ამ საკითხს, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მკაფიოდ წარმოჩნდა, კერძოდ კი – ის ფაქტი, რომ პაუზის შემავსებლები არა მხოლოდ კომუნიკაციისა და სოციალიზაციის მნიშვნელოვანი კომპონენტებია, არამედ ისინი ენისა და ტვინის ურთიერთობის, შემეცნებისა და აზროვნების პროცესის განუყოფელი ნაწილებია. მათი ანალიზი კი ცნობიერისა და ქვეცნობიერის ურთიერთობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა.

ხშირად პაუზის შემავსებლებს ენობრივ კვარკებს, ანუ უმცირეს ნაწილაკებს, უწოდებენ, რომელთა ადგილმონაცვლეობა და კომბინაცია სიტყვის, წინადადებისა და მთლიანი დისკურსის შინაარსსაც კი ცვლის.

ჩვენ განვიხილავთ პაუზის შემავსებლების გამოყენების შემთხვევებსა და ფუნქციებს ქართულსა და ინგლისურში: „ასე რომ – ეს ნაშრომი – ჰმ – ეხება იმ პატარა – ერ – სიტყვებს, შემავსებლებს, რომლებსაც მოსაუბრეები იყენებენ – იქ – წინადადებების შუაში – იცი?“

ხშირად ნაწილაკებსა და შორისდებულებს დისკურსის აღმნიშვნელებს (იცი, ასე რომ, ნუ, რაღაც) ან პაუზის შემავსებლებს (უმ, ერ, ჰმმ) უწოდებენ.

ზემოთქმულის მიხედვით, ისინი ხშირად საურთიერთო თუ შემეცნებით ფუნქციებს ასრულებენ, შესაბამისად, გამოხატავენ: დამოკიდებულებას; ადამიანის გუნება-განწყობასა და ემოციებს; წინასწარ განწყობას; აზროვნების პროცესებს; წამოცდენას ქვეცნობიერი აზროვნებიდან, აგრეთვე – ლექსიკური მარაგის წვდომას, შესაფერისი სიტყვის ძიებას, რომელიც დამოკიდებულია სიტყვის გამოყენების სინშირეზე, დომინანტურ ენასა და მეხსიერებიდან სიტყვების სწრაფად და იოლად გახსენებაზე.

პაუზის შემავსებლების გამოყენებისა და ფუნქციების ნიმუშები

პაუზის შემავსებლები

ჰიმ... არა... მთლად მასეც არ არის.

ერ... ერ... (არ ვარ დარწმუნებული, პასუხი არ მაქვს, არ ვეთანხმები, ...).

ააჰ, აჰ (უსიტყვოდ გაცემა).

უჰ – უჰ ... (მრავალმხრივი გამოყენება).

უმ ... (შეყოვნება).

აჰ! აბა ვნახო ... არა ... ვშიშობ, რომ არა ... არ მგონია, რომ ...

ადამიანის ასე მოპყრობა... ვფიქრობ, რომ... არა... ადამიანის...

არა... ეს სკანდალია!

აუუ, არა, ეგ არ ქნა...

ვაა, რა კარგია!

კოგნიტიურ-შემეცნებითი ფუნქციები

კოგნიტიური ფუნქცია ავლენს სწორი სიტყვის ძიებისა და პასუხის არქონის ან უცოდინარობის დაფარვის პროცესებს, ზრდილობის ან ორჭოფობის გამო პასუხისგან თავის შეკავებას: უმ, იცი რა, ბოდიში.

ხშირად პაუზის შემავსებლები ქვეცნობიერ აზროვნებასაც ვერბალურად გამოხატავენ. ამის მრავალი ნიმუშია სიტყვის წამოცდენისა თუ უნებლიე ემოციის გამომხატველი ნაწილაკის, შორისდებულის ან სხვა ლექსიკური ერთეულის გამოყენება, რაზეც მოსაუბრე იმ მომენტში ფიქრობდა.

სოციალური და ფატიკური ფუნქციები

პაუზის შემავსებლებს სოციალიზაციისათვის ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფუნქციაც აქვთ დაკისრებული. ამ შემთხვევაში პაუზის შემავსებლები ხშირად რელევანტობის თეორიის მისათითებელ-ინფერენციულ მექანიზმს ქმნიან, რაც ყურადღების მიპყრობას და მოსაუბრის ნათქვამის მართებულ აღქმასა და გაშიფვრას გულისხმობს, ხოლო ფატიკური ფუნქციის დროს პაუზის შემავსებლები უხერხულ სიჩუმეს გადაფარავენ საუბრის გასაგრძელებლად.

საურთიერთო ფუნქციები

პაუზის შემავსებლები ხშირად გამოიყენება მოსაუბრის ემოციებისადმი ემპათიისა და გაგების გამოსახატავად ან – საუბრისას რიგითობის შეთანხმებისთვის.

ემოციური ფუნქციები

პაუზის შემავსებლებს სოციალიზაციის დროს გაღიზიანების და სიბრაზის დამშვიდების ფუნქციაც აქვთ:

ჰმმ, მართალია...

კი, რა თქმა უნდა...

ერრ ... თითქოს და...

ნამდვილად...

განწყობის თეორია: იმპულსური ქმედება თუ წინასწარი განწყობა?

ხშირად პაუზის შემავსებლები გამონათქვამის ინტერპრეტაციას მიმართულებას და ტრანექტორიას აძლევს.

დიმიტრი უხნაძის განწყობის თეორიის მიხედვით მონაცემთა ანალიზმა ცხადყო, რომ შორისდებულები და ნაწილაკები არა მხოლოდ იმპულსური ვერბალური საქციელის გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს, არამედ – მოსაუბრის წინასწარი განწყობის ამსახველბადაც. მიუხედავად იმისა, თუ რა პოზიციაში გამოიყენება შორისდებულები და ნაწილაკები – დისკურსის დასაწყისში, შუაში თუ ბოლოში, დისკურსის ცენტრში თუ განაპირა საზღვარზე – ისინი უბიძგებენ იმპულსური საქციელისა თუ წინასწარი განწყობის შემდგომ ქმედებებს.

ვფიქრობთ, შემდგომი კვლევისათვის ასევე საინტერესო იქნება შემდეგი საკითხების დასმა:

რომელი ენის პაუზის შემავსებლები დომინირებს ორენოვან ან მრავალენოვან მოსაუბრეებში?

რა კონტექსტსა და გარემოებაში გამოიყენება პაუზის ესა თუ ის შემავსებელი?

გააზრებულად არის ისინი შერჩეული თუ – ავტომატურად წარმოთქმული?

Mariam Orkodashvili

Gap fillers in Georgian and English

Summary

The present paper considers the usage and functions of gap fillers in Georgian and English.

'So - this work is - um - about those little - er - short 'filler' words that people use - like - in the middle of sentences - you know?'

Often particles and interjections are known as:

discourse markers ('you know', 'so', well, sort of)

or *pause fillers* ('um', 'er', hmm).

Therefore, the functions they perform are often interactional and cognitive.

They reflect mindset of a person, namely:

emotions;

predispositions; thought processes;

slips-of-the-tongue from the subconscious;

Oftentimes they reveal the process of lexical access - searching for the right word, which depends on:

Frequency of usage

Dominant language

Ease of memory retrieval

Below are the examples of gap filler usage.

Gap Fillers

Hmmm... no... not quite so...

Er... Er... (not sure, no answer, disagreement,...)

Aah, ah, (no words, surprise)

Uh-uh... (multiple uses)

Um ... (hesitation)

Ah! Let me see... no... I'm afraid, I... no I... don't seem to...

- To treat a man... like that... I think that... no... a... human being...
no... it's scandal!

Oh, no, don't' do that...

Wow, so cool!

Cognitive functions

In cognitive functions gap fillers reveal:

Searching for the right answer or words

Covering up lack of knowledge or answer

Restraining from an answer out of politeness or uncertainty

um, well, you know, sorry

Social and phatic functions

Social and phatic functions help cover uneasy silence to keep up the conversation.

They are also used to express empathy and understanding of the speaker's emotions.

Interactional

Interactional function helps negotiate turn-taking in conversation.

Emotive functions

Emotive function is used to pacify anger or exasperation.

Hmm, right

OK

Err... Sort of

Sure...

Giving direction, trajectory to utterance interpretation

Set Theory: impulsive behaviour or mindset?

The analysis of the data from the standpoint of Dimitry Uznadze's mindset theory has shown that the interjections and particles can be regarded not only as instances of impulsive verbal behaviour but as reflections of communicant's mindset. Having an initial, medial or ultimate position in discourse, being distributed in the center or on the borders of discourse units, interjections and particles stimulate and activate further acts of impulsive behaviour or pre-dispositioned action.

Questions for further research

The paper raises the following questions for further research:

In bilingual and multilingual brains:

Which language gap fillers dominate?

In which context and under what circumstances are certain gap fillers selected?

And are they selected or used automatically?

თეა ტეტელოშვილი

ბრჭყალების გამოყენების ერთი შემთხვევისათვის

სასვენი ნიშნების სწორად გამოყენება სათქმელის წერილობითი ფორმით ზუსტ და სრულყოფილ გადმოცემას უზრუნველყოფს. გამართული ტექსტის შესადგენად შინაარსობრივ მხარესთან ერთად პუნქტუაციის წესების დაცვა უმნიშვნელოვანესია. მიუხედავად იმისა, რომ მართლწერის შესწავლისას პუნქტუაციის წესებს არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია, სასვენი ნიშნების მართებულად (არც მეტად და არც ნაკლებად) გამოყენება მაინც პრობლემატურია. ჩვენი სტატია შეეხება ბრჭყალების ხმარების ერთ კონკრეტულ შემთხვევას (კერძოდ, ბრჭყალების გამოყენებას სახელწოდებებთან), რომელიც სიჭრელეს გვიჩვენებს ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო. ობიექტურ მიზეზებში უპირველესად უნდა დასახელდეს წესის ზოგადი ხასიათი. კერძოდ, სათაურ-სახელწოდებებთან ბრჭყალების გამოყენებასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ:

1. „ბრჭყალებში ჩაისმის ირონიულად, აგრეთვე ჩვეულებრივ-საგან განსხვავებული მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა (თუ სიტყვები), სახელწოდებანი წიგნებისა, ჟურნალ-გაზეთებისა, თხზულებათა“... [კვაჭაძე 1996: 541];

2. (ბრჭყალებში ჩაისმის) რაიმე საზოგადოების, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების დასახელება; წიგნის, ნაწარმოებისა თუ გამოცემის სახელწოდება [არაბული 2008: 286];

3. (ბრჭყალები იხმარება)... „ამა თუ იმ საყოფაცხოვრებო, სავაჭრო თუ კულტურული დაწესებულების, ჟურნალის, გაზეთის, ალმანახის, ანდა ლიტერატურული, მუსიკალური და მისთ. ნაწარმოების სათაურების დასახელებისას“... [აფრიდონიძე 2011: 500];

4. შედარებით ყველზე სრული განმარტება ეკუთვნის გ. შალამბერიძეს და იგი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: (ბრჭყალებში ჩაისმის) „სიტყვები, რომლებიც გამოყენებული არიან რაიმე საგნის, ორგანიზაციის, დაწესებულების სახელწოდებად და არა თავიანთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით... ბრჭყალებში ჩაისმის ლიტერატურული ნაწარმოებების, გაზეთების, ჟურნალების, დაწესებულებების,

გემების და სხვა სახელწოდებანი... ბრჭყალებში არ ჩაისმის სახელწოდებანი, რომელთა შემადგენლობაში შედის სიტყვა **სახელობის**“... [შალამბერიძე 1958: 140].

თოთოეული წესის მიხედვით, ბრჭყალები აუცილებელია ამა თუ იმ დაწესებულების დასახელებასთან, გ. შალამბერიძის დაზუსტების თანახმად კი ის არ უნდა გამოვიყენოთ, თუ სახელწოდებაში შედის სიტყვა „სახელობის“. ერთი შეხედვით წესი სრულია და ორაზროვნებას არ უნდა იწვევდეს, თუმცა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სახელწოდებებთან ბრჭყალების გამოყენების სურათი დიდ სიჭრელეს ქმნის. ზოგადი ვითარების გამოსაკვეთად შევისწავლეთ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიათა დასახელებები. ჩვენ არ ვეხებით საკითხს, რამდენად სწორად არის ფორმულირებული ეს თუ ის სახელი, არამედ გვინტერესებს ამ ფორმულირების ვარიანტები.

მოპოვებული მასალის ანალიზისას გამოვლინდა, რომ გვაქვს რამდენიმე ტიპის სახელწოდებანი:

1. ესა თუ ის სიტყვა / სიტყვები (ქართული ან უცხოური) გამოიყენება ამა თუ იმ დაწესებულების აღსანიშნავად დაწესებულების ფუნქციური სტატუსის მითითების გარეშე. ეს სიტყვა შეიძლება იყოს როგორც საკუთარი, ისე საზოგადო არსებითი სახელი. მაგ., ა(ა)იპ „ჩარჩო“, სს „კერა“, სს „ჯეო დენტი“, სს „აგროსოლუმენსი“, სსიპ „მთავარი კარიბჭე“, სს „ბაზელი“, სს „კერა“, სს „რიჩმონდი“, შპს „კაია“ (სუპერმარკეტი)...

2. დაწესებულების სახელწოდება შეიცავს ამ დაწესებულების / ორგანიზაციის ფუნქციური სტატუსის გამომხატველ სიტყვას, მაგალითად – ისეთს, როგორებიცაა „ფონდი“, „ასოციაცია“, „აკადემია“, „ცენტრი“, „კოლეჯი“, „უნივერსიტეტი“, „სუპერმარკეტი“, „სამსახური“ და სხვ.; „დემოკრატიის განვითარების ცენტრი“, „კავკასიელ ხელოსანთა და ხელოვანთა ცენტრი“, „სამოქალაქო განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი“, „სტრატეგიული დიალოგის ცენტრი“, „საქართველოს ახალგაზრდა მკვლევართა აკადემია“, „საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა“, „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ასოციაცია“, „რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერის ასოციაცია“, „საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია“, „პროფესიული ინოვაციების კოლეჯი“, „საქართველოს ამერიკული კოლეჯი“, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღორძინების

და დინამიური განვითარების საზოგადოება“, „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკალათბურთო კლუბი“, „ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი“, „აჭარული ნაქარგობის ფონდი“, შპს „ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“, შპს „მეტროლოგიური სამსახური“, შპს „საქართველოს სადებიზინფექციო სამსახური“, შპს „ზუგდიდის სუპერმარკეტი“...

3. დაწესებულების სახელწოდება ამ დაწესებულების/ორგანიზაციის ფუნქციური სტატუსის გამომხატველ სიტყვასთან ერთად მოიცავს დაწესებულების კონკრეტულ სახელსაც: ასოციაცია „ლილე“, ასოციაცია „ტყის პროდუქტი“, კოლეჯი „იკაროსი“, ფონდი „შირაქი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „რუბიკონი“, საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“, საქველმოქმედო ფონდი „სინათლის გზა“, ფონდი „ახალგაზრდების განვითარებისთვის“, ახალგაზრდული ცენტრი „ალიანსი“, იურიდიული დახმარების ცენტრი „კანონი“, შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი – აბრეშუმის გზა, ბავშვთა უზრუნველყოფისა და დაცვის ფონდი „ახალი სხივები“, „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი, შპს დასუფთავების სამსახური „კონკია“, შპს დაცვის სამსახური „პანტერა“, შპს უსაფრთხოების სამსახური „ლეგიონი“, შპს სუპერმარკეტი „კობი“, შპს „იოლი“ სუპერმარკეტი, შპს სუპერმარკეტი „გვანცა“, სუპერმარკეტი „დავითი“...

4. ცალკე ჯგუფს ქმნის ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის ფილიალების დასახელება. ასეთი სახელწოდებების შემადგენლობაში შედის იმ ორგანიზაციის დასახელებაც, რომლის ფილიალსაც ის წარმოადგენს. აქ გვაქვს ორგვარი ვარიანტი: ა) როდესაც დასახელებულია ესა თუ ის ორგანიზაცია და შემდეგ მითითებულია, რომ ეს ფილიალია; ბ) ამ ორგანიზაციის სახელი წარმოადგენილია ნათესაობითი ბრუნვის ფორმით და ასე გამოხატავს ფილიალის კუთვნილებას. პირველის მაგალითია: დიანა ბაგრატიონის ფონდი – საქართველოს ფილიალი, შპს „საქართველოს ფოსტა“ – ზუგდიდის ფილიალი. მეორე ჯგუფს განეკუთვნება: შპს მ სერვისი-ს საქართველოს ფილიალი, შპს „იორმაზ ასანსორ სანაი თიჯარეთ“-ის საქართველოს ფილიალი, კალმადო ლიმიტიდის ფილიალი, ევროკრაფტის ფილიალი საქართველოში, საწარმოო კომბინატი ბესლანსკი-ს ფილიალი, სივილ სენს კონსალტინგის საქართველოს ფილიალი... აქ მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული სახელწოდებები თვითონ შეიცავს ორგანიზაციის დასახელებას...

5. კიდევ ერთი ტიპია აბრევიაციით წარმოდგენილი სახელწოდებები: ასოციაცია „გიგითი“, „თიბისი“ ზანკი...

6. დამოუკიდებელ ჯგუფს ქმნის ისეთი სახელწოდებები, რომლებიც შეიცავს სიტყვაფორმას „სახელობის“: ვიქტორ დოლიძის სახელობის ხელოვნების კოლეჯი, შპს იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი, ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახელობის არქეოლოგიის ინსტიტუტი, დიმიტრი ყიფიანის სახელობის ფონდი, წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის საქველმოქმედო ფონდი... მნიშვნელოვანია ისიც, რომ ბოლო დროს გახშირდა სიტყვის „სახელობის“ ამოღება ამგვარი სახელწოდებებიდან და, შესაბამისად, მივიღეთ: „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი“, სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი“, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

დადგენილი წესის მიხედვით ორაზროვნებას არ ქმნის პირველი ტიპისა და „სახელობის“ შემცველი სახელწოდებები. პირველი აუცილებლად უნდა დაიწეროს ბრჭყალებით, უკანასკნელს არ სჭირდება. რაც შეეხება დანარჩენი ტიპის სახელებს, აქ, ჩვენი აზრით, ბრჭყალებში უნდა ჩავსვათ მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ სახელწოდებას გამოხატავენ და გამოიყენებიან არაპირითა და მნიშვნელობებით. ფილიალების შემთხვევაში ბრჭყალები უნდა გამოვიყენოთ ძირითადი ორგანიზაციის სახელთან. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი სახელწოდებების დაწერილობისას უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი წესით: დაწესებულების / ორგანიზაციის მხოლოდ ის დასახელება ან დასახელების ის ნაწილი უნდა ჩავსვათ ბრჭყალებში, რომელიც ფუნქციურად საკუთარ სახელს უტოლდება. ამგვარად თავიდან ავირიდებთ ორმაგი ბრჭყალების გამოყენებას ან საერთოდ გამოუყენებლობას. აღნიშნულის შესაბამისად,

1. ბრჭყალებით დაიწერება ორგანიზაციის სახელწოდებები / სახელწოდებების შემადგენელი ნაწილი შემდეგ შემთხვევებში:

- ა(ა)იპ „ჩარჩო“,
- სს „კერა“,
- სს „ჯეო დენტი“,
- სს „აგროსოლუმენსი“,
- სსიპ „მთავარი კარიბჭე“,

სს „ბაზელი“,
 სს „კერა“,
 სს „რიჩმონდი“,
 შპს „კაია“ (სუპერმარკეტი)...
 ასოციაცია „ლილე“,
 ასოციაცია „ტყის პროდუქტი“,
 კოლეჯი „იკაროსი“,
 ფონდი „შირაქი“,
 საზოგადოებრივი კოლეჯი „რუბიკონი“,
 საზოგადოებრივი კოლეჯი „პანაცეა“,
 საქველმოქმედო ფონდი „სინათლის გზა“,
 ფონდი „ახალგაზრდების განვითარებისთვის“,
 ახალგაზრდული ცენტრი „ალიანსი“,
 იურიდიული დახმარების ცენტრი „კანონი“,
 შპს თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „აბ-
 რეშუმის გზა“, ბავშვთა უზრუნველყოფისა და დაცვის ფონდი „ახა-
 ლი სხივები“,
 „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი,
 შპს დასუფთავების სამსახური „კონკია“,
 შპს დაცვის სამსახური „პანტერა“,
 შპს უსაფრთხოების სამსახური „ლეგიონი“,
 შპს სუპერმარკეტი „კობი“,
 შპს „იოლი“ სუპერმარკეტი,
 შპს სუპერმარკეტი „გვანცა“,
 სუპერმარკეტი „დავითი“,
 „დიანა ბაგრატიონის ფონდი“ – საქართველოს ფილიალი,
 შპს „საქართველოს ფოსტა“ – ზუგდიდის ფილიალი,
 შპს „მ სერვისის“ საქართველოს ფილიალი,
 შპს „იორმაზ ასანსორ სანაი თიჯარეთის“ საქართველოს ფილი-
 ალი,
 „კალმადო ლიმიტიდის“ ფილიალი,
 „ევროკრაფტის“ ფილიალი საქართველოში,
 საწარმოო კომბინატ „ბესლანსკის“ ფილიალი,
 „სივილ სენს კონსალტინგის“ საქართველოს ფილიალი,

2. ბრტყალების გარეშე დაიწერება:

დემოკრატიის განვითარების ცენტრი,
კავკასიელ ხელოსანთა და ხელოვანთა ცენტრი,
სამოქალაქო განვითარებისა და მონიტორინგის ცენტრი,
სტრატეგიული დიალოგის ცენტრი,
საქართველოს ახალგაზრდა მკვლევართა აკადემია,
საქართველოს ელექტრონული ვაჭრობის პალატა,
ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ასოციაცია,
რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობათა მხარდაჭერის ასო-
ციაცია,
საქართველოს კალიგრაფთა ასოციაცია,
პროფესიული ინოვაციების კოლეჯი,
საქართველოს ამერიკული კოლეჯი,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აღორ-
ძინების და დინამიური განვითარების საზოგადოება,
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკალათბურთო
კლუბი,
ამერიკული სამედიცინო უნივერსიტეტი,
აჭარული ნაქარგობის ფონდი,
ონის მუნიციპალიტეტის დასუფთავების და კეთილმოწყობის
სამსახური,
მეტროლოგიური სამსახური,
საქართველოს სადეზინფექციო სამსახური,
ზუგდიდის სუპერმარკეტი,
ვიქტორ დოლიძის სახელობის ხელოვნების კოლეჯი,
იაკობ გოგებაშვილის სახელობის ქართული კოლეჯი,
ევროპის უნივერსიტეტის აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახე-
ლობის არქეოლოგიის ინსტიტუტი,
დიმიტრი ყიფიანის სახელობის ფონდი,
წმინდა ელია თეზბიტელის სახელობის საქველმოქმედო ფონ-
დი,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენ-
ტრი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვ.

რაც შეეხება აბრევიაციით წარმოდგენილ სახელწოდებებს, ისინი დაიწერება ბრჭყალების გარეშე: ასოციაცია გიგითი, თიბისი ბანკი...

ბრჭყალები არ გამოიყენება აგრეთვე (აბრაზე ამა თუ იმ ორგანიზაციის დასახელების დაწერისას) იმ შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ საკუთართან გათანაბრებული სიტყვა/სიტყვები არის წარმოდგენილი (მაგ., ზღაპარი), თუმცა ბრჭყალებში უნდა ჩაისვას ფილიალების სახელწოდებათა ის ნაწილი, რომელიც ძირითადი ორგანიზაციის სახელს გამოხატავს (მაგ., სუპერმარკეტი „ზღაპარი“).

ლიტერატურა

კვაჭაძე 1996 – ლ. კვაჭაძე, „თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი“, თბილისი.

არაბული 2008 – ავთ. არაბული, „ქართული მეტყველების კულტურა“, თბილისი.

აფრიდონიძე 2011 – შ. აფრიდონიძე, პუნქტუაციის ძირითადი წესები, „სასკოლო ორთოგრაფიული ლექსიკონი“, თბილისი.

შალამბერიძე 1958 – გ. შალამბერიძე, „ქართული მართლწერა“, თბილისი.

Tea Teteloshvili

On the Case of Using Quotation Marks

Summary

In order to obtain and analyze information about the use of quotation marks with the names of institutions, we studied the names of companies registered in Georgia. As a result of the research, it was revealed that we have several types of names:

1. A word / words (Georgian or foreign) are used as a name without indicating the functional status of the institution. This word can be both a proper and a common noun.

2. The name of the institution contains a word expressing the functional status of this institution / organization, e.g., "foundation", "association", "academy", "center", "college", "university", "supermarket", "work", etc.

3. The name includes the specific name of this institution along with the word expressing the functional status of the institution/organization.

4. Names of branches of a specific organization that include the name of the head organization. Here we have two types, when the organization is mentioned and then it is indicated that it is a branch, or the name of the organization is presented in the genitive case and thus it expresses the affiliation of the branch.

5. Abbreviated names are an independent type.

6. Names that contain "named after" form a separate group.

According to the established rule, the first type of names do not create ambiguity. The first word must be written in quotation marks unlike the the last one. Abbreviated names should also be enclosed in quotation marks. As for the other types of names, in our opinion, we should put only those words in quotation marks that express a specific name and are used in non-basic meanings. In the case of branches, quotation marks should be used with the name of the head organization. Thus, when writing the names listed above, we should be guided by the following rule: only the name of the institution / organization or the part of the name should be written in quotation marks that is functionally equal to a proper noun. This way we avoid using double quotation marks or not using them at all.

Of course, we will not use quotation marks when writing the name of the organization on the sign, when only the word / words equal to a proper name are given on the said sign, however, we must put the part of the name of the branch that expresses the name of the head organization in quotation marks.

მანანა ჩაჩანიძე

ლექსემა ბიუჯეტური ახალ კონტექსტში – ენობრივი არჩევანი „აზრობრივი აქცენტით“

თანამედროვე სასაუბრო ქართულში მრავალი საჭირო თუ არა-საჭირო სიახლე იჩენს თავს, რაც ენობრივი იერარქიის თითქმის ყველა დონეზე ვლინდება, თუმცა ლექსიკური დონე უპირველესია. ამგვარი სიახლეები ცოცხალი მეტყველების თანმდევი და უცილობელი ატრიბუტია, უმეტეს შემთხვევაში – ბუნებრივი და კანონზომიერი, შედარებით ნაკლებად – ხელოვნური. ცხადია, მეცნიერული თვალსაზრისით საინტერესოა ორივე ჯგუფის სიახლეები, თუმცა ამათგან უფრო მეტად პრობლემურია ხელოვნური სიახლეები.

რამდენადაც ენის ლექსიკური დონე ხელოვნური სიახლეებით (ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, ვულგარიზმები, ევფემიზმები...) ყველაზე მეტად დატვირთული უბანია, იმდენადვე ყველაზე მეტად აქტუალური და პოპულარულია (სიახლე უმეტესწილად სწორედ პოპულარობაზეა ორიენტირებული და ისწრაფვის გახდეს მასობრივი). ამ ტიპის სიახლეთაგან ჩვენი განსაკუთრებული ყურადღების საგანია ლექსემა **ბიუჯეტური** ახალ კონტექსტში. როგორც წესი, კონტექსტური ნიუანსები სინონიმის სფეროა. სიახლე უპირატესად კონტექსტურ ჭრილში იჩენს თავს, რამდენადაც გამოსახატავი შინაარსისათვის შესაფერისი ლექსიკური ერთეული (სრულიად ახალი ან ძველი ახალი სემანტიკური ნიუანსით), როგორც ერთგვარი სიახლე, საუბრული სიტუაციის პირშოა. ლექსემა **ბიუჯეტური** ამის საუკეთესო ნიმუშია უახლესი საუბრული ქართულიდან, ასე, მაგ.:

ნუ იყიდით ძვირადღირებულს, **ბიუჯეტურზე** გააკეთეთ არჩევანი;

სრულიად ასუფთავებს სისხლძარღვებს... **ბიუჯეტურია**;

ბიუჯეტური ცხოვრება;

მსოფლიოს ფემინებელური და **ბიუჯეტური** სასტუმროები უმაღლესი შეფასებით;

ამ ყველაფერს უფრო **დაბალბიუჯეტურადაც** გთავაზობენ ტურისტული ჯგუფები.

აქ წარმოდგენილი ყველაზე ტიპური მაგალითები ცხადყოფს კონტექსტთა აქტუალურობას, სადაც **ბიუჯეტური** სტილისტიკური სინონიმური მეწყვილეა ისეთი სიტყვებისა, როგორებიცაა: იაფი, ეკონომიური, ხელმისაწვდომი, ხელსაყრელი, ნაკლებხარჯიანი, დაბალხარჯიანი, დაბალფასიანი, იაფფასიანი და მისთ. სტილისტიკურ სინონიმთა ამ რიგში **ბიუჯეტური** გამოხატავს უფრო მეტად ობიექტურ შინაარსობრივ სხვაობას და ნაკლებად სუბიექტურ დამოკიდებულებას (თუმცა მისი თავდაპირველი გამოყენების საფუძველი უდავოდ სუბიექტურია). ჩამოთვლილი კონტექსტები მოწმობს, რომ სინონიმური რიგის უკვე ცნობილ წევრთა უგულებელყოფა (უკეთ: მათგან თავის არიდება) **ბიუჯეტურის** სასარგებლოდ სწორედ სტილისტიკური ნიუანსის გამოკვეთის – აზრობრივი აქცენტის დამსახურებაა. თავის მხრივ, ამგვარი არჩევანის უპირატესობას, როგორც მრავალრიცხოვანი კონტექსტები მოწმობს, საფუძვლად უდევს ერთგვარი ევფემიზაცია. ამ შემთხვევაში ევფემიზაციის პირობითობას ექვემდებარება ძველი იდეოლოგიური სამყაროსაგან (საბჭოთა ყოფაცხოვრებისაგან) თავდალწევისა და გამიჯვნის სურვილი; შესაბამისად, არჩევანი აზრობრივი აქცენტით სრულად გამიზნულია იდეოლოგიური მიუღებლობისა თუ უხერხულობის დასაძლევად. ამგვარი მიზანსწრაფვა, ნებისთ თუ უნებლიედ, ცალსახად სცდება სტილისტიკის ფარგლებს და ერთის უპირატესობის მაგალითზე (ლექსემა *ბიუჯეტური* ახალი პარადიგმით: ენობრივი, იდეოლოგიური, ეკონომიკური) ენის ევფემისტური მოწესრიგებულობის უახლეს ნიმუშს გვთავაზობს.

ლიტერატურა

ფოჩხუა 1974 – ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი.

გუგლი – გუგლის სამიებო სისტემა.

Manana Chachanidze

**The Lexeme *biuḟeturi* in a New Context – the Linguistic Choice
with a “Thought Accent”**

Summary

The subject of discussion in the work is the lexeme *biuḟeturi* “budget” that is particularly activated in the new context in modern colloquial Georgian. The basis of the novelty is a kind of euphemizing a word which mainly appears in the context. According to the analyzed contexts *biuḟeturi* is a stylistic synonym of words like *iapi* “cheap”, *eḟonomiuri* “economical”, *xelmisaḟvdomi* “affordable”, *xelsaḟreli* “suitable”, *naḟlcbxarḟiani* “less expensive”, *dabalxarḟiani* “cheap”, *dabalpasiani* “low-priced”, *iappasiani* “cheap”, etc.

The preference of this term is due to overcoming ideological unacceptability or inconvenience.

ნინელი ჭოხონელიძე

ემოციური შორისდებულები რ. ინანიშვილის ენაში

რ. ინანიშვილის სადა, დახვეწილი, სხარტი მხატვრული ენა ხალხურ მეტყველებაზეა დაფუძნებული. ამის ნათელი მაგალითია პერსონაჟთა მეტყველებაში დადასტურებული სხვადასხვა შინაარსის შორისდებულები, მათ შორის კი განსაკუთრებით გამოსაყოფია ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ემოციური, გრძნობათა გამომხატველი შორისდებულები. ეს ემოციებია: სიხარული, აღტაცება, მწუხარება, დაღონება, გაკვირვება, განცვიფრება, ზიზღი, შებრალება, დანანება, წყენა, გაჯავრება, გარისხება, შიში, მოწონება, დაწუნება, ტკივილი და სხვ. [შანიძე 1980: 622]. ამ ტიპის შორისდებულთა დახმარებით – სხვა სტილისტიკურ ხერხებთან ერთად – მწერალი ახერხებს პერსონაჟის ხასიათის, მისი შინაგანი ბუნებისა თუ სულიერი განწყობილების ეფექტურად დახასიათებას ადგილობრივი კოლორიტის შენარჩუნებით.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შორისდებულები შედგებიან ერთი ბგერის ან ბგერათა კომპლექსებისაგან და კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობა არ გააჩნიათ. მათი მნიშვნელობა დამოკიდებულია მთქმელის ინტონაციასა და ტონალობაზე, წარმოთქმის თავისებურ ნიუანსებზე, ბგერათა ხანგრძლივობასა და სიმაღლეზე, მაგრამ დიდი გავლენა აქვთ მთლიანი წინადადების შინაარსზე, რომლის გაგებაში მკითხველს ეხმარება მასზე დართული გრამატიკულად გაფორმებული წინადადება და ავტორის მიერ ახსნილი ინტონაცია და ჟესტ-მიმიკის აღწერა [გაჩეჩილაძე 1979: 33-36; ჟღერტი 1965: 177; შამელაშვილი 1958: 74].

ამჯერად განვიხილავთ რ. ინანიშვილის პროზაში დადასტურებულ ემოციურ შორისდებულებს და მათი გამოყენების შემთხვევებს წინადადებაში.

ემოციური შორისდებული იხმარება დამოუკიდებლად (უმთავრესად დიალოგებში – კითხვაზე მიგების დროს) და გაბმულ მე-

ტყველებაში. შენიშნულია, რომ შორისდებულს ემოციურ-ექსპრესიული გამომსახველობითი ძალა მეტი აქვს (რაც მისი მნიშვნელობის გადმომცემი ინტონაციითაა გამოხატული), როცა იგი დამოუკიდებლადაა წარმოთქმული, ხოლო შედარებით ნაკლები – თხრობის დროს, გაბმულ მეტყველებაში (წინადადებებში) [გაჩევილაძე 1959: 52].

რ. ინანიშვილის მოთხრობებში ხშირად ერთი და იგივე შორისდებული მრავალმნიშვნელობიანია, მაგ.:

ე, ე-ე, ეე გამოხატავს საყვედურს, გაკვირვებას, აღტაცებას, ტკივილს, დამუქრებას, შეტევას და სხვ.

საყვედური: – **ე**, ოხერო, რა გაჯავრებს! (ჯაფ. 44, ქვ. 3).

გაკვირვება: – **ე!** – ისევ დაალო პირი ბახამ (შორ. 6, 1).

აღტაცება: – **ე!** როგორ დაუბარდნია! (შორ. 227, 13).

წყენა, უკმაყოფილება: – მეტკინა, **ე!** – ესაც ისე წამოიძახა გუბაზმა, რომ გოგონას არ გაეგონა (ჯაფ. 16, ქვ. 7).

უი გამოხატავს სინანულს, დაწყევლას, გაცეცხას, სიამოვნებას, მოფერებას, საყვედურს და სხვ.

სინანული: – **უი**, რატომ თავი არ მომიკვდება, რომ თქვენ ეგრე გაწვალებთ (შორ. 237, 15).

გაცეცხა: – **უი**, ნათელა! – მარტო ხარ? ქალმა მე შემომხედა (გოლ. 99, 19).

სიამოვნება: – საბანი ასწია და შეწვა.... (თინამ). – **უი**, ღმერთო! ლოგინი სასიამოვნოდ გრილი იყო (ალერს. 167, ქვ. 6).

საყვედური: – **უი**, რას ამბობ, არა გრცხვენია, ელენე? (ალერს. 607, ქვ. 8).

დასტურდება ერთი და იმავე წარმომავლობის შორისდებულის ფონეტიკური ვარიანტები, მაგ.: **თფუ, თფუუ, ფუ, ფუი, ფუპ, ფიპ...**

ვიყურებოდი სარკეშიც და იქ ვკითხულობდი, – რა ჭირი დამემგერა, რა?! მეზარებოდა ჩემი თავი. – **თფუ! თფუ! თფუ!** (გოლ. 186, 7).

– **თფუუ!** ხალხი კი არა! – მიბრუნდა შლაპიანი და სულ გაიქცა რიგიდან (გოლ. 178, 13).

ახლა კი გაწყრა. წარბები შეჰკრა და ტუჩები ზიზღით შეატოკა: – **ფუ**. მოდი და სიკეთე უყავი ესეთ მაიმუნსა (ჯაფ. 45, 13).

– **ფუი**, თქვენი!... – მიბრუნდ-მიბრუნდა ესტატე (ჯაფ. 55, ქვ. 15).

– **ფუპ**, არყით ხარ გაჟღენთილი! (ჯაფ. 96, 7).

– **ფიჰ**, უზრდელი! (შორ. 276, ქვ. 1).

ერთი რომელიმე გრძნობის, მაგ., **გაკვირვების, გაოცების** გამო-სახატავად გვხვდება აგებულებით განსხვავებული შორისდებულები: **ე, აუჰ, აუ, ეე, ეუჰ, ვა, ვაიმე, ვახ, ვაჰ, ი, ოჰ, უიმე** და სხვ. მათი მნიშვნელობის გაგებაში გვეხმარება ის წინადადება, რომელიც მოსდევს მათ და აგრეთვე – ავტორისეული კომენტარები.

– **ე!** როგორ დაუბარდნია! (შორ. 227, 13).

– **აუჰ**, შუადღე წამოსულა, ავდგეთ ჩქარა (ჯაფ. 105, 2).

– **აუ**, რამდენ რამეს ფიქრობდა ლადო (ჯაფ. 69, ქვ. 14).

– **ეე**, სტეფანე, შენი არ მიკვირს? (გოლ. 361, ქვ. 7).

„**ეუჰ**, აჲ რა გინდა, ბიჭო“ – ორნი იყვნენ, ორივენი ცხენებზე ისხდნენ (შორ. 209, 4).

– **ვა!** – გაიკვირვა ჩემმა ცულლუტმა ამხანაგმა (ალერს. 333, ქვ. 3).

– **ვაიმე**, გადამრევ შენ დღეს (ჯაფ. 29, ქვ. 5).

– **ვახ**, კაცო, ზოგი რა მრუდე ვარსკვლავზე დაებადება დედას (შველ. 10, 4).

– **ი!** – გაუკვირდა გოგიას (შორ. 5, 3).

რიგ შემთხვევაში შორისდებულები გრძლად წარმოითქმის. როგორც შენიშნულია, ასეთი შორისდებულებით გამოხატულ გრძნობებს მეტი გამომსახველობითი უნარი აქვთ.

– დედის გულის გამჩენი, დედის გულის გამჩენი უნდა დაიწვას ქვეყანაზედა. – **ეეჰ!** მძიმე დუმილი ეუფლება ყველას (ალერს. 232, 1).

– **ვაახ**, კაცო! – წამოიძახა გერონტიმ (შველ. 8, 1).

– **ვაიმე!** – გააგრძელა გიომ (ალერს. 356, ქვ. 4).

– **იიხ!** – იდაყვით შეატოკა ელომ (ჯაფ. 22, ქვ. 13).

დოინჯშემოდგმულმა ქალმა თქვა: – **იიჰ!** ნეტავ ჩვენც შეგვეძლოს ესეთი გახარება (ალერს. 320, 7).

ქალი ბიჰს გაუწყრა: – **ოოჰ**, მოშორდი-მეთქი, რომ გეუბნები (ალერს. 288, ქვ. 14).

რ. ინანიშვილი უშუალო გამგრძელებელია დიდი ვაჟასეული ტრადიციისა, როცა ადამიანური განცდებით ავსებს და ადამიანური ენით ამეტყველებს ცხოველთა და ფრინველთა სამყაროს, მცენარეულობას [ჭუმბურიძე 1982: 237]. ამის ერთ-ერთი მაჩვენებელია მის პროზაში დადასტურებული შორისდებულებიც.

– **უუბ!** – ჩურჩულით ამოიძახა გულდაწყვეტილმა შავცხვირი-ანმა (ციყვუნამ) (შორ. 223, 22).

– ეს რანაირი თავი აქვს, **ეე!** – გაკვირვებისაგან პირდაღებულმა გადახედა თეთრცხვირიანმა (ციყვმა) შავცხვირიანს (შორ. 222, ქვ. 3).

ამან ხომ მთლად გადარია თავგები. – **ეუპ, ეუპ!** იძახდნენ კბილების კაწკაწით (შორ. 240, ქვ. 13).

– **ვახ! ოხ!** – აღმოხდათ თავგებს და ცაცხანას დაედევნენ (შორ. 240, ქვ. 4).

(დათვმა)... – **ფუიო,** – შემოჰკრა ხეს და ორად გადაამტვრია (შორ. 246, ქვ. 4).

ობ-ობ! რამოდენა ტომარაა! – იძახდა თავგი ბუბგა. – **ზარაქა! ზარაქა!** ღმერთო, ხელი მოუმართე ჩვენს პაპასა და ბებიას (შორ. 239, 10).

(თინო ჩხიკვი) – **ოი,** მოიგონებ ხოლმე რაღა თითო რამესა (შორ. 242, 8).

ლოკოკინები... ერთმანეთის წინ აყელყელავდნენ და ქირდვით თქვეს: – **ფიპ,** უზრდელი! (შორ. 276, ქვ. 1).

ხეები დაშტერებული დასცქერიან მაღლიდან, ოდნავ აკანკალებენ ფოთლებს და ჩურჩულევენ: – **ვაი,** შე საწყალო! **ვაი,** შე საცოდავო! (ჯაფ. 157, 6).

მწერალთან დასტურდება მეორეული, ე. ი. სხვა მეტყველების ნაწილებიდან მომდინარე და ნასესხები შორისდებულები, მაგ., **ბიჭოს, დაე, დახე, დედუ, ვაშა, ყოჩად, ზრავო, ურა** და სხვ.

მიუახლოვდა და, **ბიჭოს!** (შორ. 161, 10).

თავის თავთან გაჯიბრებული გავიდა გარეთ, – რაც მოსასვლელი იყო, **დაე,** მოსულიყო! (გოლ. 74, 19). **დაე** შორისდ. (მიღებულია დაეხსენ ზმნის ბრძანებითი ფორმისაგან (ქეგლი).

– ამას **დახე,** ე! აბა ერთხელაც (შორ. 58, 11). **დახე** მომდინარეობს ზმნისაგან „დახედე“ [ჟღენტი 1965: 185].

– **დედუ!** რაღა ანდერსონი და რაღა შენ! ორ წელიწადში ალბათ ასი გახდები (ალერს. 595, 7). შდრ. **დედა!** (შორისდებ.) გამომხატავს აღტაცებას, განცვიფრებას – ქეგლი.

– **ზრავო!** – თალიკო დეიდამ დაიძახა „ზრავო“ (გოლ. 196, 5).

ზრავო [იტალ. bravo] მოწონების, აღტაცების გამომხატველი შემახილი – ქეგლი.

წინადადებაში შორისდებულის ადგილი თავისუფალია, თუმცა იგი უმეტესად თავში გვხვდება, უფრო ნაკლებად – შუაში და ბოლოში. როგორც აღვნიშნეთ, შორისდებულის მნიშვნელობას განაპირობებს შორისდებულის წარმოთქმა, მისი ინტონაცია, რაც წინადადებაში სათანადო სასვენი ნიშნებით – მძიმითა და ძახილის ნიშნით აისახება.

როცა შორისდებული წინადადების თავში დგას, ორივე სასვენი ნიშანი გვხვდება: ძახილის ნიშანი მიუთითებს, რომ იგი წარმოთქმულია გრძნობითა და მეტი პაუზით, ხოლო მის შემდეგ სასვენი ნიშანი მძიმე (.) პაუზაზე მიგვანიშნებს. ხოლო თუ ის წინადადების ბოლოშია, მაშინ წინადადებისაგან მძიმით გამოიყოფა, ბოლოს კი ძახილის ნიშანი იწერება. თუ შუაშია შორისდებული, წინადადებას ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა [შამელაშვილი 1958: 85-86].

ძახილისნიშნის შორისდებული თავშია მოქცეული:

აგაი! – ამოიგმინებს შვილებმკვდარი ქართველი დედაბერი (ალერს. 306, ქვ. 3).

– **ახ!** – ერთს ამასლა იტყვის ბოლოს (ალერს. 507, 3).

– **ეე!** – უქნევდნენ შუბლთან ხელს, – შენ რომ რამე გესმოდეს! (ალერს. 174, 3).

– **გუი!** – დაიძახა წყლის პირველ დასხმაზე თინამ (ალერს. 167, 9).

– **ოი!** – გაოცებით ამოხედა გულამ (ჯაფ. 312, ქვ. 1).

– **ოო!** – ამოიძახეს სიამოვნებით ქალმაც და კაცმაც (ჯაფ. 213, ქვ. 14).

ობ-ობო! რა კაკალია! რა ზარივით ხმა აქვს! რა გული ექნება! – იძახდნენ (შორ. 239, ქვ. 2).

– **უიმე!** – სწრაფად ამოიღო პალტოს ჯიბეებიდან ხელები ლილიმ (ჯაფ. 86, 6).

წინადადების თავში მდგომი შორისდებული მძიმითაა წარმოდგენილი:

– **აუჰ,** შუადღე წამოსულა ავდგეთ ჩქარა (ჯაფ. 105, 2).

– **ეხ,** ესეც არის რაღა (ჯაფ. 107, ქვ. 2).

– **ობ,** გამარჯობა, ელიჩკა, როგორა ხარ, ლამაზო? (ჯაფ. 106, 14).

– **ფუჰ,** გაჩუმდი, ახლა! (ჯაფ. 105, 17).

შესაძლებელია, წინადადების თავში ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა ინტონაციით იყოს წარმოთქმული და – შესაბამისად, სხვადასხვა სასვენი ნიშანი ახლდეს:

- **ვაპ!** – კიდევ უფრო გაუკვირდა ექიმს (შორ. 104, 20).
 - **ვაპ,** – მოიჯახუნა კარი მამამ (გოლ. 205, 6).
 - **ე,** ოხერო, რა გაჯავრებს! (ჯაფ. 44, ქვ. 3).
 - **ე!** როგორ დაუბარდნია! (შორ. 227, 13).
 - **ეებო!** – თავს სინანულით იქნევდა სტეფანე (გოლ. 364, ქვ. 5).
 - **ეებო,** – ამოიოხრა ღიმილით მამამ (შორ. 18, ქვ. 15).
- შორისდებული წინადადების შუაშია მოქცეული:
- ვინ იყო, **ე** გიჟი იყო? – ფრთხილი ღიმილით იკითხა ვალიკომ (შველ. 42, ქვ. 2).
- შევექცევი ვაშლს, **ფუი**, ჩემი ხნის კაცი და შექცევა! ფუი, ფუი! (გოლ. 32, 27).
- შორისდებული წინადადების ბოლოშია მოქცეული:
- რა დედა გყავხარ, რა დედა! ეს რა საჭმელი გაგკეთებია, **ოპ!** **ოპ!** (შორ. 238, 3).
- ალბათ, ეგეც აწონებს თავს რომელიმე ლამაზ გოგონას, გოგონას კი არა, ვინ იცის, ათას გოგონას, **ფუპ!** (ალერს. 578, 8).
- მეტკინა, **ე!** – ესაც ისე წამოიძახა გუბაზმა, რომ გოგონას არ გაეგონა (ჯაფ. 16, ქვ. 7).
- ერთმა და იმავე შორისდებულმა შეიძლება წინადადების სხვადასხვა ადგილას იჩინოს თავი:
- **აპ!** – წამოიძახა მან. მე კი ჩემი ნათქვამის დაზუსტება განვაგრძე (ჯაფ. 171, ქვ. 1).
 - და ჩამოყალიბდა აზრი, **აპ**, არა, დაიწყო შემოჩოჩება აზრმა (გოლ. 213, ქვ. 4).
 - **ო**, რა კარგი ხალხი იყო! (ჯაფ. 214, 21).
- მართლაც, **ო**, რა თევზი იყო ივრის ფიჩხული! (შველ. 109, ქვ. 2).
- არ შემიდლია, **ვა!** არ შემიდლია! – თავს გვერდზე აბრუნებდა დეა (გოლ. 181, 19).
 - **ვა!** – გაიკვირვა ჩემმა ცულლუტმა ამხანაგმა (ალერს. 333, ქვ. 3).
- შორისდებულები გამეორებულია ერთმანეთის მიყოლებით, ანდა გამეორებულ შორისდებულებს შორის სხვა სიტყვა ან სიტყვებია ჩასმული:
- მოგწყდა ეგ ხელი! – **ე, ე!** – ამოყელყელავდება ალექსი (ჯაფ. 365, 5).
 - **ოპ, ოპ!** – დედაბერმა ხელი ჩაიქნია (ჯაფ. 19, 12).

უპ, უპ! – მარტო ამ სიტყვებით აქანებს თავს მიხა (გოლ. 118, ქვ. 10).

ახლა იმას მიუტანს კაჟს ცხვირთან. – **ფიპ! ფიპ!** – იძახის გოგოც (ასულ. 121, 7).

ვიღაც ქალი მოვიდა. – **უი**, ქეთო! მაღალმა ქალმა გაიოცა. – **უი**, ნათელა! (გოლ. 99, 16).

წინადადებებში ხშირად მიმართვის ობიექტის ან უშუალოდ მოუბრის ემოციის გასაძლიერებლად დასტურდება შემდეგი შორისდებულები:

– **ეე!** ... მოფრინდით, ოფოფო და გუგულო! ... – იძახის ბაკური (შველ. 77, 12).

– **ოოპ!** მაიმუნო! (ასულ. 179, ქვ. 4).

ე, ჩირგვებში გაზრდილო (სად. 90. 8).

– **ეპ**, შვილო, მამათქვენის ამაგი ახსოვს ისაკას და იმიტომ მოგვცა მაგ ფასად, თორემ სხვას ორმოც თუმნადაც არ მისცემდა (შორ. 229, 6).

– **ვაიმე**, მამა! – შეჰკვივლა გულამ (ალერს. 394, ქვ. 6).

ხშირია შორისდებულებიანი მიმართვის ფორმები იმ შემთხვევაშიც, როცა მონაკვეთში წარმოჩენილია სასაუბრო ლექსიკა:

– **ვაი**, შენს პატრონს უბედურს, ჰგონია, სკოლაში გამოგგზავნა შენც! – ზიზღით თქვა.

– **ვაპ**, შენ გენაცვალე (შორ. 105, 15).

უ. შენი! ეს ღვინო ხომ მეც გამათოხნილებდა ამდენსა! (გოლ. 22, 1).

– **ოი**, ნეტავი შენა! – შინაგანი კმაყოფილებით თქვა თინამ (ალერს. 157, 21).

დიალოგებში – როცა პერსონაჟები საუბრობენ – დასტურდება როგორც ერთი და იმავე, ისე განსხვავებულ შორისდებულთა გამოყენების შემთხვევები (ერთმანეთის პარალელურად):

ოი: – **ოი!** – თავს იქნევს მუქარით ბახას მამა.

უი: – **უი**, ქეთო! მაღალმა ქალმა გაიოცა. – **უი**, ნათელა! (გოლ. 99, 16).

უიმე: – **უიმე**, ვარა ძალო! **უიმე**, შენ რა გითხრა, როგორი კარგი ქალია, რომ იცოდდე (გოლ. 30, 10).

უფრო ხშირად კი სხვადასხვა შორისდებული გამოიყენება:

ოი, უუხ, თფუ:

– **ოი!** – მოწყდი აქედან, თორემ გაჩვენებთ, რა გიჟებიცა ვართ!

- **უუუ!** მუქართი გადაიქნია თავი გაოხრებულმა და წავიდა.
- **თფუ!** - ეხლად მიადევნა თინამ (ალერს. 173, ქვ. 8).

ა, ოხ:

- **ა?** სახელი? სახელი. ჩემ სა... არა: შენი სახელი... **ოხ!** (გოლ. 143, 7).

უ, ე, ე:

- **უ,** შენი! - ქვას წვდება შოთა. - **ე, ე,** ქვა არ იყოს! - ჭყვივის ბასა (მოთხრ. 183, 14).

ი, უიმე, ეჰაა, ვაშა: -

ი, გაიხედეთ, გაიხედეთ! - დაიძახა ვანო ძიამ.

- **უიმე,** ქალო!

- **ეჰაა!**

უცებ გამოვფხიზლდი. შალი გადავიძვრე და რასა ვხედავ: თოვლი მოდის. **ვაშა!** თოვლი მოდის (ჯაფ. 127, ქვ. 15).

ო, უიმე:

- ზაზამ მოიხედა: - **ო,** ელენე! ამოიძახა გაკვირვებით.

- **უიმე!** სწრაფად ამოიღო პალტოს ჯიბეებიდან ხელები ლილიმ (ალერს. 580, ქვ. 17).

ერიჰა, ვაიმე:

- სტირი, ქალო, **ერიჰა!** თინას სლუკუნი აუვარდა.

- **ვაიმე,** რა ვქნა **ვაიმე, ვაიმე** რა ვუშველო ჩემს დაჩაგრულ თინკოსა (ალერს. 178,16).

დიალოგებში შორისდებული დამოუკიდებლადაც (სხვა მეტყველების ნაწილთა გარეშე) გვხვდება და მთელი წინადადების ბადალია. აღნიშნულია, რომ „მაშინ იგი ემოციური კომუნიკატივია და თავისი დანიშნულებით წინადადებას ეფარდება, რამდენადაც შორისდებულის თანმხლები წინადადება გაუჩინარებულია“ [კიზირია 1987: 81].

- ქმარიც მყავს და ტყუპი ბიჭიცა...

- **აუჰ!**

- რა იყო?

- ყოჩაღ, დაო (ალერს. 357, 12).

- აბა შენ გქონდეს ამოდენა ბებერა!

- **ოო!**

- აბა შენ გქონდეს! კარგია?

- **ოო!** (ჯაფ. 150, ქვ. 6).

– ე, რაც მაგ მატარებლით პრავეზია არ მიდის, ეხლა მომცა!
– **ე-ეუჰ!** (ჯაფ. 41, ქვ. 8).
– რა გქვიან, გოგო, შენ? – დამადევნა იოსებამ.
– ჯულიეტა.
– **გაჰ!** (გოლ. 195, ქვ. 9).
– ძალიან ლამაზი ხარ და უნდა იცოდეს ეს. ზოგი ლამაზია, მაგრამ ისე გალევს მთელ თავის სიცოცხლეს, ვერასოდეს ვერ მიხვდება ამას და არის სულ უბედურად.

– **აჰაჰ!**
– კი, ბებია, კი (გოლ. 189, ქვ. 4).
– **აუჰ,** გახსოვს, მანქანა რომ გაგვიფუჭდა ისიკ-ყულთან. რაღაც ხეობაში? ათასი გრადუსი რომ იყო სიციხე. შენ კი ნეტარები. თავზე-დაც კი რომ არ იფარები არაფერს.

– **ოი...** (გოლ. 30, ქვ. 5).
პირველი პირით თხრობას მწერალი ხშირად მიმართავს როგორც სიუჟეტის განვითარების, ისე პერსონაჟის ხასიათის ასახსნელად. ადვილი შესაძლებელია მთხრობელისა და ავტორის გაიგივება. ორსავე შემთხვევაში მწერალი მიმართავს **-ო** სხვათა სიტყვის ნაწილაკს (შორისდებულის ბოლოს: ეეო, უჰო...). ამ ნაწილაკის გამოყენებით რ. ინანიშვილი ხალხური თხრობისათვის დამახასიათებელ ტრადიციას აგრძელებს. „**ო** ყოფილა ხალხური თხრობის სტილის მოუცილებელი ელემენტი. ურთიერთსაუბარი, გაბმული დიალოგი ყოველთვის ამ ნაწილაკით გადმოიცემოდა. მთქმელი (ავტორი) ამით ერთურთს უპირისპირებდა საკუთარსა და სხვის (პერსონაჟის) ნათქვამს. სხვათა სიტყვის **ო** თავისი ამ არქაული ფუნქციითაა ნახმარი ხალხური სტილით გაწყობილ კლასიკურ ლიტერატურულ თხზულებებშიც: „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“ [დლონტი 1975: 42-43].

– **ეეო,** მაიმუნო! – ოხერია, ხო იცით, მიმიხვდა, მაგრამ ისევ თავისზეა (ალერს. 261, 12).

– **თფუიო!** – ბრაზობდა ბახას მამაც (შორ. 5, ქვ. 8).
– **ფუიო!** – წამოიძახა გოგიას მამამ (შორ. 6, 18).
– **ო-ო,** იბერტყავს ნაცრიან კალთებს და ისევ იცინის გულიანად (ჯაფ. 45, 19).
– **ოოხო!** – იბერებოდა ბოლმით ბიძაჩემი (ალერს. 251, ქვ. 4).
– **ოჰოჰო,** ტყის მცველი! როდის აქეთია, ასეთი წესიერები გახდით ტყის მცველები! (ჯაფ. 295, ქვ. 8).

– **უპო**, – ერთი ეს ამოიძახა, ხელები გაშალა, თავი უკან გადასწია და ბრტყელ ფანტელებს ენა შეუშვირა (შორ. 228, ქვ. 11).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ზუსტი, მხატვრული ოსტატობით აღწერილი ამა თუ იმ შორისდებულისათვის დამახასიათებელი ინტონაცია და ქესტ-მიმიკა.

– **ახ**, შე კავკასიელო სატანაო! – *ხელი მკრა* და ისე მომიშორა თავიდან (ალერს. 478, 15).

– **ეპ**, ნეტავ იმ დროს, ნეტავ იმ დროს, არსენა ძიაო, – ამბობდა პაპა და *თავზე მოფერებით მისვამდა ხელს* (შორ. 215, ქვ. 2).

– **უი**, ამას შემოევლოს ჩემი თავი! – დაიხარა და *კისერზე შემობვია ხელი* (ალერს. 319, ქვ. 1).

– **ოი!** – *თავს იქნევს მუქარით* ბახას მამა. – რა ოი! – *წელში იმართება* გოგიას მამა (შორ. 6, ქვ. 2).

– **ავააი!** – *ამოიგმინებს* შვილებმკვდარი ქართველი დედაბერი (ალერს. 306, ქვ. 3).

უშიშა პაპამ... იცნო, გაუღიმა, *დაუწრუწუნა* და დაეხმაურა მგლებსა და ტურებს, – **ეე**, კაცებო, თქვენც ძაან გიჭირთ, გეტყობათო (შორ. 199, ქვ. 6).

ბიჭები... შეხვდები, გამოგლიმებენ და მეგობრობის ნიშნად გვერდულად *შემოგიღრენენ*. ე! – რა დაემართა (შორ. 230, ქვ. 6).

რა თქმა უნდა, დასახელებული შემთხვევებით არ ამოიწურება რ. ინანიშვილის ენაში დადასტურებული ემოციური, „მხედველობითი და სმენითი ეფექტების“ მქონე შორისდებულები და ავტორისეული რემარკები, თუმცა ამ მაგალითებითაც ნათელი ხდება, რომ მწერალი ზედმეტად არ ერევა პერსონაჟის სულიერი სამყაროს ამსახველ მეტყველებაში, მაგრამ იგი თავისი რემარკებით ზედმიწევნით გვახვედრებს და გვაგებინებს პერსონაჟის ამა თუ იმ გრძნობით წარმოთქმული შორისდებულის მნიშვნელობას. ამ მხრივ პერსონაჟისა და მწერლის ენა ერთ მთლიან მხატვრულ ქარგას ქმნის და დიდ ემოციას იწვევს მკითხველში.

წყაროები

ალერს. – ალერსი შიშიანობის დროს, თბ., 1986.

ასულ. – მთვარის ასული, თბ., 1987.

- გოლ.** – პატარა ბიჭი გოლგოთაზე , თბ., 1989.
მოთხრ. – მოთხრობები, თბ., 2007.
სად. – სალამო ხანის ჩანაწერები, თბ., 1971.
შველ. – შველი ზამთარში, თბ., 1986.
შორ. – შორი თეთრი მწვერვალი, თბ., 1976.
ცისფ. – ცისფერი გორგალი, თბ., 1968.
ჯაფ. – ბარისკენ მოფრინავს ჯაფარა, თბ., 1974.

ლიტერატურა

- ახვლედიანი 1966** – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის შესავალი, თბილისი.
- გაჩეჩილაძე 1979** – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში (ლექსიკონითურთ), თბილისი.
- კიზირია 1987** – ა. კიზირია, მარტივი წინადადების ტიპები წევრთა შემადგენლობის მიხედვით და კომუნიკატივები, თბილისი.
- კიკნაძე 1957** – გრ. კიკნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბილისი.
- კოშორიძე 2005** – ე. კოშორიძე, მწერლის ენისა და სტილის საკითხები, თბილისი.
- ჟღენტი 1965** – ს. ჟღენტი, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში. ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბილისი.
- ღლონტი 1975** – ალ. ღლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილი საკითხები, თბილისი.
- შამელაშვილი 1958** – რ. შამელაშვილი, განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდისა, თბილისი.
- შანიძე 1980** – ა. შანიძე, ტ. III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი.
- ჭუმბურიძე 1982** – ზ. ჭუმბურიძე, მაღლი დედაენისა, თბილისი.

Nineli Chokhonelidze

Emotional Interjections in R. Inanishvili's Language

Summary

The paper deals with the vocabulary of emotional interjections attested in R. Inanishvili's prose, their phonetic side, different structures, intonation, their place in a sentence both in continuous speech and dialogues, and the forms of address. It is noted that interjections used independently in dialogues without explanatory words are emotional communicatives. And in sentences with interjections, the writer continues the folk style narration by using the participle -o of the speech of other people. The interjections used by the character and the author's remarks used to explain them create a whole artistic tinge and cause a great emotion in the reader.

ნინო ჭუმბურიძე

სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი ტენდენციის შესახებ

როგორც ცნობილია, ქართულში მოსაუბრის მიერ სხვისი ან თავისივე ნათქვამის ან ნაფიქრის გადმოცემისას გამოიყენება სხვათა სიტყვის ნაწილაკები: **-მეთქი**, **-თქო** და **-ო**; საკუთარი ნათქვამის ან ნაფიქრის გადმოცემისას – **-მეთქი**, სხვისი ნათქვამის ან ნაფიქრის გადმოცემისას – **-ო**, ხოლო როცა ვინმე მეორე პირს აბარებს მესამე პირისათვის გადასაცემად თავის ნათქვამს – **-თქო**. ეს ნაწილაკები წინადადების ყველა წევრს დაერთვის, მაგრამ უფრო ხშირად ზმნა-შემასმენელთან გვხვდება.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ **-მეთქი**, **-თქო** და **-ო** ნაწილაკები **თქვა** ზმნისაგან არის მიღებული (მ. ჯანაშვილი, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე). **-მეთქი** ნაწილაკად იქცა „**მე ვთქვი**“ სიტყვების ფონეტიკური ცვითისა და წინამავალ სიტყვასთან პროკლიტიკურად მიერთების საფუძველზე, ხოლო **თქვა** სიტყვის ცვითის შედეგად მივიღეთ **-თქო** და **-ო** [კაჭარავა 1950: 242; ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988].

ეს ნაწილაკები ცოცხალი მეტყველებიდან შესულა მწიგნობრულ ენაში. მკვლევართა აზრით, რამდენადაც სხვათა სიტყვა უმთავრესად მესამე პირის ფორმით გადმოიცემოდა, **-ო** ნაწილაკი ყველაზე ადრე უნდა გაფორმებულიყო. ამაზე მიუთითებს მისი ძალზე შეცვლილი სახეც [კაჭარავა 1950: 257; ბაბუნაშვილი 1953: 116].

ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში **-ო** და **-მეთქი** ნაწილაკთა გამოყენების ორიოდე შემთხვევა დასტურდება, **-თქო** ნაწილაკი კი არ გვხვდება. მოვიყვანო ნიმუშებს:

„რამეთუ მან მაცთურმან თქუა,... ვითარმედ შემდგომად სამისა დღისა აღვდგეო“ (მათე 27, 63)¹.

„არა ჯერ-არს... თქუმად... არსობად ბოროტისად ღმრთისაგანვე არსო“ (ზას. კეს. ექუს. დღ. 34, 2).

¹ ნიმუშები მოგვყავს ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონიდან.

„ვეთუ-მეთი: არა მიეყო ხელი ცხებულსა ზედა უფლისასა“ (ო, I მგ. 24, 12).

„გარქუ-მეთი, მიუტევე და მე მოგიტევენ“ (მ. სწ. 34, 5).

„მეცა-მეთი მოსიკუდიდ ვარ“ (მარკ. 250 რ.).

საერო ლიტერატურაში სხვათა სიტყვის ნაწილაკები ხშირად გამოიყენება. „ვეფხისტყაოსანში“ -**მეთი** საერთოდ არ გვხვდება, მაგრამ -**თქო** და -**ო** კი არაერთხელ არის ნახმარი:

„მიკითხოს, ჰკადრე: იყო-**თქო** აქა ერთისა წამითა“ (106, 4)¹.

„მიჰხვდა-**თქო** საქმე, რომელი ყოვლათავის გარდღუვალია“ (163, 3).

„შენ ერთხელ მეტყვი, „მითხარ**ო**“, მე ასჯერ გეტყვი „ვერასა“ (240, 3).

„ახლოს მივე, შემომხედეს, «შმაგია**ო**», ესე თქვესა“ (452, 1).

საერო ხასიათის პროზაულ ნაწარმოებებში სამივე ნაწილაკი გვხვდება, თუმცა მათ ხმარებასა და მართლწერაში ერთგვარობა დაცული არ არის. მოვიყვანთ იმ შემთხვევებს, როცა პირველი პირის ნათქვამისა და მეორე პირისადმი მიმართვის დროსაც -**ო** არის გამოყენებული:

„ამას მოვაკსენებ: თქვენცა იცით, ვითა მე ნადირობა მიყვარს; მაგრა... ვერჯთა ტკივილისაგან ქვე წოლილ ვარ**ო**“ („ვისრამიანი“)².

„მე ვგრე მოვახსენე, თუ: რა მოვახსენო, დაგიმძიმდების**ო**“ („ამირანდარეჯანიანი“)³.

„მე ვგრე უთხარ: ჩემი შემზმელი კაცი ქვეყანასა ზედა არა არი**სო**“ (იქვე).

„არაოდეს ჩემს გულში ამან არ გაიარა, თუ მე ამ ქვეყნის ხელმწიფე ვიყავ და ჩემთა მონათაგანცა რად ასე უწყალოდ გავხე**ო**“ („რუსუდანანი“)⁴.

ზოგჯერ ერთსა და იმავე წინადადებაში -**მეთი** ან -**თქო**-ც გვხვდება და იქვე მათ მონაცვლედ -**ო**-ც არის ნახმარი:

¹ ნიმუშები მოყვანილია პოემის შემდეგი გამოცემის მიხედვით: „ვეფხისტყაოსანი“, სასკოლო გამოცემა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და ლიტერატურული გარჩევა დაურთო ნ. ნათამემ, რედაქტორი ა. ჭინჭარაული, თბ., 2002.

² <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/42-visramiani.pdf>

³ <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/34-amirandarejaniani.pdf>

⁴ <https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/46-rusudaniani-leqsikonith.pdf>

„მე ასე უთხარ: ძალას ნუ კი ეცდები, თორემ, ვეჭობ, თავი დაიზიანო-**მეთქი**, და, სადაც გინდა, მე მაგის სამართალში მოგყვები, რომ ამ ცარიელა მინდვრის მეტი არა მენახოს რაო“ („რუსუდანიანი“).

„შვილთა თანა მიდი და უანზე: იჭება ცამა-**თქო** და ჩამოვარდა ცეცხლი... და თქვენი დედ-მამანი სახლ-კარით გარდასწვაო“ (იქვე).

საბოლოოდ, სხვათა სიტყვის ნაწილაკების გამოყენება ისე, როგორც ახლა სალიტერატურო ნორმით არის მიღებული, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბებულა [ნორმები 1986: 166-167].

ამჟამად სამივე სხვათა სიტყვის ნაწილაკი აქტიურია და გავრცელებულია როგორც სასაუბრო, ისე სამწერლობო ენაში, თუმცა გვხვდება ნორმიდან გადაცდომის შემთხვევები. ამჟამად დროს შეინიშნება ზოგი ტენდენცია, რომლებიც სპონტანური და ახალგაზრდული ჟარგონული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. ერთ-ერთი ასეთი ტენდენციაა **-თქო** ნაწილაკის გამოყენება მაშინ, როცა პირველი პირის ნათქვამი ან ნაფიქრია გადმოცემული. ამ ფუნქციით **-თქო** // **-თქვა** ნაწილაკები დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოს დიალექტებისათვის და გვხვდება ზოგი მწერლის შემოქმედებაშიც:

„ღმერთს ვებვეწებოდი: ღმერთო, სტუმრებს ნუ გამოგვილევ-**თქო**“ (აკაკი, „ჩემი თავგადასავალი“).

„მოწყვეტა რომ დავაპირე, გამეველო გულში: არავინ მიყურებდეს-**თქო**“ (იქვე).

„მე ვიფიქრე, შეიძლება ბეგლარი ასე დაწვრილებით არც კი მოუყვეს-**თქო**“ (დ. კლდიაშვილი, „ქამუშადის გაჭირვება“);

„მე ვთქვი, კაცი დამემდურება-**თქვა**, რაც იქნება, ვეწვევი-მე-**თქი**...“ (დ. კლდიაშვილი, „სამანიშვილის დედინაცვალი“).

იშვიათად ზოგ სხვა დიალექტშიც გვხვდება პირველი პირის ნათქვამთან **-თქო** ნაწილაკი, მაგ., ფერეიდნულში: „ვთქი, რო ღმერთმა გამამართო-**თქო**“ [ბერიძე, ბაკურაძე 2020: 640].

თბილისურ სასაუბრო მეტყველებაში **-თქვა** საერთოდ არ გვხვდება, რაც შეეხება **-თქო**-ს გამოყენებას პირველი პირის ნათქვამთან, საკმაოდ ხშირია. მოვიყვანთ სათანადო ნიმუშებს სოციალური ქსელებიდან და ლიტერატურიდან:

„როცა ვუთხარი შენი დანახვა არ მინდა-**თქო**, ადგა და ოთახში შუქი ჩააქრო“¹.

„ჩემი კოლეგები ვერ იგებენ, რომ ვეუბნები, – პოლიტიკოსობა არ მინდა-**თქო**“².

„ღმერთს ვევედრებოდი... ჩემი საბუთები მაპოვნინე **თქო**“³.

„ვუთხარი, ცოლად უნდა მოგიყვანო-**თქო**... ჩემებს ვუთხარი,... მიყვარხართ ყველა, მაგრამ მე ამას გავაკეთებ-**თქო**“⁴.

„ვთქვი არაფერს დავწერ **თქო** და ვერ გამოდის“⁵.

„ვუთხარი წავალ **თქო** და აღარ მინატრო“⁶.

„გავიფიქრე ნეტა მე თუ მოვხვდები ამ კედელზე საპატიო ადგილას ჩემი ბიოგრაფიით-**თქო**...“ (თ. მიშელაძე, „შემლილის დღიურები“)⁷.

„მერე ვეტყვი, მამაო დამლოცე-**თქო**“ (თ. მიშელაძე, „მამაო დამლოცე“)⁸.

დასახელებული ნიმუშების მსგავსი შემთხვევა საკმაოდ ბევრია. **-თქო**-ს გამოყენების არე თანდათან ფართოვდება **-მეთქი** ნაწილაკის შევიწროვების ხარჯზე, რომლის ხმარებისას, თავის მხრივ, სხვა ტენდენცია იჩენს თავს, კერძოდ: **მეთქი** დამოუკიდებელ ნაწილაკად იქცა და გვხვდება პირველი პირის მიერ ნათქვამი ან ნაფიქრი სიტყვების გადმოცემისას ამ სიტყვების წინ და არა შემდეგ. მისი ამგვარი გამოყენება განსაკუთრებით ახალგაზრდული ჟარგონული მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი. მოვიყვანთ ნიმუშებს ლიტერატურული ტექსტებიდან:

„**მეთქი**, მოთხრობას დავწერ, რომ წყვილი ზოოპარკში დათქვამს პირველ პაემანს“ (დავით გორგილაძე, „როცა ენოტი ლოცულობს, სიბნელე წვება“).

¹ <https://www.facebook.com/GeoPauloCoelho/posts/613883698716459>.

² <http://exclusivenews.ge/post/208263>.

³ <http://kvira.ge/169625>.

⁴ http://www.resonancedaily.com/index.php?opt=opn&id_rub=1&id_artc=160737.

⁵ <https://exclusivetv.ge/news/socmedia/>.

⁶ <https://www.facebook.com/584093021725925/photos/a.585236871611540/1395369847264901/>.

⁷ <http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/7673-bbbbbb-bbbbb-misheladze-tornike.html>.

⁸ <http://literatura.mcvane.ge/main/literatura/proza/7672-bbbbbb-bbbbb-misheladze-tornike.html>.

„**მეთქი**, ზოოპარკს რად უნდა რკინის გისოსები, შუშბანდები უნდა ჰქონდეს“ (დ. გორგილაძე, „როცა ენოტი ლოცულობს, სიბნელე წვება“).

„გამოვედი და **მეთქი**, ამას ვემალო ახლა?“ (ა. მორჩილაძე, „ავგისტოს პასიანსი“).

„**მეთქი**, ჩავალ, დავხედავ“ (ა. მორჩილაძე, „ავგისტოს პასიანსი“).

ზემოთ დასახელებულ ნიმუშებში **მეთქი** დამოუკიდებელი ნაწილაკია და გამოხატავს შინაარსს – ვიფიქრე. თ. ბურჭულაძის აზრით, მისი ამგვარი გამოყენება ენის აქტუალიზაციის კერძო შემთხვევას ჰგავს. „ზეპირ მეტყველებას ახასიათებს აქტუალიზაცია, ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანა, – აღნიშნავს თ. ბურჭულაძე, – ამის ერთ-ერთ საშუალებად გვხვდება სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ესე იგი ლექსიკური აქტუალიზატორები (მაგალითად, **არის, რომელია...**). ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი დატვირთვა აქვს **-მეთქი** ნაწილაკს მოყვანილ წინადადებებში, რადგან ის („**ვფიქრობ**“ შინაარსით) გამოიყოფა, როგორც მოსაუბრის თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვა“ [ბურჭულაძე 2020: 9-10].

მეთქი ნაწილაკის გამოყენება წინადადების დასაწყისში მართლაც ახდენს სათქმელის აქტუალიზაციას, მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდული ჟარგონული მეტყველების თავისებურებაა სათქმელის გაპრიმიტიულება, ლიტერატურული, წიგნიერი მეტყველებისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციების გამარტივება. **მეთქი**, რომელიც წინადადების დასაწყისშია გადატანილი, ცვლის ვიფიქრე ან გადავწყვიტე ზმნას და სათქმელის ბოლოს დასამატებელ **-მეთქი** ნაწილაკს ერთად; ვიფიქრე, ჩავალ, დავხედავ-მეთქი – ამის ნაცვლად პერსონაჟის მეტყველების გადმოსაცემად ა. მორჩილაძე წერს: „**მეთქი**, ჩავალ, დავხედავ“ (ა. მორჩილაძე, „ავგისტოს პასიანსი“). ასეა სხვა შემთხვევებშიც.

ის, რომ **მეთქი** ნაწილაკი გამოხატავს „ვიფიქრე“, „გადავწყვიტე“ ზმნების შინაარსს, ბუნებრივია, რამდენადაც ამ ფუნქციით სასაუბრო მეტყველებაშიც და ძველსა თუ ახალ ლიტერატურულ ტექსტებშიც ხშირად გვხვდება ზმნა **ვთქვი** (იგულისხმება და ზოგჯერ ასეც გვხვდება: „გულში ვთქვი“, „გუნებაში ვთქვი“, „ჩემთვის ვთქვი“...):

„**ვთქვი**, არ იცის ამიკობა, თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა“ („ვეფხისტყაოსანი“).

„**ვთქვი**, თუ ვუთხრა, გამამყლავნებს, დარბაზს მივა ისი ფლიდი“ („ვეფხისტყაოსანი“).

„*მე არა მოგკალ, რამეთუ ვთქუ, ვითარმედ: არა მივყო ჳელი ცხებულსა ზედა უფლისასა...*“ („*რუსუდანია*“).

„*შემრცხვენდა და ვთქვი: ...მერმე დავესწრები მისსა ომსა-მეთქი*“ („ამირანდარეჯანიანი“).

„*თვალ-ყური ვადევნო, – ვთქვი ჩემს გულში ბოლოს, – იქნება ისე არა სწვიმდეს, როგორცა ჰქუხს-მეთქი*“ (ი. ჭავჭავაძე, „გლახის ნაამბობი“).

„*ორი მგელი ზედ შუა გზაზე გაიხიდა. ვთქვი: თუ გზა არ გამიგდეს, ერთ-ერთს თოფით გავაგორებ და ერთსაც დავხანჯლავ-მეთქი*“ (თ. რაზიკ.).

თანამედროვე მეტყველების ნიმუშები:

„*როდესაც... ესპანეთის წინააღმდეგ ჩვენი სასტარტო თერთმეტეული გავიგე, კარგი განწყობა არ დამეუფლა, ვთქვი: – რა ხდება?*“¹

„*იმ წამიდან ვთქვი, რომ როცა მეუღლე გვერდით მეყოლებოდა, კონფლიქტურ სიტუაციაში არასდროს ჩავერეოდი*“.

„*მე ვთქვი, მე მარტო ჩემსას ვიტყვი, თავს ვიძარათლებ და რაც არ უნდა ხდებოდეს ახლა სინამდვილეში, მაინც მართალი გამოვალ-მეთქი*“ (იქვე).

ასე რომ, **მე ვთქვი** გამოთქმის ცვეთის შედეგად მივიღეთ **-მეთქი** სხვათა სიტყვის ნაწილაკიც, რომელიც მოსდევს და ერწყმის ნათქვამს და დამოუკიდებელი **მეთქი** ნაწილაკიც, რომელიც წინ უძღვის პირველი პირის მიერ გადმოცემულ სიტყვებს.

მეთქი დამოუკიდებელი ნაწილაკი ახალგაზრდულ ჟარგონულ მეტყველებაში ცვლის „ვუთხარი“ ზმნასაც:

„*რავი, იმ დღეს სკოლაში, მეთქი პრივეტ ნიკუშ და ნივიჟუ დამირტყა. მერე ბოლო ზარზე მეთქი ნიკუშ რამე დამაწერე*“ (ც. ავსაჯანიშვილი, „მეთორმეტეკლასელები“, „არილი“, 1. 11. 2021).

„*მეთქი, სრულ არარაობას ვიპოვი და მისგან არტს შევქმნი*“ (ი. ფეხუაშვილი, „სტერილური. ნული!“ „არილი“, 6. 12. 2020).

¹ <https://www.crystalsport.ge/news/36166>

² <https://fortuna.ge/ardaidardo/post/lasha-ramishvili>

„**მეთქი**, რა ჯადოსნური მომენტი დაგიჭერია ჩემმა მზემ,... რამ-
ხელა ფილოსოფიურ დასკვნამდე მისულხარ-**მეთქი**“ (ი. ფეუშაშვი-
ლი, „სტერილური. ნული!“ „არილი“, 6. 12. 2020).

უნდა აღინიშნოს, რომ **მეთქი** ნაწილაკის ამგვარი გამოყენება
ახალგაზრდული ჟარგონული მეტყველების გარდა, ზოგ დიალექ-
ტშიც გვხვდება, კერძოდ, ინგილოურსა და ფერეიდნულში.

ინგილოური:

„*მო, ჰა მო!* არ მეველ. **მეთქი**: მერცხალ ოლა-ოლა **მეთქი** თავი
ვთან დრვენ, ზაფხული ექ მოდის-**მეთქი**, ექ ზამთარ ქნაში იქ მივ“
(ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, 1982).

„**მეთქი**, თქუნ ერთმეთითავ ჯოცავხართ, ჰადას არ შააზრახნე-
ვარ?“ (იქვე).

„*მოვჰკითხ, მეთქი*: ე მასკოლაჲ დიდ-ჰატარა ჰაბეთა?“ (იქვე).

„*ოიღივ მევ ერთ ყიტ, მეთქი*: გავადიდუავ“ (იქვე).

ფერეიდნული:

„*ამას უთხარი: მეთქი* გამოვქცეულვარ, – დოურათსა, ემ ჯაარის
ხალღსა“ [ბერიძე, ბაკურაძე: 2020, 639].

„*მე გამოვკითხე, მეთქი* რა იყო? თქოყე: ჩონ ერთ დიდ მცურავი“
(იქვე).

„*ემ რამთენ სიტყუას ვიტყოდეთ, თითო-ოროლა მე ჩემთინ შო-
ომატე, დავამზადე, მეთქი* ესეები შამხდების, ერთმანეთთან მოა“
(იქვე).

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ნი-
მუშები ერთგვაროვანი არ არის **მეთქი** დამოუკიდებელ ნაწილაკთან
სასვენი ნიშნის გამოყენების თვალსაზრისით: ზოგან ნაწილაკის შემ-
დეგ მძიმე წერია, ზოგან – ორწერტილი და ზოგან საერთოდ არ წერია
სასვენი ნიშანი. ჩვენი აზრით, მოსაუბრის მიერ მოყვანილი სიტყვე-
ბის გამოსაყოფად **მეთქი** ნაწილაკის შემდეგ საჭიროა სასვენი ნიშნის
გამოყენება, მაგრამ ორწერტილის დაწერა არ არის გამართლებული
და მძიმე უნდა დაიწეროს.

ლიტერატურა

აბაშვილი 1982 – ვ. აბაშვილი, ქართული ენის ინგილოური დიალექტი, თბილისი.

ბაბუნაშვილი 1953 – ე. ბაბუნაშვილი, „ნაწილაკები ძველ ქართულში“, სადისისერტაციო ნაშრომი ფილოლოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი.

ბერიძე, ბაკურაძე 2020 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი.

ბურჭულაძე 2020 – თ. ბურჭულაძე, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 79-ე სამეცნიერო სესია, მასალები, თბილისი.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბილისი, 1986.

კაჭარავა 1950 – გ. კაჭარავა, სხვათა სიტყვის ნაწილაკები ქართულსა და ზანურში, სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, წიგნი V, თბილისი.

ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988 – ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი.

Nino Chumburidze

Certain Tendencies Regarding the Usage of Indirect Speech Particles

Summary

The paper analyzes certain tendencies regarding the usage of indirect speech particles. These tendencies have become apparent in spontaneous oral speech recently. In particular, the area of use of the particle -თქო /-tko/ has broadened. This particle is used not only when the first person addresses the second person and tells the latter something to be transferred

to the third person, but also when the first person speaks about his/her own utterances or thoughts („*γmerts vevredreodi... čemi sabutebi mapovninetko*“ “*I was begging God to help me find my documents*”). There are numerous cases of such sentences in spontaneous speech, reflected in the mass media and fiction literature. Obviously, the field of usage of the indirect speech particle *-tko* is becoming broader at the expense of restricted usage of the particle *-metki*.

Mention should be made of another recent tendency related to the usage of the particle *metki*: in the slang of young people, it is used as an independent particle. It is not added to the word uttered by the speaker. Instead, it precedes the entire utterance („*metki, čaval, davxedav*“ “*I thought I would go and see what was going on*”). In my opinion, the tendency is due to the fact that spontaneous speech and slang used by the younger generation tend to simplify the utterances and make the constructions of the literary language more primitive. In addition, the particle *metki* may be applied with the aim of emphasizing what is being said.

ნინო ხახიაშვილი

ექირ- სიტყვის ისტორიისათვის

ამონარიდი „წმიდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“:

„...ხოლო შორის იფელთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ლუარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩის ეპისკოპოსი გარდაცვალებული, და მიშუებითა აურაცხელად სულგრძელისა ღმრთისადთა საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან, და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძვრი ძვრსა მისსა ზედა მრავალი, რომლისა მოხსენებაჲ ამას წიგნსა შინა არა ჯერ არს შთაწერად ყოველი...“ (თავი 69).

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: სიტყვა (სახელი) **ექირი** მხოლოდ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში“ გვხვდება. ის არ დასტურდება ძველი ქართული ენის ლექსიკონებში, არც სულხან-საბასთან და არც – ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში. ლექსიკონებში შეუტანლობის მიზეზი ალბათ ისაა, რომ ის ანთროპონიმად, საკუთარ სახელადაა მიჩნეული. სათავე ამ ტრადიციას, ვფიქრობთ, მისმა პირველმა, ნიკო მარის მიერ გამოცემულმა და რედაქტირებულმა, ტექსტმა დაუდო, რომელსაც თან ერთვოდა გამოკვლევა და რუსული თარგმანი, რომელშიც **ექირს** შესაბამის კონტექსტში შეესატყვისება Цкир (წრფელობითის ფორმით – ფუძის სახით), Недирный Цкир (უკეთურმან მან ცქირმან) და ა. შ. ... აგრეთვე, ტექსტს ბოლოში ერთვის გეოგრაფიულ და საკუთარ სახელთა საძიებელი, სადაც, ასევე, როგორც საკუთარი სახელი, დასტურდება **ექირი** [Март 1911: 205].

„ნ. მარმა შენიშნა ის ფაქტი, რომ ნაწარმოებში ბერძნული სახელობითი ბრუნვის (-იოს) დაბოლოებითაა ნახმარი არა მარტო ნასესხები საკუთარი სახელები: ანტონიოს, დიმიტრიოს..., არამედ ქართული (კოლხური) ჯუდედიოს-იც..., რაც უჩვეულოდ გამოიყურება **ისეთი ქართული ძირისა ან წარმოების სახელთა გვერდით**, როგორიცაა კრა-

ვი (|| კრავა, შდრ. კრავაიშვილი > კრავეიშვილი)... **ცქირი** (შდრ. **ცქირია**, გვარი სამეგრელოში)“, – აღნიშნავდა კორნელი დანელია [დანელია 1986: 176].

ზურაბ ჭუმბურიძის წიგნში „რა გქვია შენ?“ **ცქირი** დამოწმებულია ვაჟის სახელებში: „**ცქირი** (ქართ.) გვხვდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, შდრ. კოლხური **სქირი** „შვილი“ [ჭუმბურიძე 1987: 376].

ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვით ექსპედიციაში მონაწილეობისას (სოფელ დავათში) მკვლევარ ვალერი სილოგავას ქვასვეტებიდან გადმოუწერია რამდენიმე ნაკაწრი წარწერა, ანუ გრაფიტი, მათ შორისაა – ერთი ჩვენთვის საინტერესო წარწერა: „**მე, ცქირი შემ(ი)წყალე...**“ ... [სილოგავა 1999: 48]¹.

მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდება ეჭვი, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დადასტურებული სახელი **ცქირი** არ უნდა იყოს ანთროპონიმი.

„ადამიანთა სახელებს რამდენიმე თავისებურება ახასიათებს, – აღნიშნავდა აკაკი შანიძე, როდესაც განიხილავდა საკუთარ სახელთა ბრუნებას ძველ ქართულში, – ა) სამ ბრუნვაში არავითარ ნიშანს არ მიიღებენ. ეს ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და წოდებითი, რომლებშიც სახელები ფუძის სახით არის წარმოდგენილი; ბ) სავრცობი **ა** (რომელსაც ნ. მარი ემფატიკურ ხმოვანს უწოდებს) არ დაერთვის მიცემითში, ნათესაობითსა და მოქმედებითში; გ) მრავლობითი რიცხვი არ მოეპოვებათ [შანიძე 1976: 41]; აგრეთვე: „განუსაზღვრელ სახელს ძველ ქართულში შეიძლება დაერთოს „ერთი“ ან „ვინმე“ („ვინმე“ მაშინ, თუ ადამიანზეა საუბარი). განსაზღვრა შეიძლება არა ყოველგვარი სახელისა, არამედ საზოგადოსი. საკუთარი სახელი (პირისა, აგრეთვე გეოგრაფიულიც) თავისთავად განსაზღვრულად ითვლება, ამიტომ მასთან ნაწევარი არ იხმარება“ [შანიძე 1976: 30]. კიდევ ერთი ციტატა აკ. შანიძის გრამატიკიდან: „დღევანდელ ქართულში... პირის სახელებმა ბრუნვის ნიშნები შეიძინეს მოთხრო-

¹ ამ ინფორმაციის მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ბ-ნ თეიმურაზ ჯოჯუას, მისი აზრით, ამ წარწერაში ცქირი სახელი უნდა იყოს და, შესაძლოა, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ პერსონაჟიც კი. ამას სამი ფაქტორი განაპირობებს: ქრონოლოგიური, დროში დამთხვევა; ტერიტორიული თანხვედრა და ამ სახელის იშვიათი ხმარება.

ბითსა და ნაწილობრივ წოდებითში და ამით გაუთანაბრდნენ საზოგადო სახელებს. ამას გარდა, პირის სახელები არ გაურბიან ნართაულ ხმოვანს, რომელიც ძველად მხოლოდ საზოგადო სახელთა კუთვნილება იყო“ [შანიძე 1976: 30].

საკუთარ სახელთა ბრუნების ამ თავისებურებებს (საზოგადო სახელებისაგან განსხვავებით) აღნიშნავდნენ სხვა ცნობილი ენათმეცნიერებიც: ნ. მარი, ჰ. ფოგტი, ივ. იმნაიშვილი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე...

საგულისხმოა, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში“ სახელი **ცქირი** ყველა ამ წესს არღვევს: ის გამოირჩევა ყველა სხვა ანთროპონიმისაგან და საზოგადო სახელისათვის დამახასიათებელი ბრუნვის ფორმებით გვხვდება ნაწარმოებში: „*მოიწია ცქირი ქორთას*“, „*უკეთურმან მან ცქირმან*“... სწორედ ამან გამოიწვია ეჭვი: სიტყვა **ცქირი** (ხანძთელის ცხოვრების ცნობილი ეპიზოდიდან) არ უნდა იყოს ანთროპონიმი, პიროვნების საკუთარი სახელი, არამედ – საზოგადო სახელი – „მსტოვარის“, „მზირის“¹ მნიშვნელობით, და ისევე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც სიტყვა მზირი (ცქირი ← ცქერა, მზირი ← მზერა)².

ივანე იმნაიშვილის მონოგრაფიაში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“ დამოწმებულია საკუთარ სახელთა საზოგადოსთან გათანაბრების შემთხვევები და ახსნილია ამის მიზეზიც: ჩანასახი სახელობითისა და მოთხრობითის საზოგადო სახელებთან გათანაბრებისა ძველ ქართულშივე გვაქვს... ამ მოვლენის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ისეთი შემთხვევების არსებობა შეიძლება ჩაითვალოს, როცა ერთ წინადადებაში ორი საკუთარი სახელი გვხვდება და არცერთ მათგანს არა აქვს ბრუნვის ნიშანი, რაც ხელს უშლის სუბიექტისა და ობიექტის გარჩევას: „*ჰეროდე შეიპყრა იოვანე*...“ (ასეთ შემთხვევაში ქვემდებარე არის პირველად მოხსენებული სახელი, ჰეროდე; დამატება კი – შემდეგი, იოვანე). მაგრამ წინადადების წევრთა თანმიმდევრობა ყოველთვის არ განსაზღვრავს

¹ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში თვით სიტყვა მზირიც არის: ცქირის მოხსენიებული კაცი „წარვიდა მზირად ტყესა მას ხანძთისასა“.

² მსგავსი ვარაუდი, – როგორც უფროსმა კოლეგებმა, ზ-ნმა მურმან სუბიშვილმა და ქ-ნმა იზა ჩანტლაძემ გვითხრეს, – ბაქარ გიგინეიშვილსაც ჰქონდა. სამწუხაროდ, წერილი, სადაც ეს თვალსაზრისია გამოთქმული, ვერ ვიპოვეთ.

ქვემდებარესა და დამატებას, რიგი ყოველთვის ვერ გვშველის სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ამოცნობაში, მაგ.: „*მოიყვანა პილატე იესუ...*“, ამ მაგალითში მომყვანი პილატეა, მოყვანილი – იესუ. გარდა ამისა, ენაში იყო ძლიერი ტენდენცია საერთოდ საზოგადო სახელებისა და საკუთარი სახელების ბრუნების გათანაბრებისა. ასეთი მიდრეკილება, უნიფიკაციისადმი მისწრაფება ყველა ენაში ერთობ ძლიერია და ამ შემთხვევაშიც ის გადამწყვეტ როლს თამაშობდა...

აღნიშნული გათანაბრება საზოგადო სახელებთან უფრო ადრე და უფრო მეტად სახელობითს დაეტყო, ვიდრე მოთხრობითს... საზოგადო სახელებთან გათანაბრება მოთხრობითში უფრო გვიან იკავავს გზას და ნელა მიმდინარეობს... ისეთი მწერლის ენაშიც კი, როგორც სულხან-საბაა, – წერს ივ. გიგინეიშვილი, – რომელიც ახალი ქართულის ფორმებს ფართოდ უღებდა კარებს, ხშირად ვხვდებით მოთხრობითის ძველებურად ხმარების მაგალითებს: *თქუა რუქა არაკი, თქუა ჯუმბერ არაკი, თქუა ლეონ არაკი...* და სხვ.; „მოთხრობითის ასეთმა (უნიშნოდ, ფუძის სახით) ხმარებამ დიდხანს შეინახა თავი და აქა-იქ ახალ ქართულშიც გვხვდება ხოლმე, – შენიშნავს მეცნიერი, – მე მხედველობაში მაქვს ისეთი ხალხური ლექსები, როგორცაა: „**აგთანდილ** გადინადირა ქედი მაღალი ტყიანი...“ „**როსტომ** სთქვა: ერთი არა სჯობს ამ ჩემსა მოგონებასა, ერთხელ სჯობია სიკვდილი, სულ მუდამ დაღონებასა...“ [იმნაიშვილი 1957: 369].

როგორც ზურაბ სარჯველაძე აღნიშნავს, ადამიანის საკუთარი სახელი სახელობითის ნიშნით გვხვდება VII საუკუნიდან, მოთხრობითის ნიშნით IX საუკუნიდან, წოდებითის ნიშნით – X საუკუნიდან. ასეთი ფორმები ასახავენ ცოცხალ მეტყველებას. ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში არ დასტურდება საკუთარ სახელებთან მოთხრობითი ბრუნვის **მან** ნიშნის ხმარების არცერთი შემთხვევა¹. პირველად **მან** საკუთარ სახელებთან თავს იჩენს „სინურ მრავალთავში“: „*დალილ-მან სამსონს თავი დაჰყვნა*“; „*არამცა საჭურველისა შთაცლმა უბრძანა პავლემან ნეტარმან ...*“ [სარჯველაძე 1975: 126].

¹ საყურადღებოა, რომ დღესაც ზოგ თანამედროვე დიალექტში გადმონაშთის სახით საკუთარი სახელი უნიშნოდ დასტურდება მოთხრობითის მნიშვნელობით [სარჯველაძე 1975: 127].

მაგრამ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტში მხოლოდ სიტყვა **ექირთან** გვაქვს საზოგადო სახელებთან გათანაბრების შემთხვევები: სიტყვა **ექირი** „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტში“ რამდენჯერმეა ნახსენები და, რაც არ უნდა უცნაურად ჩანდეს, სხვა საკუთარი სახელებისაგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ სახელობითა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნებს ირთავს, ამასთან ერთად სხვა დარღვევებიც იჩენს თავს: ახლავს ნაწევარი; აგრეთვე, ნათესაობით ბრუნვაში ერთვის ემფატიკური **ა**.

თვალსაჩინოებისათვის ტექსტიდან მოვიყვანთ ყველა იმ ადგილს, სადაც დადასტურებულია სიტყვა **ექირი**:

*„მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან **ექირმან**; ...ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა **ექირსა**; ...წინაშე ევისკოპოსთა მათ წარმოუთხრეს **ექირისა სამართალი**, უშჯულოებად მისი; ...რამეთუ **ექირმან**, რაჟამს წარავლინა ერი იგი ხანცთას, მაშინ თვთ წარვიდა ქორთას; ...მღდელი ანჩელი იყო მის თანა და უფალმან გამოუცხადა ბოროტად **სიკუდილი ექირისა**... და მან მღდელმან წარავლინა თჳსი მოწაფე ხანცთად და დამტკიცებულად აუწყა **სიკუდილი ექირისა** და ვითარცა მოიწია **ექირი** ქორთას, მოკუდა ხოლო, და მუნ დაჰვლეს უფლისა მეორედ მოს[ლ]ვადმდე (თ. 69-70-71).*

შდრ.: „ჰრქუა მას **ნეტარმან გრიგოლ**...“ „**მამამან გრიგოლ და დედამან ფებრონია** შემოსილი საკურთხეველით შთამოიყვანეს [ექირი] და წინაშე საკურთხეველსა განმარცუეს...“ „ხოლო **ზაქარია, სასოებით მდგომარემან**, ჰრქუა მათ...“ „**მაშინ მირეან, დიდებულმან უფალმან**, დაადგინნა წინაშე ჩუენსა...“ „**ბრძნადმეტყუელებად ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეული**, – ვითარცა **თქუა სოლომონ**...“ „**ნეტარმან გრიგოლ** თქუა სიტყუად იგი **დავითისი**...“ „**ნეტარი გრიგოლ** დაემორჩილა მათ...“ „**ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ**...“ „**ჰრქუა კეთილმან ბერმან წმიდასა მამასა გრიგოლს**...“ „**მას ჟამსა ნეტარსა გრიგოლს** გულმან უთქუა ხსენებად **საბან იშხნელისა**...“ „**აუწყა**... მეუღლემან მისმან (გაბრიელ დაფანჩულს) **ნეტარისა მამისა გრიგოლის მოსვლა**...“ „**შრომად და მოღუაჩებად ღირსად ცხოვრებისად წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი**“... და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ ილუსტრაციებში (რომლებშიც **ცქირი** გვხვდება), ძველ ქართულში საკუთარ სახელთა ბრუნების ტრადიციული წესების გათვალისწინებით, ყველა ნორმა დარღვეულია, რაც საკმარის საფუძველს გვაძლევს, რომ **ცქირი** საზოგადო სახელად მივიჩნიოთ (ზედწოდება? ტიტული?). ის იგივე უნდა იყოს, რაც მზირი, მსტოვარი¹, ჯაშუში, – ვინც თვალყურს ადევნებს, – მეთვალყურე, მოთვალთვალე (ტერმინი? შდრ.: ძვ. დამხედვარი; ზედამხედველი, დამკვირვებელი).

არსებობს თვალსაზრისი, რომ **ცქირი** უნდა მომდინარეობდეს **ცქერა** ზმნისაგან: ცქირი < ცქერა, შდრ.: მზირი < მზერა, შდრ.: ჩინი/ჩენა, ცქვიტი/ცქვეტა, ლხინი/ლხენა, ჩხირი/ჩხერა... და ა. შ. ე/ი ხმოვან-მონაცვლეობა ისტორიულ ფუძეებში კარგად არის ცნობილი აბლაუტის სახელით. სახელურ ფუძეთა გარკვეული ნაწილი უშუალოდ ჩანს დაკავშირებული ზმნური ფუძის აბლაუტთან, რომლის მექანიზმიც ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი [თოფურია 1936: 232, გამყრელიძე-მაჭავარიანი 1965: 312, არაბული 2001: 146...]. წარმოდგენილი დერივაციული მიმართებები ვლინდება უძველესი ფონდის ლექსიკაში და ენა ხშირად იყენებს განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ძველ „გამოცდილებას“ [არაბული 2001: 92].

ასეთი შემთხვევა (პრეცედენტი) თუ ტრადიცია მეფის კარზე მართლაც არსებობდა. აქ შეიძლება გავიხსენოთ პავლე ინგოროყვას ერთი საგულისხმო ინფორმაცია: აშოტ კურაპალატის მიერ წარმოებულ ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ ბიზანტია თანაგრძნობით ეკიდებოდა, ამ კავშირში დანტერესებული იყო ორივე მხარე. მიუხედავად

¹ თვით სიტყვა **მსტოვარი**, კ. დანელიას თვალსაზრისით, უნდა იყოს მიმღობა უძველესი **სტ-ოგ-ს** ზმნისა (შდრ. ძ-ოგ-ს, წ-ოგ-ს, თხ-ოგ-ს...) და **ხედვას**, თვალს უნდა უკავშირდებოდეს: „სტ-ოგ ძველი ქართველური ფუძე უნდა იყოს, უძველესი **-ოგ** მაზმნავებელი სუფიქსით დეტერმინებული, ხოლო ნეიტრალური ბეგრატკომპლექსი სტ- იგივე ოდენობა, რაც სახელური თუალ- ფუძის თ- ადენადა, სტ-ოგ ფუძის თავდაპირველი მნიშვნელობა თვალის ქმედების, ე. ი. ხედვის, მზერის გამოხატვა უნდა ყოფილიყო, რაც რეალურად ძველ ქართულში შენარჩუნებულია მისგან ნაწარმოებ მსტოვარ, განმსტურობა, სტუანვა, სამსტოვრო სიტყვებში...“ [დანელია 1988: 25-28]. **მსტუარ-ი 1. მხილველი. მხედველი** (ἐπίσκοπος)! : გული **მსტუარ ჭეშმარიტ**, და ენა **მსმენელ** (სიბ. სოლ. 1,6; 7,3); 2. **მოთვალთვალე, ჯაშუში**: [მშვიდობასა] შინა განმაქრვა მე [უფალმან]; მიპყრნა მე თმანი ჩემნი და დამფხურნა მე და დამადგინა მე ვითარცა მსტუარი (იობ. 16,13) [დანელია 1987: 423].

ამისა, ბიზანტიის იმპერატორების არაერთ მცდელობას, ქაჯის ციხეში შემოყვანათ გარნიზონი, ქართველი მეფე-კურაპალატები არ თანხმდებოდნენ („ქაჯის ციხე“ მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ საზღვართან, რომელსაც „ქართლის გზა“ ერქვა, შემდეგდროინდელი „გურჯი ბოღაზის“ ზონა). „მათ განუცხადეს ბიზანტიის იმპერატორს, რომ ისინი ნებას ვერ დართავდნენ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის შეყვანაზე, ხოლო ბიზანტიის იმპერატორს **შეუძლია გამოგზავნოს თავისი ხელისუფალი, ... ან ერთ-ერთი თავისი დაახლოებული პირი**, რომელიც იცხოვრებსო ქაჯის ციხეში და **შეასრულებს მეთვალყურის როლსო**“ [ინგოროყვა 1954: 61].

ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი მისია ჰქონდა ცქირსაც, მხოლოდ არა მეგობარი ქვეყნის ხელისუფალისაგან, არამედ – დამპყრობლისაგან.

საგულისხმოა, რომ ჩვენებურების ქართულში, ისტორიულ ტაო-კლარჯეთში დღესაც დასტურდება სიტყვა **ცქირი**. მას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს და გამოიყენება „ჯაშუშის; ფლიდი, მატყუარა ადამიანის“ აღსანიშნავად (შუშანა ფუტკარაძე 2016)¹.

ამასთან ერთად, როგორც ცნობილია, აგიოგრაფიულ ლიტერატურაში უარყოფითი პერსონაჟების სახელები, როგორც წესი, არ იხსენიება. მაგ., თვით „ხანძთელის ცხოვრებაში“: „*სიძვის დიაცი*“ (აშოტ კურაპალატმა სასახლეში რომ მიიყვანა), „*ერისკაცი ანჩელი, ლირბი და ბილჩი*“ (რომელიც ცქირმა მოისყიდა მამა გრიგოლის მოსაკლავად), „*ვინმე უკეთური კაცი*“ (რომელმაც „ემშაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა“ ზენონის და); თვით ცქირი „*ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი სარწებს აღმოცენებული*“... და ა. შ.

ვფიქრობთ, ერთის თქმა შეიძლება: ძველი ქართულის ნორმების გათვალისწინებით, „გრიგოლ ხანძთელის ტექსტში“ ხსენებული სიტყვა **ცქირი** საზოგადო სახელი უნდა იყოს (შესაძლოა, ზედწოდება) და არა – ანთროპონიმი, საკუთარი სახელი.

¹ შდრ. ასევე, **ყურება** → **მოყურადე, მოყურიადე; მოყურადე** ვინც უსმენს ან უცქერს რასმე, – ყურისმგდებელი... **მოყურიადე** კუთხ. (ფშ.) 1. მოთვალთვალე, ჯაშუში. მოვიდა მოყურიადე ლაქარდიანის ენითა, სახელს ულოცავს ჯოყოლას, ლაღობს, არ არის წყენითა (ჯუჟა)... [ქეგლი V, 1958].

ლიტერატურა

აბულაძე 1973 – ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი.

არაბული 2001 – ავთ. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი.

დანელია 1986 – იაკობ ხუცესი „შუშანიკის წამება“; გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ლექსიკონი და გამოკვლევა დაურთეს ზ. სარჯველაძემ, კ. დანელიამ და ე. გიუნაშვილმა, თბილისი.

დანელია 1987 – კ. დანელია, ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები), ტ. 1 ნაწ. 1; ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კ. დანელიამ, თბილისი.

დანელია 1988 – კ. დანელია, ძველი ქართული ლექსიკიდან 5. მსტოვარი და მასთან დაკავშირებული ფუძეები, ეტიმოლოგიური მივანი, თბილისი.

თოფურია 1936 – ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თბილისი.

თოფურია 1942 – ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, სმამ ტ. III, N5, თბილისი.

იმნაიშვილი 1957 – ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 4, თბილისი.

ინგოროყვა 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი.

მალაფერიძე 1992 – ვ. მალაფერიძე, გიორგი მერჩულე – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. საუბრები ქართულ ლიტერატურაზე, გ. მურღულია, გ. ალიბეგაშვილი, ვ. მალაფერიძე, რედაქტორი რ. სირაძე, თბილისი.

Март 1911 – Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. VII. Г. Мерчул, Житие св. Григория Хандзийского, груз. текст, введение, перевод Н. Марра, С.-ПТб.

Март 1925 – Март Н., Грамматика древне-литературного грузинского языка, М.-Л.

სარჯველაძე 1975 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი.

სარჯველაძე 1995 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი.

სარჯველაძე 2004 – ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი.

სილოგავა 1999 – ვ. სილოგავა, წარწერები გარეჯის მრავალწყაროდან (IX-XIII სს.), პალეოგრაფიული და წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა, თბილისი.

სულხან-საბა 1991, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი.

ფუტკარაძე 2016 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წ. II (ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების ლინგვისტური ანალიზი), ბათუმი.

ქეგლი V, 1958 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. V, თბილისი.

შანიძე 1976 – აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები 18, თბილისი.

ჭუმბურიძე 1987 – ზ. ჭუმბურიძე, დედა ენა ქართული, თბილისი.

Nino Khakhiashvili

On the History of the Word *ckiri*

Summary

The word *ckiri* is rarely used. In old Georgian manuscripts it is attested only in "The Life of Grigol Khandzteli", where it is considered to be a proper noun. However, taking the grammatical norms of old Georgian into

account, we think that the name *ckiri* mentioned in the text of "The Life of Grigol Khandzeli" is a common name and not an anthroponym, as it is considered in scientific circles. It means *mziri*, *mstovari*, *metvalqure* "observer" and is derived from the verb *ckera* "to look": *ckiri* < *ckera* (cf.: *mziri* < *mzera*, *čini* < *čena*...).